# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 28 იანვარი 2000 №14 (1036) | ფასი 50 თეთრი

2

რევაზ ძოძუაშვილი: საქართველოს ნაკრებში უღირსი ვერავინ შემოიპარება



2

ნაკრებზე მეტად დერბის ვჭირდები

თელის გიორგი ქინქლაძე, რომელიც საქართველოს ნაკრებს კვიპროსზე ვერ გაჰყვება

3

ედუარდ შევარდნაძე: როგორ დავეხმაროთ ქართულ ფეხბურთს?



რა ეღირება საქართველო — იტალიის მატჩის ბილეთი?

6

ფეხბურთი ყველასია

G-14-ის წინააღმდეგ ზეპ ბლატერმაც გაილაშქრა

## დაინიშნა...

გუშინ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის, კახი ასათიანის ოფისში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა შედგა და ორსაათიანმა თათბირმა, როგორც იქნა, დაასრულა ჭადრაკის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობის თაობაზე ატეხილი აჟიოტაჟი. ყრილობის საბოლოო ვადად ამა წლის 5 აპრილი დადგინდა.

# რატი, იმუშავე!

## დიდი ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტმა ალექსიძეს კუნძულზე მუშაობის ნება დართო



მურაზ ფოლენჯაშვილის ფოტო

რატი ალექსიძემ ინგლისიდან სასიხარულო ამბავი შეიტყო

— დღეს ჩელსიდან დამირეკეს და ოფიციალურად მახარეს, დიდი ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტმა მუშაობის უფლება მოგცაო. ჯერჯერობით სხვა არაფერი ვიცი. არც ის, როდის ჩავალ ინგლისში, რამდენწლიანი იქნება კონტრაქტი და რა თანხას გადაიხდიან ჩემში. ისევ ზარს დაველოდები, დღედღეზე ყველაფერი დაზუსტდება — სიხარულის დაფარვა, ცხადია, არც უცდია რატი ალექსიძეს.

თბილისის „დინამოს" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების 21 წლის კაპიტნის გადაბირება, მოგეხსენებათ, ლონდონურ „ჩელსის" სურს. საამისოდ ბრიტანეთში საქმიანობის უფლება უმნიშვნელოვანესი პირობაა, მაგრამ ტრანსფერი რომ შედგეს, ჯერ კლუბთა შორის შეთანხმებაა მისაღწევი.

ნაახალწლევს, ინგლისური გაზეთების ცნობით, „ჩელსი" 4 მილიონი გირვანქის გადახდას ყაბულდებოდა, თუმცა ეს ინფორმაცია ოფიციალურად არავის დაუდასტურებია, ისევე, როგორც არ უარუყვია.

გუშინ კი ახალი ცნობა გაჩნდა: შესაძლოა, „ჩელსიმ" ალექსიძე 400 ათას გირვანქად ექვსთვიანი იჯარით გადაიყვანოს და დაზოგილი ფულით მილანის „ინტერისგან" რობერტო ბაჯო შეიძინოსო.

ბაჯომ და „ჩელსიმ" თავიანთი იციან, ჩვენ კი ეს შეგვიძლია ვთქვათ: „დინამოს" ალბათ ახლა უჯობს ხელის დაცლა, რადგან ალექსიძესთან კონტრაქტი ზაფხულამდე აქვს.

ასეა თუ ისე, სასიხარულო ცნობაა: იტალიელი მწვრთნელის ჯანლუკა ვიალის „ჩელსიმ" თავისი გაიტანა, დასაქმების დეპარტამენტს მუშაობის უფლება გამოსტყუა ალექსიძისთვის, რომელიც ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას — ეროვნულ ნაკრებში თამაშების სამი მეოთხედი — ვერ აკმაყოფილებდა.

სადაც ამდენი, ცხადია, როგორმე „დინამოსაც" მოურიგდებიან ლონდონელები და ჩვენც, იმედია, წლეულსვე პრემიერლიგაში მესამე ქართველი გვეყოლება.

# ორი, მხოლოდ ორი...
# ვარსკვლავური ომი

მოთამაშეები ფანტასტიკური ფილმების რაინდებს ჰგავდნენ, მათი ჩოგნები — ლაზერულ ხმლებს, ბურთი-ტყვიაც სინათლის სიჩქარით დაფრინავდა... სულ ორი, მხოლოდ ორი ქულა აშორებდა პიტ სამპრასს ჩოგბურთის ისტორიაში საკუთარი სახელის უკვდავყოფამდე. ორი ქულაც და ბოლო ათწლეულის საუკეთესო ჩოგბურთელი თავის მუდმივ და მთავარ მეტოქეს — ანდრე აგასის მოუგებდა ფინალს ფინალამდე და ფაქტობრივად გაინაღდებდა ყველაზე პრესტიჟული რეკორდის — 12 დიდი სლემის ტიტულის გაუმჯობესებას. მაგრამ პისტოლ პიტს ტყვიის მიზანში მოხვედრა ამჯერად არ ეწერა: ხოტორა ლასვეგასელმა, ჩოგბურთის უძლებმა შვილმა ანდრე აგასიმ ლამაზი გათამაშებებითა და უწყვეტი დაძაბულობით გამორჩეულ ხუთსეტიან შეხვედრაში ლეგენდარული გელფრენდის, შტეფი გრაფის თვალწინ თავი არ შეირცხვინა. სეზონის ამ უდავოდ საუკეთესო შეხვედრამ ქალების ფინალში მსოფლიოს პირველ-მეორე ჩოგნების — მარტინა ჰინგისისა და ლინდსი დევენპორტის გასვლაც დაჩრდილა.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



REUTERS მელბურნიდან

ანდრე აგასი ზედიზედ მეოთხე დიდი სლემის ტურნირის ფინალში გავიდა

# რევაზ ძოძუაშვილი: ნაკრებში მერავინ შემოიპარება



*31 იანვარს საქართველოს ეროვნული გუნდი კვიპროსს მიფრინავს რვაგუნდიან საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენი ნაკრები, ალბათ უკეთ იონერებოდ, ხვალ შეიკრიბება დილმის სანვრთნელ ბაზაზე და შუადღისას თბილისის „დინამოსთან" თამაშით მზადებას დაიწყებს.*

*გუნდის მწვრთნელებმა კი საკვიპროსე ზუსტი შემადგენლობა ჯერაც არ იციან, უფრო სწორად, რევაზ ძოძუაშვილმა არ იცის, ყიფიანი ხომ თავის „ტორპედოს" თურქეთში ავარჯიშებს.*

*რევაზ ძოძუაშვილი სწორედ 29-ის მატჩის მერე გადაწყვეტს, ვინ წაიყვანოს კუნძულზე სათამაშოდ. მას სავარაუდო სია კი აქვს, მაგრამ, როგორც თავად გვითხრა, მოსკოვში, ესენგეს ჩემპიონთა ტურნირზე დასწრების შემდეგ რაღაც-რაღაცეების შეცვლა მოუწევს.*

*მწვრთნელი მოსკოვიდან გუშინწინ ღამით დაბრუნდა. ნახა თბილისის „დინამო", ლატვიის „სკონტოში" მოთამაშე ქართველები, „ჟალგირისი", რომელიც ლიტვური ფეხბურთის სახეა...*

*რა დაასკვნა ძოძუაშვილმა? ვინ მოაწონა თავი, ვინ — პირიქით? რას ამბობენ ქართულ ფეხბურთზე რუსები? რა გუნდია „ჟალგირისი"? ამ კითხვებზე პასუხს ქვემოთ წაიკითხავთ.*

**— ბევრი რამ ჩაინიშნეთ?**

— საკმაოდ. ვფიქრობ, რომ კარგი გავაკეთე, მოსკოვის ტურნირს აუცილებლად უნდა დავსწრებოდი. რამდენიმე ახალგაზრდას დავადგი თვალი, მათზე კარგი წარმოდგენა შემექმნა. ზოგიერთმა ერთხელაც დამარწმუნა თავის ოსტატობაში. ერთი-ორმა კი გამაკვირვა, არ ველოდი, ასე სუსტად თუ ითამაშებდნენ.

**— კონკრეტულად?**

— კონკრეტულად? მაგალითად, გივი დიდავა. მეგონა, უკეთეს ფორმაში იქნებოდა, კვიპროსში მის წაყვანასაც ვაპირებდი, მაგრამ... ახლა, 29 იანვარს, დილმის ბაზაზე ნაკრების კანდიდატებს დინამოელებს გავაჯიბრებ, 18-კაციან შემადგენლობასაც ამის შემდეგ გამოვაცხადებ. ვინც იმ მატჩისას თავს გამოიჩენს, კვიპროსშიც უეჭველად ითამაშებს, ვინც ვერა და გული ნუ დაწყდება. ერთი შანსი კიდევ აქვთ, ვნახოთ.

**— ჩვენი „დინამოს" ასეთი წარუმატებლობის მიზეზი რა იყო? თქვენ სამ მატჩს დაესწარით...**

— არა, მხოლოდ ერთს. დანარჩენი ორი ტელევიზორში ვნახე. უფრო სკონტოელი ქართველებისა და ლიტვის „ჟალგირისის" თამაში მაინტერესებდა. დინამოელებს ხომ ისედაც თითქმის ყოველდღიურად ვუცქერ. მოსკოვამდე მათ ამხანაგურ მატჩებსაც ვესწრებოდი დილმის ბაზაზე.

**— მიზეზზე არაფერი გითქვამთ.**

— ზედმეტი თავდაჯერებულობისთვის დაისაჯნენ. ტაჯიკები არიან და გადავუვლითო, იფიქრეს ფეხბურთელებმა. საბოლოოდ წააგეს. იცით, როცა „დინამოს" მაისურა გაცვია, დინამოელი ხარ, ყველაფერი უნდა დაივიწყო და მხოლოდ მატჩზე იფიქრო. კი, უჭირთ, უცხოელების მსგავსი პირობები არა აქვთ. მაგრამ ამით თავის მართლება შეიძლება? „დინამოში" ახლა ისეთი თაობაა, რომ მოინდომონ...

**— თქვენ თუ შეხვდით დინამოელებს?**

— ერთ სასტუმროში ვცხოვრობდით. მე და ოთარ კორღალიძე ყოველ საღამოს ვსაუბრობდით, ბევრი საგულისხმო რამ მითხრა. ფეხბურთელები კი შევაგულიანე, ყველაფრის მიუხედავად ეროვნული გუნდის ბირთვი მაინც თქვენ ხართ და თითოეულს გაქვთ ნაკრებში დამკვიდრების შანსი-მეთქი. ისიც დავამატე, რომ ჩემთვის ერთი ტაიმის კარგად თამაში ბევრს არაფერს ნიშნავს. სულ ფორმაში უნდა იყო.

**— ლატვიიდან თქვენი წამოსვლის შემდეგ „სკონტომ" თუ მოუმატა?**

— კიევის „დინამოს" რომ 5:0-ს მოუგებს გუნდი, ეს მის სიძლიერეზე მეტყველებს. მართალია, კიეველებს მოსკოვში უძლიერესი შემადგენლობა არ ჰყავდათ, უმეტესობა ჭაბუკები იყვნენ, მაგრამ სამი-ოთხი გამოცდილი ფეხბურთელიც თამაშობდა. ესეც რომ არა, ლობანოვსკის სკოლის სიძლიერეც ხომ ყველას კარგად მოგეხსენებათ. არ ვტრაბახობ, „სკონტოდან" ვინმეს გამორჩევა თუ შეიძლება, პირველ ყოვლისა, ქართველების. ჩალაძემ და მენთეშაშვილმა არაერთი სპეციალისტის მოწონება დაიმსახურეს. რეხვიაშვილმა და კორღალიძემაც ნორმალურად ითამაშეს.

**— ჩალაძესა და მენთეშაშვილს წაიყვანთ კვიპროსზე?**

— ეს თითქმის გადავწყვიტეთ. ისინი ნაკრებს გამოადგებიან.

**— დინამოელთაგან ვის გამოარჩევდით?**

— ძალიან კარგი შთაბეჭდილება დამრჩა რევაზ ქემოკლიძეზე. პერსპექტიული ბიჭია და ალბათ კვიპროსზეც გამოვცდით. ნაკრების წევრად შეგიძლიათ ჩათვალოთ რატი ალექსიძეც. გიორგი ნემსაძეზე კი აღარაფერს ვამბობ, გუნდის სული და გული იყო, ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი. მას, ალბათ, ლიბეროობას დავავალებთ. სურდომოხდილი სოსო გრიშიკაშვილი ჩვეულ ფორმაში [illegible] თუმცა რამდენჯერმე კ[illegible]ნდი. მომეწონა გიორგი ანჩაბაძეც, მაგრამ უდისციპლინობას ვერ ვაპატიებთ. მან გუნდი დაალალატა, ათი კაცით დატოვა.

ძლიერი მაშინ ხარ, მსაჯს მეტოქეს რომ გააგდებინებ. ანჩაბაძემ მოსკოვში მართლაც კარგად ითამაშა, მაგრამ იმ საქციელმა ყველაფერს ძალი დაასვა. უდისციპლინო ნაკრებში არ გვჭირდება.

**— „ჟალგირისზე" რას იტყვით?**

— ბევრსაც ვერაფერს. ამ გუნდის თამაშის გათვალისწინებით, ლიტვა საქართველოს ნაკრებს ვერ გაუთანაბრდება, ქართველების დონეზე ვერ არის. ყოველ შემთხვევაში, მოსკოვში ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, მერე არ ვიცი, საქმე როგორ იქნება. ლიტველებზე საკმაო ინფორმაცია მაქვს, ლატვია იქვე არაა? მეგობრები ბევრ საინტერესო რამეს მეუბნებიან. დღეს ლიტველები ლატვიელებთან ახლოსაც ვერ მივლენ.

**— ზემოთ ნემსაძის ლიბეროობაზე თქვით. საყრდენ ნახევარმცველად თუ შეიგულეთ ვინმე?**

— საამისოდ რამდენიმე კანდიდატი გვყავს. „სკონტოს" რეხვიაშვილი გამოდგება ამ პოზიციაზე სათამაშოდ, გივი კვარაცხელიაც... კვიპროსის ტურნირი ბევრ კითხვაზე გაგვცემს პასუხს. თუმცა იქამდე ფეხბურთელებს ვურჩევ, 29 იანვრისთვის მოემზადონ, ითამაშონ კარგად და დაიმსახურონ ადგილი ნაკრებში. ეროვნულ გუნდში ვერავინ შემოიპარება.

**— მოსკოვში ბევრ ნაცნობს შეხვდებოდით. რაიმე ჩვენთვის საინტერესო ხომ არ უთქვამთ?**

— ძალიან აინტერესებდათ ჩვენი ამბები და უკვირდათ, ასე რამ დააუძლურა ქართული ფეხბურთიო. ვპასუხობდი, ცოტა ხანში ყველაფერი თავის ადგილას დადგება-მეთქი. შევხვდი რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ კოლესნიკოვს, ნიკიტა სიმონიანს, ველაპარაკე „სპარტაკის" მწვრთნელ რომანცევს. ისიც გავიგე, საგაიხლო სისტებსა და ძლიერებს რომ აღარ გამოთესავენ, ტურნირი ძველებური სისტემით ჩატარდება.

**კობა ინასარიძე**

# შევჩენკოს დავითნიძე მოსწონს



გიორგი დავითნიძე

მოსკოვის „ტორპედოს" მთავარმა მწვრთნელმა ვიტალი შევჩენკომ განაცხადა, რომ დედაქალაქურ შეკრებაზე მასზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ლიტველმა ჟვინგილისმა, ბელარუსმა ორლოვსკიმ, რუსმა პოვაროვმა და ქართველმა დავითნიძემ.

ეს ახალწვეულები გუნდს კვიპროსის პირველი შეკრების შემდეგ შეუერთდნენ. დავითნიძე მოსკოვში ფოთის „კოლხეთიდან" წავიდა.

შევჩენკოს თქმით, ოთხივე ახალწვეულს იახლებს კვიპროსში, მეორე შეკრებაზე, რომელიც დღეს დაიწყება და მათი შემდგომი ბედი ამის შემდეგ გადაწყდება. აღსანიშნავია, რომ კვიპროსის პირველი შეკრების შემდეგ შევჩენკომ გუნდში არ აიყვანა „თბილისის" მცველი ვალერი აბრამიძე.

**სიმონ მენაბდე**

# დემეტრაძე: თანაგუნდელები ჟორას მეძახიან

კვიპროსში, ლარნაკის „ანორთოსისთან" ფრე (2:2) კიევის „დინამოს" ახალწვეულმა გიორგი დემეტრაძემ დილის მძიმე ვარჯიშს მიაწერა. „მატჩის დღეს ლობანოვსკიმ ძალიან დაგვტვირთა და ფეხები არავის გვემორჩილებოდა. გუნდთან შერწყმის პრობლემა არ მქონია. ყველაფერი კარგად არის. თანაგუნდელები ხან გრიგოლს, ხან გიორგის, უფრო ხშირად კი უბრალოდ, ჟორას მეძახიან. დასანანია, რომ „ანორთოსისთან" გოლი ვერ გავიტანე, ძელს მოვარტყი" — თქვა გიორგიმ.

**სიმონ მენაბდე**

# ქინქლაძე დერბიში რჩება

## მე სმიტთან ვალში ვარ, უთხრა გიომ «სანს»

გუშინ გიორგი ქინქლაძემ ლონდონურ გაზეთ „სანს" განუცხადა, რომ „დერბის" მენეჯერ ჯიმ სმიტისგან დავალებულად გრძნობს თავს და ამიტომაც „ცხვრებს" 5 თებერვლის მატჩში „შეფილდთან" აუცილებლად დაეხმარება.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ გიორგი არ შეუერთდება საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, რომელსაც კვიპროსის საერთაშორისო ტურნირი ელის 31 იანვრიდან 8 თებერვლის ჩათვლით.

„ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაკრები არად მიღირს. „დერბის" უფრო მნიშვნელოვანი თამაში ელის, ვიდრე ნაკრებს. როცა „აიაქსიდან" დათრგუნული აქ მოვხვდი, გუნდმაც და ჯიმ სმიტმაც ჩემთვის ძალიან ბევრი გააკეთეს, ამიტომაც არ შემიძლია, მათ ასეთ სიტუაციაში ვუღალატო. საერთაშორისო მატჩებისთვის ყოველთვის მზად ვარ, ნაკრები ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ახლა დერბის უფრო ვჭირდები" — თქვა ქინქლაძემ.

თავად სმიტი გუშინ კვლავ აცხადებდა, რომ მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკებები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან, რათა ქინქლაძე „დერბის" დარჩეს. „მჯერა, ქართველები გაგვიგებენ. ამის საფუძველს გიორგის სიტყვებიც მაძლევს მას შემდეგ, რაც იგი ტელეფონით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ესაუბრა" — განაცხადა სმიტმა.

შეგახსენებთ, რომ 5 თებერვალს „დერბის" მართლაც პრინციპული მატჩი ელის „პრაიდ პარკზე" „შეფილდ უენსდეისთან".

23 თამაშიდან 23 ქულით ახლა „დერბი" მე-16 ადგილზეა. „შეფილდი" კი 22 თამაშიდან 16 ქულით მე-19 ადგილზე, თანაც ეს უკანასკნელი ალმავლობის გზაზეა, რასაც წინა ტურში სტუმრად „ტოტენჰემის" ძლევაც ადასტურებს.

**სიმონ მენაბდე**



გიორგი ქინქლაძე

# ედუარდ შევარდნაძე: როგორ დავეხმაროთ ქართულ ფეხბურთს?

არ ულხინს ქართულ ფეხბურთს, მეტიც, კრიზისშია და ერთი შეხედვით გამოსავალიც არ ჩანს. არაერთგზის ითქვა და დაწერილა იმ მიზეზებზე, რამაც დღევანდელ ყოფამდე მიიყვანა ჩვენში ერთდროს აყვავებული და დიდების გზაზე მდგომი სპორტის სახეობა — ფეხბურთი.

უჭირს ქართულ ფეხბურთს და ამის ერთ-ერთი მიზეზი სათავეშია საძიებელი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. როგორია იგი? სფფ-ს ახალ შემადგენლობას საქმის სიყვარული და მონდომება არ დაეწუნება, მაგრამ, თქმა არ უნდა, ერთობ სავალალო დღეშია. ფედერაციას ეკონომიკური კრიზისი მისძალებია და ყოველივე პირდაპირ კავშირშია ქართული ფეხბურთის დღევანდელობასთან.

მდგომარეობა კი მართლაც შემაშფოთებელია, სასწორზეა შეგდებული დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ძველი ნავსაყუდელის ბედი — სახელმწიფო ინსტანცია სფფ-ს ქონებას აუქციონის წესით გაყიდვას უპირებს, ვალია გადასახდელი. როგორ მოვიდა სფფ ამ დღემდე?...

1999 წლის 22 მარტს დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციამ დიდი სიურპრიზი მოუმზადა სფფ-ს ახალარჩეულ შემადგენლობას და მათ საბანკო ანგარიშს ყადაღა დაადო. და ეს მოხდა სლოვენიის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიღებამდე რამდენიმე დღით ადრე. სფფ ხელფეხშეკრული აღმოჩნდა, მაგრამ მაინც გამოინახა სახსრები სტუმართა დასაბინავებლად. ყველაფერი მშვიდობით დასრულდა. ფედერაციამ თავისი მისია პირნათლად შეასრულა და გენერალურმა მდივანმაც ამაყად განაცხადა: „მინდა ყველამ იცოდეს, რომ ყადაღა პრობლემა არ არის.“ ყადაღა რომ პრობლემა იყო, შემოდგომაზე გაცხადდა. დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციამ პირველად დაუქნია თითი ფედერაციას და ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში უძრავი ქონების გაყიდვით დაემუქრა.

უსაქმოდ ფედერაციის მესვეურნიც არ ყოფილან. სახელმწიფო ინსტანციის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე სფფ საბუთების ხელახალ შესწავლას მოითხოვდა და ამით კომპრომისის მიღწევასაც ცდილობდა, სახელმწიფო კანცელარიაშიც არაერთხელ შესულა ფედერაციიდან გაგზავნილი წერილი — სფფ მთავრობას ფეხბურთის გვერდით დგომას სთხოვდა. ამან ცოტა ხნით გარკვეული შედეგიც გამოიღო, ყოველ შემთხვევაში, დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციას 1999 წლის ნოემბრის ბოლოს დანიშნული აუქციონი აღარ გახსენებია და იამანიძის №5-ში მდებარე შენობაც 2000 წელს სფფ-ს მფლობელობაში შეხვდა.

ახალი წლის დაწყებიდან კი ყადაღა მწვავე პრობლემად იქცა სფფ-სთვის. წინ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლია. ბუნებრივია, იტალიის ნაკრების სტუმრობა სოლიდურ შემოსავლებსაც მოუტანს ქართულ ფეხბურთს, მაგრამ დღეს იმგვარადაა სიტუაცია, რომ შესაძლოა, იტალიის ნაკრებთან (და არა მარტო მასთან) საშინაო მატჩების ჩატარება თბილისში არც მოხერხდეს. მიზეზი, რა თქმა უნდა, ეროვნული სტადიონის გაუმართაობაა. სფფ ერთობ მოწადინებულია, რომ ნაკრების მატჩები თბილისში გამართოს. თქმა არ უნდა, ძალიან კარგი იქნება, თუ ეროვნული სტადიონი განათების ლუქსების საჭირო რაოდენობას შეიძენს (უეფაც ამას ითხოვს), მაგრამ ეს პრობლემა დღესდღეობით გადაუჭრელია. სფფ-მაც დახმარებისთვის სახელმწიფოს მიმართა. რამდენიმე დღის წინ კანცელარიიდან პასუხიც მივიდა ფედერაციაში: „ბატონ ი. ზოდელავას. განათების სისტემა წესრიგში უნდა იქნეს მოყვანილი. დამატებით რა შეიძლება გაკეთდეს, განიხილეთ და მაცნობეთ. ედუარდ შევარდნაძე“. წერილი 2000 წლის 20 იანვრითაა დათარიღებული.


ედუარდ შევარდნაძე ეროვნული სტადიონის არცთუ იშვიათი სტუმარია

გაფრი ქობიაშვილის ფოტო

სფფ-ში დემოკრატიული პრინციპებს რომ არ ღალატობენ, ამის დასტურად ქვემოთ მოყვანილი წერილიც გამოგვადგება, რომელიც დიდსულოვნად გაგვაცნო ფედერაციის პრეს-ატაშემ, მასში ბევრი რამ არის საგულისხმო და, ვფიქრობ, მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს.

„1998 წელს უეფამ გაითვალისწინა რა ზოგიერთი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მძიმე ფინანსური მდგომარეობა, გამოყო ერთ ქვეყანაზე 1000000 (ერთი მილიონი) შვეიცარიული ფრანკი მრავალწლიანი კრედიტის სახით. ამ ქვეყნების რიცხვში მოხვდა საქართველოც და სფფ-ს მიეცა უეფადან მილიონი შვეიცარიული ფრანკი ოცწლიანი კრედიტის სახით ყოველწლიური 2 პროცენტიანი განაკვეთით, რაც სრულად განკუთვნილი იყო ინდივიდუალური სავარძლების შესაძენად და დასამონტაჟებლად. აღნიშნული თანხით 1998 წელს მოხდა 18.500 ინდივიდუალური სავარძლის დამონტაჟება. ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო სფფ-ს იმჟამინდელი ხელმძღვანელობის მიერ მოხდა ზემოთ აღნიშნული კრედიტის თანხის გრანტის სახით გაფორმება. 1998 წლის 23 ოქტომბრის შემდეგ უეფას ხელმძღვანელობასთან პირველივე შეხვედრაზე მათ მიერ წარმოდგენილი იქნა 1998 წლის სექტემბერში ხელმოწერილი საკრედიტო ხელშეკრულება უეფასა და სფფ-ს შორის, რომლის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტის თანახმადაც სფფ-ს ხელმძღვანელობა ვალდებული იყო, ეცნობებინა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისთვის აღნიშნული ხელშეკრულების ხელმოწერის ფაქტი და შინაარსი. როგორც ჩვენთვის ცნობილია, უეფას ეს მოთხოვნა სფფ-ს ძველი ხელმძღვანელობის მიერ არ იქნა შესრულებული. არსებული გაურკვეველი სიტუაცია არ გვაძლევს საშუალებას შევადგინოთ სფფ-ს 1998 წლის სამურნეო წლის ბალანსი, ვინაიდან: 1. კრედიტის გრანტად დაფიქსირებით, ჩვენ ფაქტიურად ოფიციალურად დავადასტურებთ იმ შეცდომას, რომელთანაც არანაირი შეხება არ გვქონდა; 2. კრედიტის კრედიტად ასახვის შემთხვევაში ჩვენ იძულებულნი ვიქნებით, გადავიხადოთ მისგან გამომდინარე ყველა კანონიერი საბიუჯეტო გადასახადები, რისი შესაძლებლობაც ჩვენ არ გაგვაჩნია, სფფ-ს უმძიმესი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე. რაც შეეხება უეფასთვის ყოველწლიურად კრედიტის თანხის ნაწილის (50 000 შვეიცარიული ფრანკი) და პროცენტის (20 000 შვეიცარიული ფრანკი) გადახდას, ჩვენს მიერ მიღწეულია შეთანხმება იმაზე, რომ უეფა სფფ-სთვის ყოველწლიურად გამოყოფილი გრანტიდან 20 (ოცი) წლის მანძილზე ავტომატურად გამოგვიქვითავს მის კუთვნილ თანხას. თუ ამ პერიოდის განმავლობაში უეფა შეწყვეტს ჩვენთვის გრანტების გამოყოფას, მაშინ სფფ ვალდებულია, გადაუხადოს უეფას თანხები საკუთარი სახსრებიდან.

ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ, სფფ-ს წინაშე წამოჭრილი ზემოხსენებული პრობლემის მოსაგვარებლად დაავალოთ შესაბამის სამინისტროებს და უწყებებს, გამოძებნონ თანხები სფფ-ს კრედიტის ათვისებისთვის გათვალისწინებული გადასახადებისაგან გასათავისუფლებლად.

04.01.2000

მერაბ ჟორდანია“

წერილზე ქვეყნის პრეზიდენტის რეზოლუცია კი ასეთია: „ბატონებს: დ. ონოფრიშვილს, მ. მაჭავარიანს, ვ. პაპავას, თ. ბასილიას — ფეხბურთის ფედერაციას ამ საკითხში დახმარება ესაჭიროება. მოიფიქრეთ არსებული კანონმდებლობის ფარგლებში საკითხის დადებითად გადაწყვეტის გზები და მომახსენეთ. ბატონ თ. ისაკაძეს კონტროლზე. გააცანით ვ. ლორთქიფანიძეს. 2000. 24 იანვარი. ედუარდ შევარდნაძე“

იმედს ვიტოვებთ, რომ ზემოხსენებული ბატონები ფედერაციის (და ზოგადად ქართული ფეხბურთის) ამ პრობლემის მოსაგვარებლად რამეს მართლაც მოიფიქრებენ, მანამდე კი თავს უფლებას მივცემ და ზემოთმოყვანილი წერილის თაობაზე მცირე კომენტარს შემოგთავაზებთ. პირველ რიგში, ჩემთვის გაუგებარია, რატომ ახსენებენ სფფ-ში ამ ბოლო დროს ძველი ფედერაციის ცოდვებს. მერაბ ჟორდანიამ ხომ ბოლო ყრილობაზე პრეზიდენტად არჩევის შემდეგ დიდსულოვნად განაცხადა, რომ ახალი ფედერაცია ძველის სამართალმემკვიდრეა. მემკვიდრეობით კი ახლებს ძველებისგან ვალებიც ერგოთ, ის ვალები, რომელიც დღეს დიდ პრობლემად ქცევია სფფ-ს. უეფას მიერ გამოყოფილი კრედიტის „მიზნობრივად“ დახარჯვაზეც ვთქვათ. მილიონი შვეიცარიული ფრანკი დაახლოებით 901 000 აშშ დოლარის ტოლია. გამოდის, ეროვნულ სტადიონზე ერთი ინდივიდუალური სავარძლის (სტადიონზე მყოფი გულშემატკივარი დამეთანხმება, რომ ამ პრიმიტიულ სკამებს სავარძლებს ძნელად თუ ვუწოდებთ) დამონტაჟებას 49 დოლარი დასჭირვებია. იმედია, სფფ-ს ახალი ხელმძღვანელობა სამომავლოდ სკამების (თუნდაც სავარძლების) დამონტაჟების უფრო იაფ საშუალებას მიმართავს, თორემ იტალიის ნაკრებთან მატჩზე გაყიდული ბილეთების შემოსავალი ნამდვილად ვერ დაფარავს „ეროვნულის“ სკამებით გაწყობის ხარჯებს. ეს პრობლემა კი მწვავედ დგას დღეს სფფ-ს წინაშე, რადგან ფაქტია, შესარჩევ ციკლში ეროვნული [illegible] ზოგიერთი საშინაო მატჩის ნახვის მსურველი 18 500-ზე მეტი გულშემატკივარი იქნება.

დაბოლოს, ისევ და ისევ პრობლემად ქცეულ ყადაღაზე. კვლავაც სფფ-ს მოხელეთა დიდსულოვნებით ვსარგებლობ და ქვემოთ მერაბ ჟორდანიას კიდევ ერთი წერილის ფრაგმენტს გაგაცნობთ:

„...1999 წლის 22 მარტიდან დღემდე სფფ-ის ანგარიში კვლავაც ყადაღადადებული რჩება, რაც ბუნებრივია მუშაობაში დიდ სიძნელეებს გვიქმნის. ბატონო პრეზიდენტო, დავალიანების რესტრუქტურიზაციამდე გთხოვთ, დაავალოთ საგადასახადო ინსპექციას, გამონაკლისის სახით, დაუდგინოს სფფ-ს ვალის გასტუმრების ინდივიდუალური გრაფიკი 2000 წლის 1 სექტემბრიდან 2001 წლის 1 ოქტომბრამდე. მხედველობაში გვაქვს ვალის ძირითადი თანხის (246 209 ლარი) დაფარვის გრაფიკი, ხოლო რაც შეეხება მასზე დარიცხულ საურავს (117 211 ლარი) გთხოვთ, იგი საერთოდ მოგვიხსნათ. გაცნობებთ, რომ სახელმწიფოსადმი ვალის დასაფარად უკვე გადახდილია 100 000 ლარამდე და ჩვენი თხოვნის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ძირითადი ვალის დარჩენილი ნაწილი (146 209 ლარი) იტალიასთან საშინაო მატჩის შემდეგ სრულად დაიფარება.

მერაბ ჟორდანია. 5.01.2000“

ერთი შეხედვით, სფფ-ს ახალი ხელმძღვანელობის მოღვაწეობის არცთუ ხანგრძლივი პერიოდის გათვალისწინებით, 100 000 ლარის დავალიანების გადახდა არ უნდა იყოს ურიგო შედეგი, მაგრამ გასული წლის ბოლოს დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში სტუმრობის დროს აღნიშნული რაიონის საგადასახადო ინსპექციის უფროსის ვახტანგ ჩახნაშვილის თქმით, სფფ-ს ვალს 65 000 ლარი გამოაკლდა. ეს თანხა მოვალეებს ბიუჯეტიდან ეკუთვნოდათ და ის ჩაეთვალათ. იმავე პერიოდის მონაცემებით, სფფ-ს ბიუჯეტის სასარგებლოდ მხოლოდ 2470 ლარი ჰქონდა გადახდილი... რაც შეეხება იმ ინდივიდუალურ გრაფიკს, რომელსაც ფედერაცია სთხოვს სახელმწიფოს, ბატონ ჩახნაშვილის განცხადებით, საგადასახადო ინსპექცია სფფ-ს იქით სთავაზობდა გარკვეული გრაფიკის შემუშავებას — დიდ კომპრომისზე მივდიოდით, მაგრამ არ ისურვეს ასეთი რამ — განუცხადა „სარბიელს“ ჩახნაშვილმა. 5 იანვრის წერილში ერთიც არის საგულისხმო. სფფ ძირითადი ვალის დარჩენილი ნაწილის (146 209 ლარის) გადახდას იტალიის ნაკრებთან საშინაო მატჩის შემდეგ ჰპირდება სახელმწიფოს. აქ ერთი კითხვა ჩნდება (იმის გათვალისწინებით, რომ ჯერჯერობით მხოლოდ 18 500 სკამი გვაქვს ეროვნულზე) — რა ეღირება ბილეთი იტალიის ნაკრებთან მატჩზე?

რაც შეეხება ზემოთ მოყვანილ წერილზე პრეზიდენტის რეზოლუციას, იგი ასეთი გახლავთ: „ბატონ მ. მაჭავარიანს. როგორ შეიძლება დავეხმაროთ? განიხილეთ და მომახსენეთ. ედუარდ შევარდნაძე“

როგორ დაეხმარება სახელმწიფო სფფ-ს და ქართულ ფეხბურთს, ამას დრო გვიჩვენებს. სამი დღის წინ კი დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციიდან განგაშის ზარი გაისმა — სფფ-ს ქონებას აუქციონზე გაყიდვა ელის.

**პაატა ქვანტალიანი**

# იბერიელები უკრაინაში

## პრეზიდენტი ჩამოვა, ტყუპები დარჩებიანო

ალბათ, შეამჩნევდით, ყოველდღე თუ არა, დღეგამოშვებით მაინც ვწერდით ეროვნული ჩემპიონატის პირველჯგუფელ სამტრედიის „იბერიაზე", უფრო სწორად ამ გუნდის გასაჭირზე. საქმე ის გახლავთ, რომ სადაცაა იანვარი მიილევა, იმერულ კლუბს კი ჯერაც არ დაუწყია სამეორეტაპოდ მზადება. ადვილი წარმოსადგენია იბერიელთა მთავარი მწვრთნელის სოსო ფრუიძის მდგომარეობა — კაცმა ისიც არ იცის, დაადგება თუ არა საშველი გუნდს და, თუმც დაგვიანებით, შეუდგება თუ არა ბიჭების (თუ თავი მოუყარა) წვრთნას.

სამტრედიელთა ასეთი ყოფა, რალა თქმა უნდა, კლუბის მამასა და მარჩენალს ნუგზარ ნიკოლაიშვილს უკავშირდება. მწვრთნელ-მოთამაშეებს იანვარში თვალითაც არ უნახავთ საკუთარი პრეზიდენტი. პრესაში იწერებოდა და, არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ნიკოლეიშვილი საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფება, დღე-დღეზე უნდა ჩამოვიდეს და „იბერიასაც" მიხედავსო.

ვფიქრობთ, საბოლოოდ ასეც იქნება. ნიკოლაიშვილი გუნდს არ მიატოვებს, თანხებიც გამოიძებნება, „იბერია" წვრთნას შეუდგება და ჩემპიონატშიც იტყვის, შესაძლოა მოკრძალებულ, მაგრამ თავის სიტყვას.

ახლა კი მთავარზე. როგორც სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ, ძველი ახალი წლის შემდეგ ნუგზარ ნიკოლაიშვილი მართლა უცხოეთში იმყოფება. სად? ესეც ცნობილია — უკრაინაში. უფრო კონკრეტულად? ამასაც გეტყვით — იალტაში. და ისიც ვიცით, რომ ნიკოლაიშვილი იქ მარტო არ გამგზავრებულა, პრეზიდენტმა თან „დინამოდან" წასული ტყუპები ვასო და სოსო გიგიაძეები გაიყოლა.

მოგეხსენებათ, ტყუპები ჯერაც „იბერიის" კუთვნილებად ითვლებიან და ნიკოლაიშვილი გიგიაძეებზე შემთხვევით არ ზრუნავს. ეტყობა, ბატონ ნუგზარს კარგად ენიშნა იალტა. თუ გახსოვთ, შარშან ამ დროს „იბერიამ" სწორედ ამ ქალაქში გაიარა შეკრება და ტყუპებმა ყირიმში სავარჯიშოდ ჩასული უკრაინელი გუნდების სელექციონერთა ყურადღება მიიქციეს. გიგიაძეებს რამდენიმე კლუბმა შესთავაზა უკრაინაში გადასვლა, მაგრამ მაშინ ვასომ და სოსომ „იბერიაში" დარჩენა ამჯობინეს.

როგორც ჩანს, პრეზიდენტმაც და ფეხბურთელებმაც შარშანდელი ამბები გაიხსენეს და... ისევ ესტუმრენ იალტას. ნიკოლაიშვილი ტყუპებისთვის ახალი გუნდის ძებნას შეუდგა და, მგონი, მოძებნა კიდეც. როგორც სარწმუნო წყარო გვატყობინებს, ეს გუნდი უკრაინის ჩემპიონატის მეორეადგილოსანი — კრივოი როგის „კრივბასია", მას მხოლოდ კიევის „დინამო" უსწრებს.

„კრივბასი" ახლა სწორედ იალტაშია შეკრებაზე და ბოლო საკონტროლო მატჩში მის შემადგენლობაში ტყუპებმაც ითამაშეს. კრივოიროგელებს ეს თამაში ვასოს მიერ გატანილი გოლის წყალობით მოუგიათ. გიგიაძეებს არც ამ თამაშში დაუზოგავთ თავი და ვარჯიშებზეც აწონებენ თავს გუნდის მწვრთნელებს. არ არის გამორიცხული, ტყუპებმა სულ მალე ახალ კლუბთან კონტრაქტსაც მოაწერონ ხელი. ყოველ შემთხვევაში, როგორც შევიტყვეთ, ნუგზარ ნიკოლეიშვილი სწორედ ამ ამბის მოლოდინშია და ამიტომაც აგვიანდება შინ.

ჩამოვა, აბა, რას იზამს, აი, ტყუპები კი, ალბათ, დარჩებიან. ოღონდ, ამაზე უფრო დაწვრილებით მოგვიანებით.

**იუზა ქაპიტაძე**
**ქუთაისიდან**



ვასილ გიგიაძეც (მარჯვნივ) მიხელ აშვეთიასავით უცხოეთის გზას დაადგა

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I–VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
| --- | --- | --- | --- |
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი (სიონი), კ. ჯანაშია (სამგურალი), ვ. მაისურაძე (თბილისი), ჩხაბერიძე (თავისუფალი აგენტი) | გ. გოგოლაძე, თავბერიძე, ვადაჭკორია, კვერნაძე, ბაბუნაშვილი (ინტერი), ქადაგიძე (ნორჩი დინამოელი) | |
| **დინამო** *ოთარ კორღალიძე* | აშვეთია (ალანია, რუსეთი), ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომაია (ლოკომოტივი), ზირაქიშვილი (სპარტაკი, ვარნა, ბულგარეთი), ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვ. გიგიაძე, ს. გიგიაძე (კრივბასი, უკრაინა) | გოგიჩაიშვილი, ქებაძე (ლოკომოტივი), კერძევაძე (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე, (თბილისი), დათუაძე (სიონი), შელია (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), ლობჟანიძე (უეფას მიერ დისკვალიფიცირებული იყო), გადელია (ბათუმი) | ვიტ ჯორჯია 3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველოს U21 2:2, ცაგ დინამო (ყირგიზეთი) 5:2, ვარზობი (ტაჯიკეთი) 3:5 |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | ქოხონელიძე (თსუ), ტრაპაიძე (შერიფი, მოლდოვა), დავითნიძე (ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი), ბულუხია (თამაში მიატოვა), მელაძე (?) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), გ. ჩიტაია (დილა) | |
| **ბათუმი** *ჯანი კარნევალე* | პაპიძე (თბილისი), კანტიძე (თამაში მიატოვა), გადელია (დინამო), უვაკვე (?) | ხომერიკი (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (არსენალი), პეტრიაშვილი (სამგურალი), ბარნოვი (ლოკომოტივი), გ. ნოზაძე (საუ), კაკაბაძე (ცხუმი) | |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კოტრიკაძე* | კ. ალადაშვილი (გორდა), მაზიაშვილი (ლოკომოტივი) | ლ. მელქაძე (თბილისი), ი. ხაჭაპურიძე (სამგურალი), მერლანი, ახალაძე (თსუ), თ. კობიაშვილი (დინამო), ვ. კაკაშვილი (თბილისი) | ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0, მერანი 0:0, სიონი 1:0 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი (ლოკომოტივი), ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (?) | მაზანიშვილი (ტორპედო), ისიანი (თბილისი), დაუშვილი (არსენალი) | ვიტ ჯორჯია 0:1 |
| **დილა** *მერაბ კოქლაშვილი* | გ. ჩიტაია (კოლხეთი) | | ვიტ ჯორჯია 0:1 |
| **იბერია** *სოსო ფრუიძე* | | | |

| IX–XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
| --- | --- | --- | --- |
| **ლოკომოტივი** *რევაზ ძოძუაშვილი* | გოგიჩაიშვილი, ქებაძე (დინამო), მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (ბათუმი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), დ. ჯანელიძე, დოლაბერიძე (?) | ლომაია (დინამო), კვარაცხელია, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი), ხუროძე (სკონტო, ლატვია), ძოძუაშვილი (სამგურალი), რ. ახალკაცი (შუმენი, ბულგარეთი), გამცემლიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), დ. გოდერძიშვილი (სიონი), პარამონოვი (თბილისი 2), მაზიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ჯულელი (მეტალურგი, ლიპეცკი, რუსეთი) | დინამო 2:1, მერანი 2:2 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | | კ. ალადაშვილი (ვიტ ჯორჯია) | |
| **თსუ** *თენგიზ კაცია* | მერლანი, ახალაძე (ვიტ ჯორჯია), ნინუა (?) | ფუტკარაძე (ინტერი), ჯავახიშვილი (განთიადი), ნანიშვილი (ცხუმი), სულავა (ნორჩი დინამოელი), ქოხონელიძე (კოლხეთი) | ვიტ ჯორჯია 4:6 |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი) | კოშკაძე, ავალიანი, შელიქია, კვანტალიანი, მიკუჩაძე (ამირანი), ქიიავა (არაგვი), თ. დოლიძე, მოსულიშვილი (?) | ლოკომოტივი 2:2, ცხუმი 6:0, ვიტ ჯორჯია 0:0 |
| **თბილისი** *რამაზ შუქლაძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე (დინამო), კვარაცხელია, ზ. ხიზანიშვილი (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), ვალერი გაგუა (სკონტო, ლატვია) | გონჩაროვი (არსენალი), ვ. მაისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი) | |
| **სამგურალი** *იასონ ბზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი (ბათუმი), კოპალიანი (XXI საუკუნე) | კ. ჯანაშია (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა) | |
| **ხობი** *უმწვრთნელოდ* | ონიანი, ლ. გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ნიქაბერიძე, ბაბუაძე, გოგიტაძე, ზ. კვეკვესკირი, თორია (?) | | |
| **არსენალი** *ჯონი ჯანელიძე* | ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (თბილისი), დაუშვილი (სიონი), მ. მაისურაძე (?); მამუკა გეგეჭკორი (მწვრთნელი, დაითხოვეს) | ხარებავა, ე. ალადაშვილი (მერანი); ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი) | |

**შენიშვნა: ტრანსფერთა დიდი ნაწილი საბოლოო არ არის**

## საფრანგეთი

REUTERS ლონდონიდან

XXIII ტური

**ტრუა 1:2 მარსელი**
0:1 პირესი (4), 1:1 მონიე (43), 1:2 პუჟე (60)

**მეცი 1:1 მონაკო**
1:0 ბატიკლი (58), 1:1 სიმონე (65)

**მონპელიე 1:0 ნანსი**
1:0 ლოკო (3)

**ბასტია 1:0 სედანი**
1:0 ლრანი (68)

**ლანსი 4:0 ლე ავრი**
1:0 ნუმა (18), 2:0 კორიდონი (28), 3:0 სიკორა (78), 4:0 კორიდონი (88)

**ლიონი 1:1 ბორდო**
1:0 ბაკი (7), 1:1 ლასლანდი (20)

**პსჟ 4:2 სტრასბური**
1:0, 2:0, 3:0, 4:0 კრისტიანი (3, 10, 76, 79), 4:1, 4:2 ერე (84, 90)

**რენი 0:0 ნანტი**

**სენტ ეტიენი 0:0 ოსერი**

სამშაბათს დაწყებული მორიგი 23-ე ტური ოთხშაბათს გაგრძელდა. ინტერესს ლიდერი „მონაკოს“ უახლოესი მდევარი სამეულის შეხვედრები იწვევდა. ტურამდე პსჟ-ს, „ოსერსა“ და „ლიონს“ თანაბარი ქულები დაეგროვებინათ და „მონაკოს“ 11 ქულით ჩამორჩებოდნენ. გამარჯვებას მათგან მხოლოდ პსჟ-მ მიაღწია და ლიდერთან სხვაობა ოდნავ შეამცირა.

პარიზელებმა „სტრასბურს“ უმასპინძლეს და ბრაზილიელი ფორვარდის, კრისტიანის მიერ გატანილი ოთხი გოლის წყალობით 4:2 დაამარცხეს. პსჟ შეხვედრის დებიუტშივე, მე-3 წუთზე დაწინაურდა, ამას მე-10-ზე მეორე ბურთიც მიაყოლა. აღსანიშნავია, რომ ორივე გოლი თითქმის მსგავს სიტუაციაში გავიდა — შეტევის მარცხენა ფლანგზე ლორან რობერმა სახიფათო გარღვევა განახორციელა და ბურთი კრისტიანს გადააწოდა. მანაც მეტოქის კარი ზედიზედ ორჯერ დალაშქრა. სწრაფი გოლების შემდეგ მასპინძლებმა დიდი უპირატესობა მოიპოვეს და შეხვედრის დასასრულამდე ხელიდან აღარ გაუშვიათ. მესამე გოლი კრისტიანმა 76-ე წუთზე გაიტანა, ხოლო მომდევნო 3 წუთში თავი უკვე მეოთხედ გამოიჩინა, როდესაც „სტრასბურის“ გოლკიპერ ტიერი ბეიბსის მიერ მოგერიებული ბურთი კარში აუღელვებლად შეაგორა. ბოლო წუთებში მასპინძლები ოდნავ მოეშვნენ და ორი საპასუხო ბურთი მიიღეს, თუმც შეხვედრის საბოლოო შედეგზე ამას აღარ უმოქმედია. პსჟ-მ 4:2 გაიმარჯვა.

მატჩის უდავო გმირმა კრისტიანმა თავის ანგარიშზე პოკერი მიითვალა და 13 გატანილი ბურთით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა დავაში ჩაება. პარიზელები ლიდერს „მონაკოს“ ახლა 8 ქულით ჩამორჩებიან და ჩემპიონობის იმედს კვლავ არ კარგავენ.

გამარჯვებით კმაყოფილი დარჩა პსჟ-ს თავკაცი ფილიპ ბერჟერო, რომელმაც განაცხადა: „ეს სამი ქულა მეტად საჭირო გახლდათ. გუნდის თამაშით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. ბიჭებმა მოინდომეს და მოიგეს კიდეც. თუმც ბოლო წუთებზე ოდნავ წაიზარმაცეს“...

მწვრთნელმა ოთხი გოლის ავტორი კრისტიანიც შეაქო: „ფეხბურთელმა დადებითი თვისებები, ბოლოს და ბოლოს, გამოავლინა. მე მისი ყოველთვის მჯეროდა და იმედი მაქვს, უფრო უკეთეს შედეგსაც აჩვენებს. კრისტიანს ეს ნამდვილად ძალუძს“.

სრულიად საწინააღმდეგო განწყობა სუფევდა სტრასბურელთა ბანაკში. მორიგ ტურში განცდილმა მარცხმა გუნდის სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. „სტრასბურს“ გასავარდნი ზონიდან ახლა მხოლოდ ქულა აშორებს.

ჩემპიონობის კიდევ ერთი პრეტენდენტი, „ლიონი“ „ბორდოს“ მასპინძლობდა და მხოლოდ ფრეს მიაღწია. მართალია, ანგარიში მე-7 წუთზე ლიონელებმა გახსნეს, როდესაც ვიკაშ დორსოს ჯარიმიდან ჩაწოდებულ ბურთს პოლონელმა მცველმა იაცეკ ბაკმა თავურით მეტოქის კარში მიუჩინა ადგილი, მაგრამ მასპინძლებმა ანგარიშის შენარჩუნება მაინც ვერ მოახერხეს — 13 წუთის შემდეგ ლილიან ლასლანდმა საკმაოდ ეფექტური დარტყმით საპასუხო გოლი გაიტანა და საბოლოო ანგარიში 1:1 დაფიქსირდა.

გამარჯვება ვერც „მონაკოს“ მესამე მდევარმა „ოსერმა“ იზეიმა, რადგან სტუმრად „სენტ ეტიენთან“ მხოლოდ უგოლო ფრე გააზერხა და ლიდერს მთელი ათი ქულით ჩამორჩა. „ოსერმა“ „ლიონის“ მსგავსად 39 ქულა დაგროვდა და ეს ორი გუნდი ცხრილში მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს.



ლიონი — ბორდო 1:1. ლიონელი სონი ანდერსონი (№9) ბორდოელთა გარემოცვაში

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 23 | 15 | 4 | 4 | 49:20 | 49 |
| პსჟ | 23 | 12 | 5 | 6 | 37:27 | 41 |
| ოსერი | 23 | 11 | 6 | 6 | 28:23 | 39 |
| ლიონი | 23 | 11 | 6 | 6 | 28:23 | 39 |
| ბორდო | 23 | 8 | 8 | 7 | 34:33 | 32 |
| სედანი | 23 | 9 | 5 | 9 | 30:32 | 32 |
| მარსელი | 23 | 7 | 10 | 6 | 29:26 | 31 |
| ბასტია | 23 | 7 | 9 | 7 | 26:24 | 30 |
| სენტ ეტიენი | 23 | 8 | 6 | 9 | 32:32 | 30 |
| რენი | 23 | 8 | 6 | 9 | 29:30 | 30 |
| ნანსი | 23 | 8 | 5 | 10 | 28:29 | 29 |
| მეცი | 23 | 5 | 13 | 5 | 26:24 | 28 |
| ნანტი | 23 | 8 | 4 | 11 | 25:27 | 28 |
| ლანსი | 23 | 7 | 6 | 10 | 22:27 | 27 |
| სტრასბური | 23 | 7 | 6 | 10 | 25:34 | 27 |
| ლე ავრი | 23 | 7 | 5 | 11 | 21:35 | 26 |
| ტრუა | 23 | 8 | 2 | 13 | 24:39 | 26 |
| მონპელიე | 23 | 4 | 6 | 12 | 23:32 | 18 |

### მეორე დივიზიონი

24-ე ტულუზი — სოშო 3:0; აიაჩო — გენგამი 1:0; ნიცა — ლავალი 2:2; კრეტეი — ნიმი 3:2; კაენი — კანი 1:1; ლე მანი — ვალანსი 4:0; ნიორი — ლორიანი 1:0; ვასკეალი — გენიონი 1:0; ლუანი — ლილი 1:2; შატორუ — ამიენი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 24 | 18 | 3 | 3 | 35:13 | 57 |
| ტულუზი | 24 | 13 | 6 | 5 | 39:15 | 45 |
| გენგამი | 24 | 11 | 7 | 6 | 42:30 | 40 |
| კაენი | 24 | 9 | 12 | 3 | 30:18 | 39 |
| ლე მანი | 24 | 10 | 9 | 5 | 32:25 | 39 |
| აიაჩო | 24 | 10 | 4 | 10 | 24:26 | 34 |
| გენიონი | 24 | 7 | 11 | 6 | 27:22 | 32 |
| ნიმი | 24 | 8 | 8 | 8 | 28:27 | 32 |
| ლავალი | 24 | 7 | 11 | 6 | 25:24 | 32 |
| კრეტეი | 24 | 8 | 7 | 9 | 24:28 | 31 |
| სოშო | 24 | 8 | 6 | 10 | 26:29 | 30 |
| კანი | 24 | 7 | 8 | 9 | 19:23 | 29 |
| ნიცა | 24 | 5 | 14 | 5 | 17:21 | 29 |
| ლორიანი | 24 | 8 | 5 | 11 | 21:26 | 29 |
| შატორუ | 24 | 6 | 10 | 8 | 20:26 | 28 |
| ნიორი | 24 | 5 | 11 | 8 | 20:27 | 26 |
| ამიენი | 24 | 4 | 12 | 8 | 19:25 | 24 |
| ვასკეალი | 24 | 4 | 12 | 8 | 16:22 | 24 |
| ლუანი | 24 | 4 | 6 | 14 | 20:42 | 18 |
| ვალანსი | 24 | 2 | 10 | 12 | 21:37 | 16 |

### თასის მეთექვსმეტედფინალის წილისყრა

კალე (IV) — ლანგონ-კასტე (V); მონტსო-ლე-მინი (VI) — ნანტი; ნიორი (II) — კანი (II); პონტივი (IV) — ვალანსი (II); სენტ ეტიენი — ლორიანი (II); მარსელი — გენიონი (II); ლე ერბიე (V) — რენი; ტუარი (III) — მონაკო; პორტოვეკიო (IV) — ბორდო; რედ სტარი (III) — ლე ავრი; სენტ კუენტენი (IV) — მეცი; ლიონი — ტრუა; ბომ-ლე-დამსი (V) — პსჟ; ნიმი (II) — ტულუზი (II); ამიენი (II) — ლავალი (II); ბეზანსონი (III) — სტრასბური

მატჩები გაიმართება 12 და 13 თებერვალს

## ისრაელი

ისრაელის თასის მეთექვსმეტედფინალის წილისყრა. ბეტარი (II) — ბნეი იეჰუდა; აშდოდი — მაკაბი (ფეთაჰ თიკვა); მაკაბი (აკრა) (II) — ჰაპოელი (თელ ავივი); ჰაპოელი (ქვარ სავა) — ჰაპოელი (რამათ ჰაშარონი) (III); ბეითარი — ჰაპოელი (იერუსალიმი); ჰაპოელი (ააშკელონი) (II) — მაკაბი (აშკელონი) (IV); ჰაპოელი (ბეერშევა) (II) — მაკაბი (კირიათ გატი) (II); მაკაბი (აი ნაზარეთი) (II) — ჰაპოელი (რამათ განი) (III); ცაფრირიმი (II) — ჰაკოა (რამათ განი) (II); ჰაპოელი (დიმონა) (III) — მაკაბი (ნათანია); ბეითარი (თელ ავივი) (II) — ჰაპოელი (ბნეი სახნინი) (II); ჰაპოელი (ფეთაჰ თიკვა) — მაკაბი (ჰაიფა); ჰაპოელი (უპერ ნაზარეთი) (III) — მაკაბი (კაფრ კანა) (III); ჰაპოელი (ჰოდ ჰაშარონი) (V) — მაკაბი (თელ ავივი); ჰაპოელი (ბეით შანი) (II) — მაკაბი (ჰერცლია); ჰაპოელი (ჰაიფა) — ირონი

მატჩები გაიმართება 8 თებერვალს

**ვიყიდი**

1973 წლის თბილისის „დინამოსა“ და „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ თბილისური მატჩის პროგრამას.

ტელ: 8 (99) 55 36 93

## ესპანეთი

გადადებული მატჩი

**რეალი 2:1 ბეტისი**

1:0 გუტი (48), 2:0 მორიენტესი (78), 2:1 ტონი პრატსი (84)

რეალი: კასილიასი, ჟულიო სეზარი (კარანკა 11), რობერტო კარლოსი, მიჩელ სალგადო, გუტი, რედონდო, ივან ელგერა, ზარატე (ოგნიენოვიჩი 53), მორიენტესი, სავიო (მეკა 77), მაკმანამანი

ბეტისი: ტონი პრატსი, ლუის ფერნანდესი (კუელიარი 77), მერინო (ალექსისი 70), ოტერო, ბორნესი, იტო, ფილიპესკუ, კროსა, დენილსონი, ალფონსო, გალვესი (კარპანი 70)

გაფრთხილება: იტო, რედონდო, ფილიპესკუ, ოგნიენოვიჩი, ოტერო

გაძევება: იტო (50)

მსაჯი: ბუენო ხრიმალი

**მადრიდის** „რეალი“, როგორც ჩანს, კრიზისიდან გამოდის. პირველ წრეში „რეალ ბეტისთან“ გადადებული შეხვედრა სამეფო კლუბმა ოთხშაბათს ჩაატარა და მეტოქე 2:1 დაამარცხა. შედეგად სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესა და ცხრილის მე-7 საფეხურზე დამკვიდრდა. მადრიდელებს ბრაზილიაში კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობის გამო სხვებთან შედარებით ერთი თამაშით ნაკლები აქვთ ჩატარებული და ამ მატჩის მოგების შემთხვევაში, შესაძლოა მე-5 პოზიციამდე აღზევდნენ და ლიდერ „დეპორტივოს“ მხოლოდ 7 ქულით ჩამორჩნენ.

მთავარ მწვრთნელ ვისენტე დელ ბოსკეს, შესაძლოა ჩემპიონობის იმედი ჯერაც არ დაუკარგავს.

„ბეტისის“ წინააღმდეგ შეხვედრის დროს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მაყურებელთა უჩვეულო სიხალვათე შეინიშნებოდა, რაც გულშემატკივრის მხრიდან გუნდის ერთგვარი უნდობლობის ნიშანი გახლდათ.

მატჩის პირველი ტაიმი გუნდებმა უგულო ფრით დაასრულეს და გასახდელს მიაშურეს. მეორე ნახევარი კი სულ სამი წუთის დაწყებული იყო, როდესაც მადრიდელთა არგენტინელმა ლეგიონერმა, გუნდის კაპიტანმა ფერნანდო რედონდომ იაქტიურა, ბურთი გუტის გადააწოდა, ამ უკანასკნელმა კი მეტოქის საჯარიმოს მოსადგომებიდან ზუსტი დარტყმით ანგარში გახსნა.

50-ე წუთზე სტუმრებს ორი ყვითელი ბარათის გამო ალვარეს იტო გაუძევეს და ამის შემდეგ „რეალის“ უპირატესობა უფრო საგრძნობი გახდა. 78-ეზე ფერნანდო მორიენტესმა სხვაობა ორ ბურთამდე გაზარდა. შეცვლაზე შესულმა პერიცა ოგნიენოვიჩმა მეტოქეს საჯარიმოში ზუსტი პასით თავისუფალი მორიენტესი მონახა და ესპანეთის ნაკრების ფორვარდმა სევილიელთა მეკარე ტონის მეორე გოლი გაუტანა. გოლკიპერი მთელი შეხვედრის მანძილზე აკრობატულ ნახტომებში, საკმაოდ რთულ ბურთებს იგერიებდა და გაშვებულ გოლებში მისი წვლილი საკმაოდ მიზერული გახლდათ. მატჩის ბოლოს მეკარემ საჯარიმო დარტყმაც შეასრულა, რომელსაც „რეალის“ კარში გატანილი ერთადერთი გოლი მოჰყვა. ტონიმ მიმდინარე სეზონში უკვე მეორე ბურთი გაიტანა. დარჩენილი 6 წუთში ანგარიში აღარ შეცვლილა და შეხვედრაც მადრიდელთა გამარჯვებით დასრულდა — 2:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 21 | 12 | 4 | 5 | 36:24 | 40 |
| ბარსელონა | 21 | 11 | 4 | 6 | 42:27 | 37 |
| სარაგოსა | 21 | 9 | 8 | 4 | 36:21 | 35 |
| სელტა | 21 | 11 | 2 | 8 | 31:27 | 35 |
| ბილბაო | 21 | 8 | 8 | 5 | 31:30 | 32 |
| ალავესი | 21 | 9 | 5 | 7 | 25:24 | 32 |
| რეალი | 20 | 7 | 9 | 4 | 33:31 | 30 |
| რაიო | 21 | 9 | 3 | 9 | 30:30 | 30 |
| მალიორკა | 21 | 8 | 5 | 8 | 28:27 | 29 |
| ნუმანსია | 21 | 7 | 7 | 7 | 28:33 | 28 |
| ვალენსია | 21 | 7 | 6 | 8 | 28:24 | 27 |
| მალაგა | 21 | 7 | 6 | 8 | 33:32 | 27 |
| ესპანიოლი | 21 | 7 | 5 | 9 | 31:32 | 26 |
| ბეტისი | 21 | 8 | 2 | 11 | 20:34 | 26 |
| ატლეტიკო | 21 | 7 | 4 | 10 | 33:35 | 25 |
| ვალიადოლიდი | 20 | 6 | 6 | 8 | 18:24 | 24 |
| ოვიედო | 21 | 6 | 6 | 9 | 22:34 | 24 |
| რასინგი | 21 | 5 | 8 | 8 | 32:32 | 23 |
| სოსიედადი | 21 | 4 | 10 | 7 | 22:26 | 22 |
| სევილია | 21 | 3 | 8 | 10 | 22:34 | 17 |

**ესპანური** „ბარსელონას“ ჰოლანდიელი მცველი მიხაელ რაიციგერი მსუბუქ ავტოკატასტროფაში მოყვა, ზურგი დაიზიანა და დაახლოებით ორ კვირას ვერ ითამაშებს. მის პოზიციაზე მთავარი მწვრთნელი ლუის ვან გაალი ალბათ ჰოლანდიელ ვინსტონ ბოგარდს დააყენებს.

**იტალიური** „პარმას“ ბრაზილიელი თავდამსხმელი მარსიო ამორუზო ტრავმის გამო მინიმუმ ერთ თვეს ვერ იასპარეზებს. 25 წლის „უდინეზეს“ ყოფილი ფორვარდი და სერია A-ს გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირი, ჩემპიონატის დასაწყისში „პარმამ“ 33 მილიონ დოლარად შეიძინა, მაგრამ ტრავმის გამო ფეხბურთელმა მინდორზე 90 წუთი მხოლოდ ერთხელ დაჰყო. პარმელებს სეზონის ბოლომდე ალბათ კიდევ ერთი წამყვანი ფეხბურთელი დააკლდებათ. ფრანგმა ნახევარმცველმა ალენ ბოგოსიანმა საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო და ექიმების დასკვნით მკურნალობა კარგა ხანი მოუწევს.

**ნორვეგიულმა** „ბრანმა“ ესტონური „ფლორადან“ ლიტველი ნახევარმცველი ტომას რაჟანაუსკასი 123 ათას დოლარად შეიძინა. ლიტველმა ახალ კლუბთან კონტრაქტი ორი წლით გააფორმა, თუმც არ არის გამორიცხული, რომ ხუთ წლამდეც გაახანგრძლივოს.

**ჰოლანდიური** პსვ თავდამსხმელ ლუკ ნილისთან კონტრაქტის გაგრძელებას მინიმუმ ერთი წლით აპირებს. „ნილისს კონტრაქტის გახანგრძლივება შევთავაზეთ. თუმც ჯერჯერობით ფეხბურთელს გადაწყვეტილება არ მიუღია“ — ამბობს პსვ-ს პრესატაშე პედრო სალაზარი. ინგლისური საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ბელგიელი ფორვარდით პრემიერლიგელი „შეფილდ უენსდეიც“ დაინტერესდა. „ინგლისელებისგან ჯერჯერობით არავითარი წინადადება არ მიგვიღია, მაგრამ მალე ნილისს პსვ-თან კონტრაქტი უმთავრდება, ამიტომ შესაძლოა, ჩვენ არც შეგვეხმიანონ“ — დაამატა სალაზარიმ.

### ფეხბურთის რუკასთან



**რუმინეთის** მეორე დივიზიონში მოასპარეზე ერთ-ერთ კლუბს მძლავრი ყინვების გამო ვარჯიში სასტუმროს ოთახებში მოუხდა. რუმინეთის ზოგიერთ ქალაქში ტემპერატურა მინუს 32 გრადუსამდე დაეცა. ამიტომ მთავარმა მწვრთნელმა თავისი ფეხბურთელები ერთ-ერთი სასტუმროს ოთახებსა და დერეფნებში ავარჯიშა. მძლავრი ყინვებისა და დიდთოვლობის გამო, ბოლო ხუთი დღის მანძილზე რუმინეთში ცხრა ადამიანი დაიღუპა.

**იტალიურ** „კალიარში“ მოასპარეზე ურუგვაელი ნახევარმცველი ფაბიენ ონილო მომავალი სეზონიდან, შესაძლოა ტურინის „იუვენტუსში“ გადაბარგდეს. „ტურინიდან პირადად არავინ შემხმიანებია, მაგრამ ჩემი აგენტი მარწმუნებს, რომ მომავალ სეზონს „იუვენტუსში“ გავატარებ. თუ მართლაც ასე მოხდა, ბედნიერი ვიქნები, რადგან „იუვენტუსი“ ჩემი ოცნების გუნდია. მართალია, ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად გარჯა მომიწევს, მაგრამ ადგილის მოსაპოვებლად თავს არ დავზოგავ“ — აცხადებს თავად ონილი.

# ფეხბურთი ყველასია

## G-14-ის წინააღმდეგ ზეპ ბლატერმაც გაილაშქრა

ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი მოსკოვს ეწვია. ფიფას სურს, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში საფეხბურთო მეურნეობის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანოს.

ბლატერის რუსეთის დედაქალაქში ვიზიტიც ამ სასიამოვნო (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვისაც) მიზანს ემსახურება. პრესკონფერენციაზე ბლატერმა ბევრი ისაუბრა ეროვნულ ფედერაციათა საქმიანობის დიდ მნიშვნელობაზე და დაუმატა, დღეს მსოფლიოში უამრავი ტურნირი იმართება და ფიფას მცდელობა რომ არა, სრული ქაოსი იქნებოდა, შეთანხმებულად მუშაობას ვერავინ მოახერხებსო. ბლატერმა ეს საუბარი იმიტომ წამოიწყო, რომ ბოლოს განეცხადებინა — „მედია პარტნერზთან“ წილნაყარ ეგრეთ წოდებულ G-14-ს არაფერი გამოუვაო.

შეგახსენებთ, „მედია პარტნერზი“ მეტად მძიმეწონიანი ტრანსნაციონალური კომპანიაა, რომელსაც ევროპის სუპერლიგის შექმნა განუზრახავს. პოზიციების განსამტკიცებლად „მედია პარტნერზი“ 14 ევროპულ სუპერკლუბს დაუკავშირდა და თავისკენ გადაიბირა. რაკიღა საქმეს დიდი ფულის სუნი უდის, G-14, სადაც „პირველი ვიოლინოები“ ლორენცო სანსი და სილვიო ბერლუსკონი არიან, მეტად გააქტიურდა. ეს სუპერკლუბები ეროვნულ ჩემპიონატებს და ჩემპიონთა ლიგას უკვე ალმაცერად უყურებენ. გრანდებს სხვა ძლიერმა კლუბებმაც აუბეს მხარი და რანგით ცოტა დაბალი — ატლანტიკური ლიგის შექმნაზე ალაპარაკდნენ.

აღნიშნული პრობლემა უპირველესად ლენარტ იუჰანსონის თავსატეხია. თუმცა ეს ის შემთხვევაა, როდესაც ფიფას და უეფას პრეზიდენტები ბარიკადის ერთ მხარეს არიან. ამ საკითხზე სასაუბროდ ისინი ათი დღის წინ შეხვდნენ ერთმანეთს და კარგა ხანს ითათბირეს. „უმდიდრესი კლუბები უნდა ხვდებოდნენ, რომ ფეხბურთი მხოლოდ მათი საკუთრება არ არის — განაგრძობს ბლატერი — ამ სახეობით მსოფლიოში 200 მილიონი ადამიანია გატაცებული. არ დავუშვებთ, რომ იმ შემოსავლის უდიდესი ნაწილი, რომელიც ფეხბურთს მოაქვს, მხოლოდ რამდენიმე კლუბის საკუთრება გახდეს“.

## ამხანაგური მატჩი

### ესპანეთი 3:0 პოლონეთი

1:0 რაული (15), 2:0, 3:0 ურსაისი (54, 60)

ესპანეთი: მოლინა (ხუანმი 82), ველასკო, იერო, პაკო ხემესი, არანსაბალი, გვარდიოლა (ენგონგა 67), ხ. ეჩებერია (მენდიეტა 46), ლუის ენრიკე, ვალერონი (ლუის სემბრანოსი 75), რაული, ურსაისი (სალვა 70)

პოლონეთი: მაიდანი, ზაიაცი (კალისჟანი 62), მაიაკი, ჟევლიაკოვი, ზიელინსკი, კრჟინოვიკი, მიხალსკი, ივანი, გილევიჩი (ბიზაკი 75), კრჟერვიჩი, კრიჟალოვიჩი (ჟურავსკი 52)

მსაჯი: ე. პულა (საფრანგეთი)

კამაჩოსეულმა ესპანეთის ნაკრებმა ევრო 2000-ის შესარჩევ ეტაპზე ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა და ახლა მას ფავორიტთა შორის მოიხსენიებენ. ფავორიტთა მატჩები (ამხანაგურიც) კი ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. ამიტომ ესპანეთი-პოლონეთის შეხვედრას ყურადღება არ აკლდა. თამაშს საკმაო ინტრიგაც ახლდა, რაც „რეალი“ — კამაჩოს დაპირისპირებამ გამოიწვია. იმავე დღეს მადრიდელები „ბეტისს“ ხვდებოდნენ. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ დელ ბოსკეს რაულის და ფერნანდო იეროს დათმობა ეძნელებოდა. ვინ იცის, ამ დავაში გამარჯვება (ანუ ფეხბურთელები) ვის დარჩებოდა, კამაჩოს ფეხბურთის ფედერაციისთვის ულტიმატუმი რომ არ წაეყენებინა. მან განაცხადა, ბარიერებს ნუ მიქმნით, შემადგენლობა ჩემებურად ამარჩევინეთ, ან გამიშვითო. რაულმა და იერომ ოთხშაბათს ესპანეთის ნაკრებში ითამაშეს...

არც შეცდა კამაჩო მადრიდელი ფეხბურთელებისთვის რომ იბრძოლა — პოლონელთა ძლევაში რაულმა უდიდესი წვლილი შეიტანა. პირველი გოლი პოლონელი მცველის, იაცეკ კრჟინოვიკის სინდისზეა. მისი უხეირო პასი რაულმა ჩაჭრა და ბურთი სტუმართა კარში გაგზავნა. მეორე და მესამე გოლებიც პოლონელ მცველთა შეცდომებს მოჰყვა. გვარდიოლას კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი უმეთვალყურეოდ დატოვებულ ისმაილ ურსაისს მიუვიდა და მანაც სხვაობა ორამდე გაზარდა. მესამე გოლიც ბასკი ფეხბურთელის ანგარიშზეა. ურსაისს პარტნიორობა ამჯერად რაულმა გაუწია. რეალელის დარტყმული მცველებმა მოიგერიეს, ბურთთან პირველი ბილბაოელი გაჩნდა და მეკარე რადოსლავ მაიდანის კარი მესამედ აიღო.

REUTERS



პოლონელი სლავომირ მაიაკი (№3) ესპანელი ლუის ენრიკეს წინააღმდეგ

## შოტლანდია

### გადადებული მატჩები

დანდი 0:0 კილმარნოკი

აბერდინი 1:1 მოზერველი

0:1 სპენსერი (22), 1:1 ზერუალი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 18 | 15 | 2 | 1 | 50:14 | 47 |
| სელტიკი | 19 | 13 | 2 | 4 | 54:17 | 41 |
| დანდი იუნ. | 20 | 9 | 4 | 7 | 25:29 | 31 |
| მოზერუელი | 19 | 7 | 8 | 4 | 30:32 | 29 |
| ჰიბერნიანი | 21 | 6 | 8 | 7 | 32:35 | 26 |
| ჰარტსი | 19 | 6 | 5 | 8 | 28:28 | 23 |
| სტ. ჯონსტონი | 19 | 5 | 6 | 8 | 19:24 | 21 |
| დანდი | 19 | 6 | 2 | 11 | 21:30 | 20 |
| კილმარნოკი | 20 | 2 | 9 | 9 | 19:29 | 15 |
| აბერდინი | 20 | 3 | 4 | 13 | 21:61 | 13 |

### სიდნეის ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი

ბრაზილია 3:0 ვენესუელა

კოლუმბია 5:1 ჩილე

### მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

VI ჯგუფი: ბელგია, შოტლანდია, ხორვატია, ლატვია, სან მარინო

*2000 წელი*

| | |
|---|---|
| 2 სექტემბერი | ლატვია — შოტლანდია; ბელგია — ხორვატია |
| 7 ოქტომბერი | ლატვია — ბელგია; სან მარინო — შოტლანდია |
| 11 ოქტომბერი | ხორვატია— შოტლანდია |
| 15 ნოემბერი | სან მარინო — ლატვია |

*2001 წელი*

| | |
|---|---|
| 14 თებერვალი | ბელგია — სან მარინო |
| 24 მარტი | ხორვატია — ლატვია; შოტლანდია — ბელგია |
| 28 მარტი | შოტლანდია — სან მარინო |
| 25 აპრილი | ლატვია — სან მარინო |
| 2 ივნისი | ხორვატია — სან მარინო; ბელგია — ლატვია |
| 6 ივნისი | ლატვია — ხორვატია; სან მარინო — ბელგია |
| 1 სექტემბერი | შოტლანდია — ხორვატია |
| 5 სექტემბერი | სან მარინო — ხორვატია; ბელგია — შოტლანდია |
| 6 ოქტომბერი | ხორვატია — ბელგია; შოტლანდია — ლატვია |

# დავიჭიროთ ხულიგნები

გერმანიის მთავრობამ განაცხადა, რომ საფეხბურთო ხულიგნობაში ეჭვმიტანილ ხალხს საპასპორტო კანონებს გაუმკაცრებს და იქამდეც კი მივა, რომ თუ რომელიმე მათგანს საზღვარგარეთ წასვლა მოუნდება თავს ციხეში ამოაყოფინებს.

ამ თემაზე ისაუბრა შინაგან საქმეთა მინისტრმა ოტო შილიმ, რომელმაც თქვა, რომ აქამდე უცხოეთში მიმავალ ხულიგნებს მხოლოდ აჯარიმებდნენ, ამიერიდან კი დააპატიმრებენ.

„მიზნად ერთი გვაქვს დასახული — უსაფრთხოების გაზრდა“ — განაცხადა შილიმ — „მე მინდა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი საუცხოოდ, დიდებულად ჩატარდეს და ერთმა ფეხბურთელმა და მაყურებელმაც კი არ იგრძნოს ბოროტმოქმედთა თარეში“.

მოგეხსენებათ, ბელგიასა და ჰოლანდიაში ამ ზაფხულს გასამართ ევროპის პირველობაზე გერმანიის ნაკრებს ისტორიულ მეტოქესთან, ინგლისთან უწევს შეხვედრა და ამ მატჩს საგანგებო ყურადღება ექცევა.

შილის თქმით გერმანიაში 8 ათასამდე საფეხბურთო ხულიგანია აღრიცხული, რომელთაგან 2 700 საგანგებოდ სახიფათო გახლავთ.

„ეს ხალხი გულშემატკივრები არ არიან“ — დასძინა მინისტრმა — „ისინი მოძალადენი გახლავან, სხვებს შიშის ზარს სცემენ და საკუთრივ ფეხბურთის სახესაც ხელყოფენო. ახალი კანონთა თანახმად კი, ეს ადამიანები ევროპის ჩემპიონატზე ვერ მოხვდებიან“.

შილის განცხადებანი ოთხშაბათს კანცლერ გერჰარდ შროიდერთან თათბირის შედეგებს ეფუძნება და გახლავთ გამოხმაურება 1998 წელს საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში მომხდარი ამბისა — გეხსომებათ გახმაურებული ამბავი, ოთხმა გერმანელმა ხულიგანმა ადგილობრივი ჟანდარმი ცემით კინაღამ რომ მოკლა.

თავის მხრივ გერმანიის საფეხბურთო კავშირმა წამოიწყო გათამაშება, რომლის გამარჯვებულნიც ევროპის ჩემპიონატზე ქვეყნის ეროვნული გუნდის პირველ სამ შეხვედრას დაესწრებიან. საქმე ის გახლავთ, რომ გერმანელთათვის ამ ეტაპზე გამოყოფილი 11 600 ბილეთის შეძენა 50 ათას ადამიანს სურს.

„ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ნაკრების თამაში გულშემატკივარს ჯერ კიდევ აინტერესებს“ — დაასკვნა საფეხბურთო კავშირის პრეს-ატაშემ ვოლფგანგ ნირბახმა.

„ჩვენ გვინდა ბილეთები რაც შეიძლება სამართლიანად გავანაწილოთ“ — დასძინა იმავე კავშირის გენერალურმა მდივანმა ჰორსტ შმიდტმა.

სულ გერმანიაში 17 492 ბილეთი უნდა განაწილდეს, რომელთაგან 6 ათასი ნაკრებისა და ბუნდესლიგის ფეხბურთელებს და კავშირის თანამშრომლებს მიაქვთ.



დიეგო მარადონა ქალიშვილებთან ერთად ჰავანის სუპერმარკეტთან

# პატივისცემის ამბავში

## რატომ ამტვრევს მარადონა შუშებს?

ყვითლადთავშეღებილმა არგენტინელმა მსოფლიოჩემპიონყოფილმა, დიეგო მარადონამ ჰავანის ერთ-ერთ ქუჩაში, მაღაზიიდან გამოსვლის შემდეგ ერთ შავ „მერსედეს ბენცს“ გაუქანა და წინა შუშა ჩაუმსხვრია. დიეგომ თმა, როგორც ამბობენ, იმიტომ გაიქერ-გამოიქერა, რომ კუბის პატივისცემა სურდა. მართალია ჩვენ მისი ჩანაფიქრი მთლად კარგად ვერ გავიგეთ — თუ კუბის დროშის ფერებს გულისხმობდა მაშინ უნდა გალურჯ-გათეთრ-გაწითლებულიყო, მაგრამ ამას შევეშვათ. მანქანის ხაზს გავყვეთ.

კუბაზე ნარკომანობისა და თურმე ლოთობისგან სამკურნალოდ დედაბუდიანად ჩასულმა უცნაურმა გენიოსმა მაღაზიების მონახულება მოინდომა. დაადგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა, მიადგა ერთ მარკეტს, მაგრამ შენიშნა, რომ უკან „მერსედეს ბენცი“ მისდევს, შიგ ფოტოჟურნალისტები სხედან და აპარატებს აჩხაკუნებენ.

შევიდა დიეგო მაღაზიაში, იყიდა რალაც-რალაცეები (შეიძლება არც უყიდია) გამოვიდა და რას ხედავს, „მერსედეს ბენცი“ ისევ იქ დგას, შიგ ისევ ფოტოჟურნალისტები სხედან და ისევ აპარატებს აჩხაკუნებენ.

გაცოფდა დიეგო, ხეთქა შუშას, ნამსხვრევით რეპორტიორი ერიბერტო როდრიგესის ცხვირი დააზიანა, ხოლო შემდეგ რომ დაწყნარდა, ასე მოყვა:

„იმ ბიჭის დაზიანება სულ არ მქონდა განზრახული. რომ მქონოდა მანქანიდან გადმოვიყვანდი და ვცემდი... ოჯახთან ერთად ვიყავი. მოგვდევდნენ. მაღაზიაში რომ შევდიოდით, გვიღებდნენ, რომ გამოვდიოდით, კიდევ გვიღებდნენ. მერე მე ვუთხარი თქვენი ფოტოებიანად დაიკარგეთ აქედან, მეთქი. არ გიცნობთ, მეთქი. ერთმა კი მიპასუხა ჩვენს საქმეს ვაკეთებთო. ეს რომ მითხრა, გავგიჟდი და მოვუქნიე, მაგრამ ვისაც მოვუქნიე, ააცილე, შუშას მოხვდა და ჩაიმტვრა“.

შემდეგ იცით რა თქვა დიეგომ? ბოდიში ცოტა გაუმართავი ქართულისთვის, მაგრამ ასე თქვა: „86-ში, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისს გოლი რომ გავუტანე, განვაცხადე ეს ღვთის ხელი იყო მეთქი, ახლა ვამბობ, ამ შუშის ჩალეწვის მიზეზი მქონდა და რაც მოხდა, იმაში მიზეზის ხელი ურევია“.

შეგახსენებთ, რომ ადრე, ბუენოს აირესში, ფოტორეპორტიორისთვის საჰაერო პისტოლეტის სროლის გამო მარადონას სამწლიანი პირობითი პატიმრობა აქვს მისჯილი.

„ჩვენ, მე და ჩემს ოჯახს მშვიდობა გვინდა, განსაკუთრებით მე მჭირდება, მაგრამ ვინც პატივს არ მცემს, იმას არც მე ვცემ პატივს“ — თქვა ბოლოს დიდმა კაცმა.



ლაციო — იუვენტუსი 2:1. რომაელი დეიან სტანკოვიჩი (№20) და ედგარ დავიდსი ბურთისთვის იბრძვიან

## იტალია

### თასის მეოთხედფინალი

II მატჩები

**ფიორენტინა 1:1 ვენეცია (0:0)**

1:0 ადანი (63), 1:1 ბერგი (84)

ფიორენტინა: ტოლდო, ადანი, ფირიკანო, რეპკა, ტორიჩელი, დი ლივიო, კ. ამორუზო (კოისი 41), ჰაინრიხი, რუი კოშტა (როსიტო 85, ბრესანი 92), კიეზა, ბატისტუტა

ვენეცია: კასაცა, კარდონე, ლუპი, ბიანკი, ბეტარინი, ორლანდინი, ბერგი, პედონე (რუკავინა 77), ნანამი, განცი (ვალტოლინა 62), მანიერო (ბუდანი 55)

გაფრთხილება: ბიანკი, ბატისტუტა, ლუპი, კარდონე

გაძევება: ვალტოლინა (94)

მსაჯი: ტომბოლინი

**ლაციო 2:1 იუვენტუსი (2:3)**

1:0 ბოკშიჩი (54), 1:1 დელ პიერო (73), 2:1 სიმეონე (80)

ლაციო: ბალოტა, გოტარდი (მიხაილოვიჩი 76), ნესტა, ნეგრო, პანკარო, ლომბარდო (ბოკშიჩი 46), დ. სტანკოვიჩი (რავანელი 76), სიმეონე, ვერონი, ნედვედი, ს. ინძაგი

იუვენტუსი: ვან დერ სარი, მირკოვიჩი, ტუდორი, იულიანო, ბირინდელი (ძამბროტა 60), კონტე (ტაკინარდი 69), დავიდსი, პესოტო, ბაკინი (დელ პიერო 58), ზიდანი, კოვაჩევიჩი

გაფრთხილება: ბაკინი, პანკარო, ინძაგი, იულიანო

მსაჯი: კოლინა

შეხვედრის მე-80 წუთზე არგენტინელი დიეგო სიმეონეს მიერ გატანილმა თავურმა რომის „ლაციო“ იტალიის თასის გათამაშების ნახევარფინალში გაიყვანა. რომაელებმა ტურინის „იუვენტუსი“ 2:1 დაამარცხეს და ვინაიდან „დელე ალპიზე“ პირველი შეხვედრა 3:2 წაეგოთ, მეტოქის მოედანზე გატანილი გოლის პრინციპით მომდევნო ეტაპის საგზური მოიპოვეს.

შეხვედრაში თავიდან „ლაციო“ დაწინაურდა. ჯუზეპე პანკაროს ეფექტური გარღვევის შემდეგ ჩაკიდებული ბურთი ხორვატმა ალენ ბოკშიჩმა „ბებერი ქალბატონის“ კარის ბადეში გაახვია. ტურინელებმა ანგარიში 73-ე წუთზე გაათანაბრეს. შეცვლაზე შესულმა ალექს დელ პიერომ ზინედინ ზიდანისგან ჩინებული პასი მიიღო და გოლის გატანაც არ გასჭირვებია.

მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ფრე „იუვენტუსს“ ხელს აძლევდა, „ლაციოს“ — არა. ამიტომ რომაელები ვა-ბანკზე წავიდნენ. მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გამარჯვების მომტანი გოლის გატანას მხოლოდ 7 წუთი მოანდომეს. მე-80 წუთზე „იუვენტუსის“ კართან კუთხური დაინიშნა, რომლის შესასრულებლადაც, ტრადიციულად, სინიშა მიხაილოვიჩი გაემართა. იუგოსლაველმა კუთხური სახიფათოდ ჩააწოდა. მეკარე ვან დერ სარი გამოსვლაზე შეცდა, სწორი პოზიცია ვერ შეარჩია და დიეგო სიმეონესთან ორთაბრძოლა წააგო. არგენტინელმაც ზუსტი თავურით თავისიანები დააწინაურა და რადგან მომდევნო 10 წუთში „იუვენტუსმა“ ანგარიში ველარ შეცვალა, „ლაციო“ ნახევარფინალში მოხვდა.

რომაელთა მომავალი მეტოქე „ფიორენტიანა“-„ვენეციას“ წყვილში გამოვლინდა. ამ შეხვედრის წინ ერთი საინტერესო ფაქტი უსწრებდა. მოგეხსენებათ, „ფიორენტინა“ სერია A-ში არცთუ მთლად დამაჯერებლად ასპარეზობს და მისთვის საკმაოდ უჩვეულო მე-12 პოზიციაზე იმყოფება. უკმაყოფილო ფლორენციელმა გულშემატკივარმა გუნდს ბოიკოტი გამოუცხადა, რის გამოც უკანასკნელ ტურებში „არტემიო ფრანკიზე“ მაყურებელმა საგრძნობლად იკლო. „ფიორენტინას“ ხელმძღვანელობამ მდგომარეობა გაითვალისწინა და „ვენეციასთან“ შეხვედრაზე დასასწრები ბილეთის ფასი 0,5 დოლარამდე გააიაფა. „ამ ფასად ფლორენციის ყველაზე იაფ კაფეში ერთ ფინჯან ყავასაც ვერ შეიძენო“ — იუწყება ადგილობრივი პრესა.

მოკლედ, სერია A-ში ხელმოცარულ „ფიორენტინას“ თასზე მაინც უნდა ეყოჩალა და „ვენეცია“ დაემარცხებინა. პირველი შეხვედრა ვენეციაში. ფრედ 0:0 დასრულდა, ამიტომ მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსები საკმაოზე მეტი იყო.

ფლორენციელები 63-ე წუთზე დაწინაურდნენ. მცველმა დანიელე ადანიმ ახლო მანძილიდან თავური დარტყმით მეტოქის კარი დალაშქრა. მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა და შეხვედრას ისეთი პირი უჩანდა, „ფიორენტინას“ ნახევარფინალის კარები უნდა შეეღო, მაგრამ საფინალო სასტვენამდე 6 წუთით ადრე „ვენეციის“ ნორვეგიელმა ლეგიონერმა რუნარ ბერგმა იმარჯვა. დაახლოებით 20 მეტრიდან ფრანჩესკო ტოლდოს ზუსტად დაურტყა და მეკარემაც ხელების გაშლის მეტი ვერაფერი მოახერხა. მოვლენები რადიკალურად შეიცვალა...

დამატებული დროის მე-4 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ვენეციელთა კარში პენალტი დაინიშნა. თამაშის წესები ფაბიან ვალტოლინამ დაარღვია, რისთვისაც მოედანი დატოვა. თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან ენრიკო კიეზა მივიდა. მან კი დაახლოებით ის გააკეთა, რაც 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში რობერტო ბაჯომ... ბურთი კარის მაგივრად ჰაერში გაუშვა, „ფიორენტინა“ კი ნახევარფინალის საგზურის გარეშე დატოვა.

# ევროპაა თუ აფრიკა?

GhanaNigeria2000

## აფრიკის თასი

განანიგერია-22იანვარი13თებერვალი

**აფრიკის თასის გათამაშების პირველი წრე დასრულდა. თექვსმეტივე გუნდის თამაში ვიხილეთ. მართალია, ისინი ჯერ „ხურდებიან“, მაგრამ გარკვეული დასკვნების გაკეთება უკვე შეიძლება.**

უპირველესად, რაც თვალში გხვდება, ლეგიონერთა სიმრავლეა. დავაზუსტოთ, ევროპაში მოთამაშეთა სიმრავლე. განა-ნიგერიაში სულ, მასპინძელთა ჩათვლით, 352 ფეხბურთელია, მათგან 181 ევროპის კლუბებს წარმოადგენს. ამ მხრივ რეკორდსმენები კამერუნელები და ნიგერიელები არიან — მათ 19 „ევროპელი“ ჰყავთ. ყველაზე „ეროვნული“ ნაკრები კი ტუნისმა გამოიყვანა, იქ სულ სამი ლეგიონერია. ამასთანავე, რამდენიმე ფეხბურთელი აზიასა და ცენტრალურ ამერიკაშიც თამაშობს. აღნიშნულ რაოდენობას იმ მოთამაშეებსაც თუ მივათვლით, აფრიკაში, მაგრამ არა საკუთარ სამშობლოში რომ საქმიანობენ, ლეგიონერთა თითქმის 100-პროცენტიან მაჩვენებელს მივიღებთ. ახლა მწვრთნელებსაც გადავხედოთ. 16 მწვრთნელიდან, რომელთაც ნაკრებები აფრიკის თასზე საასპარეზოდ წაიყვანეს — 8 ევროპელია, ერთიც, განელთა თავკაცი, სულაც ბრაზილიიდან ჩასულა. კიდევ უფრო შთამბეჭდავია ბომბარდირთა ჩამონათვალი. 8 ჩატარებულ შეხვედრაში 21 გოლი გავიდა. 19 ბურთის ავტორები სწორედ ევროპელი აფრიკელები არიან.

პირველმა წრემ ზოგიერთ ნაკრებს იმედები ჩაუსახა, ზოგი პირიქით, იმედგაცრუებული დარჩა. შედეგების თვალსაზრისით განსაკუთრებული სენსაციები არ ყოფილა. გამონაკლისად შესაძლოა განელთა და კოტდივუარელთა ფრედ დასრულებული მატჩები მივიჩნიოთ. ისინი შესაბამისად კამერუნს და ტოგოს ხვდებოდნენ. განური ფეხბურთი ალმავლობის გზაზე დგას, ამას უმცროსი ასაკის განელ ფეხბურთელთა წარმატებებიც მოწმობს — ისინი ნებისმიერ ტურნირზე ფავორიტებად ითვლებიან. განელები თასის გათამაშების მასპინძლებიც არიან, რაც მათ შანსებს რამდენადმე ზრდის.

საპირისპიროდ, კამერუნის ნაკრები დღეს ის აღარაა, როჟე მილას ზეობის დროს რომ იყო. ამიტომაც 1:1 მოულოდნელობად შეიძლება ჩავთვალოთ. თუმცა ერთიცაა, დიდი შეჯიბრების გახსნითი მატჩი დამატებით დატვირთვას იძენს. ხოლო განელ სამუელ კუფურს ადრევე უთქვამს, საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ თამაში ორმაგად საპასუხისმგებლოა და ფსიქოლოგიურად ძალიან გაგვიჭირდებაო. აქ ისევ სტატისტიკას მივმართოთ. აფრიკის თასის გათამაშების ისტორიაში ეს მეოთხე შემთხვევაა, რომ პირველი მატჩი ფრედ დასრულდა.

როგორც ვთქვით, კოტ დივუარის ტოგოელებთან ფრეც ერთგვარად მოულოდნელი იყო. კოტ დივუარელებს უძლიერესი ნაკრები არ ჰყავთ, თუმცა ტოგოს უდავო აუტსაიდერად მიიჩნევდნენ და აქედან გამომდინარე, მისი დამარცხება ძნელი არ უნდა ყოფილიყო. აქვე აღსანიშნავია, რომ ტოგოელთა გერმანელ მწვრთნელ გოტლიბ გოელერს ორ ფრონტზე უხდება ბრძოლა. ოთხშაბათს მან თქვა, მუშაობის სურვილი ჩამიკლესო და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციისკენ მიუთითა. „დღეს დილით ფედერაციის პრეზიდენტმა (ტოგოურ ფეხბურთს ქვეყნის პრეზიდენტის შვილი მეთაურობს) დამირეკა და სალანძღავი სიტყვები არ დაუკლია. არადა, ამ კაცს ფეხბურთი არ ესმის. არც რაიმე საინტერესო იდეა აქვს. ელემენტარული ორგანიზაციული საკითხები ვერ მოუგვარებია და პრეტენზიებს კი მიყენებს“ — ჩივის გოელერი. რა ქნან მწვრთნელმა და ფეხბურთელებმა? დაგვიანებულ-გაუცემელ ხელფასზე რომ არაფერი ვთქვათ, ყოველ მესამე დღეს უპრინციპულესი მატჩის გასამართად მოთამაშეებს ძალების აღდგენა სჭირდებათ. ფედერაციის პრეზიდენტს კი უთქვამს, ვიტამინების მომარაგება დამვიწყებია და თავად მოახერხეთ რამეო. როდესაც ქვეყნის საფეხბურთო მეურნეობა თავდაყირა დგას, კოტ დივუართან აღებული ერთი ქულა ნამდვილად გასაოცარი და საგმირო საქმეა. რას მიაღწევენ ტოგოელები დარჩენილ შეხვედრებში? ალბათ არაფერს. მათი შემდეგი მეტოქეები განას და კამერუნის ძლიერი ნაკრებები არიან.

ტოგოელთა ცუდი კვება და ავიტამინოზი ვახსენეთ. 25 იანვარს საღამოს კონგოელებიც მშივრები დარჩნენ, თუმცა ცუდი მომარაგება აქ არაფერ შუაშია. კონგოელთა მწვრთნელმა დევიდ მემიმ თქვა, მაროკოსთან მარცხი ფეხბურთელებმა ისე განიცადეს, ვახშამს ვერ მიეკარნენო. წაგება კი მართლაც დასანანი იყო. ხომ გინახავთ, ერთი გუნდი მთელი 90 წუთი უტევს, გოლი კი მეტოქეს გააქვს. ამ შეხვედრაშიც მსგავსი რამ მოხდა. კონგოელმა მცველმა კამილ ოპანგამ ისიც თქვა: „ახლა დავრწმუნდი ღმერთი მაროკოელია“ (მკრეხელობა მივუტევოთ, თუმცა აფრიკულ რელიგიებს რას გაუგებ). თავად მაროკოელები ცუდ თამაშს, ნუ გაიკვირვებთ და, აუტანელი სიცხით ხსნიან (თითქოს ისინი არქტიკაში მცხოვრებლები იყვნენ). მაროკოელთა საუკეთესო ფეხბურთელი მუსტაფა ჰაჯი, ვინც 1998 წელს საუკეთესო აფრიკელ მოთამაშედ აღიარეს, თავს ასე იმართლებს: „კარგა ხანია, ევროპაში ვთამაშობ, სადაც კლიმატი უფრო ცივია, ამიტომ აფრიკულ სიცხესთან შეგუება გამიჭირდა“.

სიცხის, თუ სხვა რამის გამო ოთხ ეგვიპტელ ფეხბურთელს გრიპი შეეყარა. ესენი არიან: თავდამსხმელი ჰაზემ იმამი, ასევე მცველები მოჰამედ ომარა, იასერ რადვანი და ჰანი რამზი. ეგვიპტელთა მწვრთნელი ჟერარ ჟილი წუხს, ფეხბურთელთა ავადმყოფობამ გეგმები ამირია, თუმცა ვიმედოვნებ, სწრაფად გამოჯანმრთელდებიან და სენეგალის წინააღმდეგ თამაშს შეძლებენო. აქვე ვთქვათ, რომ მეორე ტურში განელი სამუელ ჯონსონის თამაშიც საეჭვოა. ჯონსონს ვარჯიშის დროს მუხლი უტკენია, მაგრამ ეგვიპტელთა მსგავსად ისიც იმედიანადაა. ამბობს, ტრავმა სერიოზული არაა და ბოლომდე რომც ვერ მოვირჩინო, მინდორზე გასვლას მაინც შევძლებო. ისე, ჯონსონს აფრიკის თასზე თამაშისას უიღბლობა დასჩემდა. ჯერ კიდევ 1994 წლის გათამაშებისას, რასაც ტუნისმა უმასპინძლა, ფეხბურთელმა ფეხი მოიტეხა.

დიდ ტურნირებზე მონაწილე ქვეყნების დელეგატებისა და ჟურნალისტების გარდა, სელექციონერთა მრავალრიცხოვანი არმიაც ჩადის. ისინი ამომავალ ვარსკვლავებს ეძებენ. აფრიკის თასის წინა გათამაშებაზე ასეთად 19 წლის ბენი მაკკარტი იქცა. ახლა მთელი ყურადღება გაბონელ შივა ნჟიგუსკენ არის მიპყრობილი. სამხრეთაფრიკელებთან მატჩის დღეს მას 16 წელი და სამი თვე შეუსრულდა. ნჟიგუ აფრიკის თასის ფინალურ ეტაპზე ოდესმე მოთამაშე ფეხბურთელთაგან ყველაზე ახალგაზრდაა. გაბონელმა ყმაწვილმა პირველ ტურში ძალიან კარგად ითამაშა და ძლიერ მეტოქეს გოლიც შეუგდო. ნჟიგუ ამჟამად „ნანტის“ ახალგაზრდულ გუნდში თამაშობს და საფრანგეთში დაბრუნებულმა იქნებ კლუბის ძირითად შემადგენლობაშიც ამოყოს თავი.

აქამდე აფრიკის თასზე მონაწილეთაგან ყველაზე ახალგაზრდად სიერალეონელი მოჰამედ კალონი ითვლებოდა. 1996 წელს სამხრეთ აფრიკაში ჩასული ფეხბურთელი ნჟიგუზე მხოლოდ ცხრა დღით იყო უფროსი. კალონი ამჟამად „ბოლონიას“ ღირსებას იცავს.

**გიორგი დარჯანია**



სამხრეთაფრიკელები მომავალ ტურში კონგოელებთან სათამაშოდ ბუნების წიაღში ემზადებიან

# ჩერქეზიშვილი განსაკუთრებულს არაფერს ითხოვს

## ნაკრები „ქმური ამბავი“ კი არა, საქვეყნო საქმეა

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს 12-16 აპრილს თანატოლთა ევროპის ჩემპიონატის ბოლოსწინა, შესარჩევი ტურნირი აქვს სათამაშო. რეალური სურათი ასეთია: ჭაბუკთა მწვრთნელ ნიკო ჩერქეზიშვილს საკვალიფიკაციო თამაშების შემდეგ გუნდთან ვარჯიშის საშუალებაც არ ჰქონია...

მერე კი აუცილებლად მოვითხოვთ შედეგს. დრო მოვა და მტყუან-მართალის გარჩევას დაიწყებენ. ქართული ხასიათიდან გამომდინარე, განტევების ვაციც მოინახება...

სხვა თუ არაფერი, ყმაწვილები ჯერ კიდევ ამბობენ თავიანთ სიტყვას, კვალს ტოვებენ და საკალათბურთო ევროპაც გვაღიარებს, ნიჭი უკვალოდ არ ქრებაო და საამაყოდ ესღა შეგვრჩენია, რაც ბუნებით მოგვდგამს...

ხვალინდელი დღე — ალბათ, ეს არის ჩვენი უმთავრესი საფიქრალი, ეს თუ ასულდგმულებს კალათბურთის ქართველ ქომაგს.

ჭაბუკთა მთავარ მწვრთნელ ნიკო ჩერქეზიშვილთან სასაუბრო თემა, ვფიქრობთ, დღესავით ნათელია — საფრანგეთამდე დრო ცოტა დარჩა, რა გაკეთებულა, რა კეთდება, რისი უნდა გვეიმედებოდეს?...

— გუნდი, რომელიც სერიოზულ მიზანს ისახავს, უნდა ვარჯიშობდეს, წარმატების წინაპირობა სრულფასოვანი მზადებაა, საამისოდ კი არანაირი პირობები არ გვაქვს, ჯერჯერობით უმოქმედოდ ვართ...

**— უსახსრობა, უფულობა, ეგ გასაგებია, კიდევ რა გიშლით ხელს?**

— ელემენტარულად, გუნდის მოსამზადებელი გეგმა ვერ შევადგინეთ მწვრთნელებმა, რა აზრი აქვს რაიმის წინასწარ დაგეგმვას, თუ ვერ განვახორციელებთ. ბევრი რამ გვაფერხებს, რომელი ერთი ჩამოვთვალო, საიდან დავიწყო? ფედერაციას არა აქვს ფული და ამას შევეგუეთ, ხვალ რა იქნება, ვერ გეტყვით, მხოლოდ ის ვიცი, რომ ღვთის ანაბარა ვართ, სხვა გამოსავალს ნამდვილად ვერ ვხედავ.

**— მაშ, უიმედოდ ხართ?**

— აქტიურ სპორტს ახლახან გამოვეთხოვე. ძალიან აზარტული ვარ და მარცხს წინასწარ ვერასდროს ვეგუები. უიმედობა არ ჯდება ჩემს ხასიათში, მწამს, რომ თავს არ შევირცხვენთ, ამ თაობამ თავისი უნდა თქვას, აქვს კიდეც საამისო უნარი.



გურამ [illegible] ფოტო

ნიკო ჩერქეზიშვილი

უბრალოდ, მეტი პასუხისმგებლობით უნდა მიუდგნენ ამ საკითხს, ბიჭების შეკრება არ უნდა იქცეს პრობლემად, კლუბების მესვეურებმაც ბოლოს და ბოლოს უნდა შეიგნონ, რომ ქვეყნის ინტერესებისთვის ყველაფერი გვერდზე გადადონ. განსაკუთრებულს ხომ არ ვითხოვ, მინდა, რომ აქ მოთამაშე ნაკრების კანდიდატები კვირაში ორჯერ შევკრიბო და ვავარჯიშო. რატომ უნდა მეშლებოდეს ხელი?

**— ეს ალბათ პირველ რიგში ფედერაციის პრეროგატივაა...**

— უკანასკნელ აღმასკომის სხდომაზე საკმაოდ მწვავე საუბარიც გაიმართა. ფედერაციის აღმასკომმა ახლა უკვე დაავალდებულა კლუბები, რომ საჭიროების შემთხვევაში მათ შეუფერხებლად გამოუშვან კალათბურთელები. სამწუხაროდ, საქმე აქამდე მივიდა. როდემდე უნდა ვირბინო და არიქა, ძმურად, გამოუშვი-მეთქი, ვთხოვო. სიმართლე გითხრათ, ეს მე არც მეთაკილება, ყველას ვთხოვ, მხარში ამომიდგნენ, თუ არა, ხელს მაინც ნუ შემიშლიან.

**— როდიდან შეუდგებით მზადებას?**

— იმ კვირიდან დავიწყებთ ვარჯიშს. რა თქმა უნდა, სრულფასოვნად ვერ მოვემზადებით თუნდაც იმიტომ, რომ ლეგიონერების ჩამოყვანის საშუალება არ გვაქვს. ვფიქრობ, მაინც ეს არის ყველაზე დიდი სირთულე, უცხოეთში მოთამაშე ჭაბუკები ამ ნაკრების ძირითადი ფიგურები არიან, ისინი კი პირდაპირ საფრანგეთში შემოგვიერთდებიან, სხვა შანსი არ არსებობს.

**— მათი ჩამოყვანა არანაირად არ ხერხდება?**

— გამორიცხულია. საფრანგეთში გამგზავრებამდე ალბათ გუნდი ორკვირიან შეკრებას გაივლის, თუმც ულეგიონეროთ. არადა, სწორედ მათზე ვაკეთებს აქცენტს, ფაჩულია, ცქიტიშვილი და უგრეხელიძე ის მოთამაშეები არიან, რომელთათვისაც საგანგებოდ უნდა დაიდგას თამაში. ჩვენ კი ამის საშუალება არ გვექნება, თავს იმითღა ვანუგეშებთ, რომ სამივე მათგანი სათანადოდ მომზადებული ჩამოვა, ამაში ეჭვიც არ გვეპარება.

**— თქვენ ძალიან ძნელი ჯგუფი გერგოთ. მასპინძელი საფრანგეთი, რუსეთი, თურქეთი, სლოვენია და პოლონეთი. მეტოქეებზე თუ გაქვთ რაიმე წარმოდგენა?**

— მხოლოდ ფრანგებზე. მათ საკვალიფიკაციო ტურნირზეც შევხვდით და მეტ-ნაკლებად აზრიც ჩამოგვიყალიბდა. სულ ცოტაც და მოვუგებდით, მხოლოდ ოთხი ქულით დავმარცხდით. ოდნავ უკეთესი მომზადების საშუალება რომ გვქონდა, დარწმუნებული ვარ, გავიმარჯვებდით. პირადად ვესაუბრე მათ მთავარ მწვრთნელს და არც დაუმალავს, რომ სლოვაკურ ტურნირამდე გუნდმა ორი სრულფასოვანი შეკრება მოაწყო და 20 ამხანაგური თამაში გამართა. წარმოიდგინეთ, ამ ეტაპისთვის როგორი მომზადებულები იქნებიან. დანარჩენებზე, სამწუხაროდ, ვერაფერს გეტყვით, სადღეისოდ მათი არაფერი ვიცით, სლოვენიაზე თუ შევიქმნით გარკვეულ წარმოდგენას, ისიც იქ მოთამაშე ლეგიონერების დახმარებით.

**— როგორც ცნობილია, თურქთა ნაკრებთან ამხანაგურად გაჯიბრებას გეგმავდით, საუბარი იყო ისრაელურ შეკრებაზეც...**

— ორივე ვარიანტი გამოირიცხა. თურქეთი საფრანგეთში ჩვენი უშუალო მეტოქე იქნება და მათთან სპარინგი არ არის მიზანშეწონილი. ისინი შეისწავლიდნენ ჩვენს თამაშს, პირობებიც აქვთ და მიზანმიმართულად წარმართავდნენ მუშაობას. ებრაელებსაც უარი შევუთვალეთ, ჩვენს სამასპინძლოდ ისეთი დრო შეარჩიეს, ხელს არ გვაძლევს. იქიდან პირდაპირ საფრანგეთში ჩასვლა არ გვიხერხდებოდა, გამოდიოდა, რომ საქართველოში უნდა დავბრუნებულიყავით და მეორე დღეს საფრანგეთში გავმგზავრებულიყავით. სხვა თუ არაფერი, ამდენი მგზავრობა ნამდვილად არ იმოქმედებდა გუნდზე დადებითად.

**— ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასაღწევად საუკეთესო სამეულში უნდა მოხვდეთ. სადღეისოდ ეს ალბათ მაქსიმუმიც იქნება, თუმც ერთიცაა — მიხვდებოდით, მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობის პერსპექტივას ვგულისხმობ...**

— მაგაზე ფიქრი ჯერ ნაადრევია. ფინალში თუ გავედით, ჩათვალეთ, რომ თავს გადავახტით, შეუძლებელი შევძელით. სხვა მხრივ, თქმაც არ უნდა, მაგაზე ვოცნებობთ, ევროპაში თავი ვისახელოთ და ხუთეულში მოვხვდეთ, რაც მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლებას მოგვცემს. ყოველივე ამის ნაყოფს კი ქართული კალათბურთი მოიმკის, თუ ჩვენი სურვილი ასრულდება, მაშინ ჩათვალეთ, რომ სულ ცოტა, სამი მოთამაშე ეროვნული ნაკრების წევრია. ამ თაობას კი მართლაც რომ შეუძლია, თვალებში გამოახედოს ჩვენი კალათბურთი.

გიორგი ბიკაშვილი

# არტურას კარნიშოვასი: უპირველესად კარიერა, დანარჩენი კი მერე...

*ლიტვის ნაკრების და ბოლონიის „ფორტიტუდოს“ ფორვარდი არტურას კარნიშოვასი 28 წლისაა, მაგრამ ევროპის ოთხი ქვეყნის ჩემპიონატშიც მოასწრო თამაში და ამერიკის შეერთებული შტატების სტუდენტურ ლიგაშიც. კარნიშოვასი სააგენტო „ევრობასკეტს“ ესაუბრა და რამდენიმე საინტერესო მოსაზრება გამოთქვა*

**— რას ფიქრობთ „ფორტიტუდოს“ საევროლიგო შანსებზე?**

— „ფორტიტუდო“, როგორც ყოველთვის, ამჟამადაც ნიჭიერი და ძლიერი კალათბურთელებითაა სავსე, მაგრამ მთავარი იმის დამტკიცებაა, რომ მართლა დიდი გუნდი ვართ. ამის საშუალება კი პლეი ოფის დაწყებისთანავე მოგვეცემა.

**— თქვენ ესპანეთის, საბერძნეთის, საფრანგეთის და იტალიის ჩემპიონატებშიც გითამაშიათ და ამერიკის სტუდენტურ ლიგაშიც. თვლით, რომ სტუდენტური ლიგა ამ ოთხ ჩემპიონატზე ძლიერია?**

— ვფიქრობ, აღნიშნული ჩემპიონატები უფრო მაღალი დონისაა... სტუდენტები ნიჭიერები, მაგრამ ახალგაზრდები და გამოუცდელები არიან. ევროპული გუნდები კი უკვე ჩამოყალიბებულ მოთამაშეებს იყვანენ.

**— თქვენი თამაშის სტილი კლასიკურია: ბევრი სროლა და ჩაგდების მაღალი პროცენტი. ამასთანავე, სეტონ ჰოლის უნივერსიტეტის გუნდის ლიდერი იყავით და ეს მაშინ, როცა ამერიკელები ადგილობრივ მოთამაშეებს ამჯობინებენ. რას იტყვით ამის თაობაზე?**

— ამერიკელები ამჯობინებენ კარგ კალათბურთს... ევროპელი ამერიკაში რომ ჩადის, თავის სახეს ჰკარგავს და ერთ-ერთი რიგითი იქაური ხდება. შტატებში 300 უნივერსიტეტია და ძალიან ძნელია ამდენ მოთამაშეს შორის გამორჩევა. მიზანს კარგი მოთამაშეები და ძლიერი პიროვნებები აღწევენ. მარტო ნიჭი საკმარისი არ არის, ბევრი შრომაა საჭირო.

**— ყოფილ სეტონჰოლელ თანაგუნდელებთან თუ გაქვთ ურთიერთობა?**

— ყოველ ზაფხულს ჩავდივარ სეტონ ჰოლში და რამდენიმე ყოფილ თანაგუნდელს ვხვდები.

**— ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოხვედრის შანსი გქონიათ?**



არტურას კარნიშოვასი (ბურთით) „ფორტიტუდოს“ საევროლიგო მატჩში ზაგრების „ციბონას“ წინააღმდეგ

— დიახ, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მქონდა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოხვედრის შანსი, მაგრამ ბევრი ფიქრის მერე ევროპაში თამაში ვარჩიე.

**— რა არის თქვენი ბრწყინვალე სროლის საიდუმლო?**

— განსაკუთრებული არაფერი, შრომა და ვარჯიში...

**— უძლიერესი ლიტველი კალათბურთელები სხვადასხვა ქვეყნების კლუბებში თამაშობენ. როგორ თვლით, ეს პროცესი ლიტვური კალათბურთისთვის კარგია თუ ცუდი?**

— ეს პროცესი არ შეჩერდება მანამ, სანამ ლიტვის საკალათბურთო ლიგა უკეთეს სპონსორებს არ გამოძებნის. კალათბურთელები პროფესიონალი სპორტსმენები არიან და ცდილობენ, ხანმოკლე კარიერის მანძილზე საუკეთესო პირობები ჰქონდეთ. სხვა საქმეა ეროვნული ნაკრები. იქ თამაში, შენი ქვეყნის სახელის დაცვა, უდავოდ საპატიოა, მაგრამ სპორტსმენისთვის უმთავრესი მაინც პროფესიული კარიერა უნდა იყოს.

**— კარიერას ლიტვაში დაასრულებთ?**

— არა. ლიტვის ეროვნულ ნაკრებში საკმარისად მითამაშია, მაგრამ ლიტვაში კარიერის დასრულებაზე არ მიფიქრია. თუმცა, რა იცი, ყველაფერი ხდება...

**— თქვენი კარიერის დასრულებამდე ჯერ დიდი დროა, მაგრამ რას გააკეთებთ, კალათბურთს თავს რომ დაანებებთ?**

— ამ საკითხზე ჯერ არ დავფიქრებულვარ. არ გამოვრიცხავ, რომ ჩემი კარიერისშემდგომი სამუშაო კალათბურს დაუკავშირდეს.

**— ბევრ ქვეყანაში გიცხოვრიათ. თქვენი ნება რომ იყოს, რომელ მათგანში გაატარებდით ცხოვრების დარჩენილ ნაწილს?**

— ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ და მითამაშია, მაგრამ ამ მომენტისთვის ყველას ამერიკა მირჩევნია. სამწუხაროდ, არ ვიცი, სად გაგრძელდება ჩემი კარიერა, არ ვიცი, სად იქნება ჩემი მომავალი სამსახური და, ამდენად, არც ის ქვეყანა ვიცი, სადაც იტალიის შემდეგ ვიცხოვრებ.

## სლოვენია

XIX ტური

**ჰელიოსი — პივოვარნა 57:78, ოლიმპია — ზაგორიე 94:56, კრაშკი ზიდარი — ტელეკომი 64:69, ლოკა კავა — მარიბორი 95:80, ტრიგლავი — როგლა ატრასი 86:77**

**სავინსკი 81:64 სლოვანი**

**სავინსკი: კადიჩი (13), კობალე (14), უდრიჰი (17), ოჯჩინა (8), ნიკიტოვიჩი (8), კაპრიმანოვიჩი (10), იოსიპოვიჩი, ჩმერი, ციზე (11)**

**სლოვანი: ლაკოვიჩი (2), ჟაკელი (2), შინკოვეცი (2), ჯურკოვიჩი (12), კოვაჩი (2), პავიჩი (2), ბოისა (15), მარავიჩი (15), შუშტარშიჩი (12)**

ლიუბლიანის „სლოვანმა“ ვერ მოიგო და ამიტომ ექვსეულში ვადაზე ადრე ვერ მოხვდა. სავარაუდოა, რომ ქართველების გუნდი ამ ამოცანას ვერც მომდევნო ტურში გადაჭრის, რადგან მისი მეტოქე ლიუბლიანის „ოლიმპია“ იქნება. ისე, ძალიან მცირე შანსია, რომ „სლოვანმა“ ექვსეულში ვერ გააღწიოს, მაგრამ პოლზელას „სავინსკისთან“ წაგებით საქმე რომ გაურთულდა, ესეც ფაქტია.

„სავინსკი“ რიგიანი გუნდია და ის, რომ ექვსეულში მოხვედრა საოცნებო გახდომია, ძირითადად შიდასაკლუბო პრობლემების ბრალია. „სლოვანთან“ მარცხის შემთხვევაში, გუნდის საექვსეულო შანსები თითქმის ნულოვანი ხდებოდა, ამიტომაც პოლზელელებმა მატჩი მობილიზებულებმა დაიწყეს. „სლოვანი“ კი შეთხელებული გახლდათ. წინა ტურში გრიპის გამო უთამაშებელ დავით უგრეხელიძეს, იმავე სენით დაავადებული ნიკა ცქიტიშვილი და ერნესტ ნოვაკი მიემატნენ. მეათე წუთამდე მატჩი თანაბარი იყო, მერე კი „სავინსკიმ“ უპირატესობა იგდო ხელთ და ტაიმი 35:24 მოიგო. მსაჯებმა გუნდებს ხისტი თამაშის საშუალება მისცეს, რაც ხანდახან უხეშობაში გადაიზრდებოდა ხოლმე. სლოვანელებს უფრო ადრე მოეშალათ ნერვები და მსაჯებთან კამათი დაიწყეს. ამის შედეგად ლიუბლიანელთა ორი მოთამაშე და მწვრთნელი ტომო მაჰორიჩი ტექნიკურ ჯარიმებს გამორჩნენ. გუნდის თამაში აირია და 27-ე წუთზე „სავინსკი“ 22 ქულით იგებდა (52:30). მასპინძლებმა იმძლავრეს ფარზე (29:20), ხოლო მატჩის მიწურულს სლოვანელი ვლადიმერ ბოისას თავგამოდება მხოლოდ ანგარიშის ოდნავ შემცირებისთვისღა აღმოჩნდა საკმარისი.

ქართველთაგან მოედანზე ეულად დარჩენილმა ბოისამ 31 წუთი ითამაშა, ოთხი სამქულიანიდან ორი ჩააგდო, ხოლო ორქულიანებსა და საჯარიმოებში ერთნაირი მაჩვენებელი ჰქონდა: ოთხიდან სამი. ვოვამ 6 ბურთიც მოხსნა, „სლოვანში“ ყველაზე მეტი.

„სლოვანმა“, აგერ უკვე მერამდენედ, დაკარგა მეოთხე ადგილი და წინ კრანის „ტრიგლავი“ გაუშვა, რომელმაც შინ იოლად მოუგო „როგლა ატრასს“. ლიუბლიანელთა მეორე კონკურენტმა, „ზაგორიემ“ სტუმრად დათმო შეხვედრა „ოლიმპიასთან“. სლოვენიის ჩემპიონმა მატჩის წინა დღეს დაითხოვა ამერიკელი უოლტერ ბერი, რომელიც გუნდში დეკემბრის ბოლოს მივიდა.

ხვალინდელი ტურის შემდეგ სლოვენიის ჩემპიონატში ორკვირიანი შესვენებაა. მომავალ შაბათს სლოვენიის „ოლ სტარია“, სადაც ადგილობრივი მოთამაშეების ნაკრები რჩეულ ლეგიონერებს დაუპირისპირდება. ლეგიონერთა გუნდში მოხვედრის კარგი შანსი აქვს ვლადიმერ ბოისას, საბოლოო შემადგენლობას კი მომავალ კვირაში დაასახელებენ.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 19 | 18 | 1 | 1696:1152 | 37 |
| პივოვარნა | 19 | 17 | 2 | 1654:1352 | 36 |
| კრკა | 19 | 15 | 4 | 1496:1317 | 34 |
| ტრიგლავი | 19 | 11 | 8 | 1387:1437 | 30 |
| სლოვანი | 19 | 10 | 9 | 1383:1336 | 29 |
| ზაგორიე | 19 | 10 | 9 | 1395:1487 | 29 |
| სავინსკი | 19 | 9 | 10 | 1499:1472 | 28 |
| მარიბორი | 19 | 6 | 13 | 1343:1605 | 25 |
| ლოკა კავა | 19 | 5 | 14 | 1323:1479 | 24 |
| როგლა ატრასი | 19 | 5 | 14 | 1348:1509 | 24 |
| ჰელიოსი | 19 | 5 | 14 | 1431:1625 | 24 |
| კრაშკი ზიდარი | 19 | 3 | 16 | 1342:1526 | 22 |

## საფრანგეთი

### XX ტური

**ნანსი — ბეზანსონი 63:57, მონპელიე — დიჟონი 75:79, გრაველინი — შამპანი 74:73, შოლე — ვილერბანი 65:66, საონი — ევრე 90:74, სტრასბური — ანტიბი 61:56, ლიმოჟი — ლე მანი 97:87, პარი სენ ჟერმენი — პო ორტეზი 82:53**

რადგან ევროთასებზე მატჩები არ ჩატარდა, საფრანგეთის ჩემპიონატის მე-20 ტური სამშაბათ-ოთხშაბათს გაიმართა. ამ ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ორხელისუფლებიანობა კვლავ აღდგა, რადგან „პოორტეზმა" წააგო, „ვილერბანმა" კი ძლივს, მაგრამ მოიგო.

პოელები პარიზს ესტუმრნენ და მასპინძლებთან გვარიანი სირცხვილიც ჭამეს. პსჟ-მ გასაკვირად იოლად დაამარცხა ჩემპიონატის ლიდერი. თამაშის დაწყებიდან თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ პარიზელები უკვე 14 ქულით დაწინაურდნენ, რაც ძირითადად სკიარას დამსახურება იყო. მან პირველ ტაიმში ყველა სამქულიანი ზუსტად შეასრულა. მეტოქის მსროლელების გაუვნებლება პოელებმა ვერაფრით შეძლეს და ტაიმი მთელი 19 ქულით დათმეს. დედაქალაქელებს უპირობო უპირატესობაზე მეტყველებდა სტატისტიკაც — მათ შვიდით მეტი მოხსნა მიითვალეს, ვიდრე სტუმრებმა და სროლების 59 პროცენტი ჩააგდეს, მეტოქემ კი მხოლოდ 40.

მეორე ტაიმიც იგივე სცენარით წარიმართა. „პოორტეზმა" ვერაფერი მოუხერხა სკიარას, რომელიც თავად თუ ვერ ისროდა, თანაგუნდელები გაჰყავდა ხელსაყრელი პოზიციაზე (7 პასი). მასპინძელთა ცენტრმა ჟულიენმა კი მეტოქის 213-სანტიმეტრიანი გოლიათი გულიაში დაჩაგრა და 26-ე წუთისთვის ანგარიში 51:32 გახდა. პოელებს კი ნამდვილად არაფერი გამოსდიოდათ. ერთადერთი ექსპარიზელი რიზაშე ირჯებოდა კარგად (22 ქულა), დანარჩენები კი... სვინსონმა პირველად ზუსტად 22-ე წუთზე ისროლა, მალე კი დიდიე გადუმ ხუთი ჯარიმის მიღებისთვის დატოვა მოედანი. არადა, იმ დროისთვის ჯერ ქულაც არ გაეკეთებინა და მხოლოდ ერთ მოხსნას ითვლიდა. საბოლოოდ „პო-ორტეზმა" მეოთხე სეზონური მარცხი იწვნია და მეორე დღეს მას „ვილერბანი" გაუთანაბრდა ქულებით.

შოლეში შეხვედრა ორივე გუნდმა მეტად უხეიროდ დაიწყო. ბევრი ბურთი დაიკარგა, იყო ხელსაყრელი მდგომარეობებიდან უზუსტოდ ტყორცნებიც. თავიდან მასპინძელი ერიკ მიკუ გამოერკვა და სტუმართა სამ ქულას სამი ზუსტი სამქულიანით უპასუხა. ამ დროს „ვილერბანის" მთავარმა მწვრთნელმა ბენიომ წუთშესვენება ითხოვა და თავისი შეგირდები ისე კარგად დამოძღვრა, მათ მომდევნო 8 წუთში მოწინააღმდეგეს 21:1 აჯობეს და მე-13 წუთისთვის 24:10 დაწინაურდნენ. შესვენებამდე დარჩენილ დროში „შოლე" უკეთ თამაშობდა და ანგარიშში სხვაობაც რვა ქულამდე (31:23) შეამცირა.

მეორე ტაიმიც სტუმართა უპირატესობით დაიწყო, მაგრამ მალე მათ ორი კალათბურთელი მოისაკლისეს. პლუვიმ ტრავმა მიიღო, საფრანგეთის ნაკრების წევრმა სონკომ კი — ხუთი პერსონალური შენიშვნა. შექმნილი სიტუაციით კარგად ისარგებლეს მასპინძლებმა და მიკუს (18 ქულა) და დიუბოს (16 ქულა) წინამძღოლობით ანგარიშში სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირეს, ბოლო წუთს კი წინ გასვლაც მოახერხეს (65:64). თუმცა ბოლო სიტყვა ლოვერნს დარჩა — მან ფარქვეშიდან გამარჯვების ორი ქულა მოუტანა თავის გუნდს და „ვილერბანიც" „პოორტეზს" დაეწია.

ძალიან ძლიერად ჩაატარა მატჩი „ლე მანის" წინააღმდეგ ლიმოჟელმა ბონატომ (36 ქულა). მას ბრაუნმა (24 ქულა) და ვეისმაც (13 ქულა) აუბეს მხარი და მიუხედავად იმისა, რომ სტუმართა უკანახაზელი ვულდრიჯი ბონატოზე არანაკლებ საუცხოოდ გაისარჯა (36 ქულა), მასპინძლებმა ზედიზედ მეხუთე მოგება მიითვალეს.

ზედიზედ მეცხრედ გაიმარჯვა „საონმა". მან 90:76 სძლა „ევრეს", რომელთანაც 1996 წლის მერე აღარ წაუგია. პირველი ტაიმის მერე ანგარიში 39:39 იყო, მაგრამ მეორე ოცწუთეულის დასაწყისში საონელებმა გაილაღეს და დროის მცირე მონაკვეთი 24:1 (!) მოიგეს. ამის მერე კი მათი გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 20 | 16 | 4 | 1517:1356 | 36 |
| პო ორტეზი | 20 | 16 | 4 | 1575:1477 | 36 |
| ლიმოჟი | 20 | 14 | 6 | 1507:1390 | 34 |
| საონი | 20 | 13 | 7 | 1516:1400 | 33 |
| პსჟ | 20 | 12 | 8 | 1472:1309 | 31 |
| დიჟონი | 20 | 11 | 9 | 1466:1445 | 31 |
| ლე მანი | 20 | 11 | 9 | 1521:1451 | 31 |
| შოლე | 20 | 11 | 9 | 1485:1455 | 31 |
| სტრასბური | 20 | 11 | 9 | 1439:1447 | 31 |
| ბეზანსონი | 20 | 8 | 12 | 1477:1465 | 28 |
| ნანსი | 20 | 8 | 12 | 1388:1445 | 28 |
| ევრე | 20 | 8 | 12 | 1372:1397 | 28 |
| შამპანი | 20 | 6 | 14 | 1333:1516 | 26 |
| ანტიბი | 20 | 6 | 14 | 1395:1482 | 26 |
| მონპელიე | 20 | 5 | 15 | 1358:1536 | 25 |
| გრაველინი | 20 | 4 | 16 | 1340:1590 | 24 |


AFP ფოტოსურათი

ლიმოჟი — ლე მანი 97:87. ლიმოჟელი ჰარპერ ვილიამსი (№13) ალექს ნელშას წინააღმდეგ

NBA

### რეგულარული ჩემპიონატი

# მაკუმენიზმმა ხუთწლიანი ტრადიცია მოშალა

26 იანვარი

**სიეტლი 95:92 ნიუ ჯერსი**

**სიეტლი:** პეიტონი (17), ვილიამსი (18), პატერსონი (17), ბეიკერი (23 ქულა, 13 მოხსნა), გრანტი (3); მაკკოი (5), დევისი (4), პერსონი (3), ლუისი (3), ფოსტერი (2)

**ნიუ ჯერსი:** მარბერი (24), კიტლზი (4), გილი (18), ვან ჰორნი (14), ფეიკი (4); ნიუმენი (14), ჰარისი (8), ბარელი (2), პერი (2), მაკილვეინი

ვოვა სტეფანია ამჯერადაც ტყუილად ელოდა მთელი მატჩის განმავლობაში მწვრთნელის ნიშანს, მოედანე შედიო. ვესტფოლს ეს აზრადაც არ მოსვლია. ასეთ დაძაბულ შეხვედრაში ქართველის შეშვებას როგორ გარისკავდა. სტეფანიას, ისევე როგორც ფეხნატკენ ძირითად მსროლელს ბრენტ ბერის, ერთი წუთიც არ უთამაშიათ. დანარჩენმა ათმა კი, ავად თუ კარგად, გაუსინჯა „ნიუ ჯერსის" კალათს გემო.


REUTERS ფოტოსურათი

ორლანდო — ბოსტონი. ორლანდოელი დარელ არმსტრონგი (თეთრ ფორმაში) და ბოსტონელი კენი ანდერსონი

ვესტფოლმა ბერის [illegible]ცვლად სტეფანიას ტოლი შემონდ[illegible]იამსი ათამაშა, რომელმაც წინა შე[illegible]აში „ნიუ იორკთან" თავიც გამოიჩინა. ვილიამსმა 18 ქულასაც მოუყარა თავი. არც სხვა სათადარიგოები გარჯილან ურიგოდ. მართალია, მათ ამდენი ქულები არ გაუკეთებიათ, მაგრამ აი, ჩაკ პერსონმა, „სიეტლის" ყველაზე ბებერმა წევრმა, მატჩის დამთავრებამდე 1,6 წამით ადრე გამარჯვების მომტანი სამქულიანი ჩააგდო, მანამდე კი დევისმა იყოჩაღა იმავე დისტანციიდან.

სტეფანიას გუნდში ბევრი საინტერესო კალათბურთელი თამაშობს და თითოეული მათგანი რაღაცითაა გამორჩეული. მაგალითად, სტეფანია იმით, რომ ნბა-ში მოთამაშე პირველი ქართველია, პერსონი კი... პერსონი ყმაწვილობაში ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე ახლა: იგი ლიგის ერთ-ერთ იმედისმომცემ კალათბურთელად ითვლებოდა. 1986-87 წლების სეზონში, რომელიც მისთვის პირველი იყო, ყველა თავის კბილას აჯობა და სეზონის საუკეთესო ახალბედას ტიტულიც დაისაკუთრა. პერსონი ფრთის მოთამაშეა და ერთობ ზუსტი ხელიც აქვს. ადრე ქულებსაც საკმაოდ აგროვებდა და მათი დიდი ნაწილი სამქულიანების ხარჯზე მოდიოდა. თუმცა, მართალი რომ ითქვას, პერსონი ბოლომდე ვერ გაიხსნა და წლების განმავლობაში რიგით მოთამაშედ რჩებოდა. ახლა ასაკმაც თავისი გაიტანა და ჩაკი „სიეტლ სუპერსონიქსის" სათადარიგოა, მაგრამ, სტეფანიასგან განსხვავებით, თითქმის ყველა შეხვედრაში მონაწილეობს. პერსონმა ძალიან დიდი და ამასთან მოულოდნელი სამსახური გაუწია თავის გუნდს, რომელიც სუსტი მეტოქისგან მოულოდნელად გვარიან წინააღმდეგობას გადააწყდა. იმ დღეს მოხუც ჩაკს სულ სამი წუთით თამაშის ბედნიერება მიეცა და ამ დროში მან ერთადერთხელ ისროლა ბურთი, ისიც თამაშის დამთავრებამდე 1,6 წამით ადრე, როცა ანგარიში 92:92 იყო. პერსონის ნასროლი ის ერთადერთი ბურთი ჩავარდა და გამარჯვებაც „სიეტლ სუპერსონიქსს" ხვდა წილად.

ბოლო წუთამდე გუნდებმა ბრძოლით მოაღწიეს. „სიეტლს" მანამდე ზედიზედ სამ აღმოსავლურ გუნდთან წაეგო და „ნიუ ჯერსის" შემართული შეეგება. არც ეს უკანასკნელი აღმოჩნდა ჯაბანი და დიდი ბრძოლაც გაჩაღდა. დასაწყისში „ნეთსმა" იმარჯვა, შემდეგ „სუპერსონიქსის" ჯერიც დადგა. ბოლო მეოთხედის დასაწყისში ანგარიში საყიამო იყო, პერსონის გადამწყვეტ სროლამდე კი ჯერ მასპინძელმა დევისმა ჩააგდო სამქულიანი. ეს მატჩის დასრულებამდე 52 წამით დარე მოხდა და „სიეტლი" 92:90 დაწინაურდა. ანგარიში სტუმარმა, ერთ დროს კი სიეტლელმა ქენდალ გილმა ზუსტი ორქულიანით გაათანაბრა — 92:92. პერსონმაც ამის შემდეგ იყოჩაღა.

„სიეტლმა" „ნიუ ჯერსის" ამ სეზონში მეორე და უკანასკნელი შეხვედრაც მოუგო. პირველი, ნიუ ჯერსში გამართული მატჩი, სუპერსონიქსის გამარჯვებით დასრულდა — 100:92.

მომდევნო შეხვედრაში სტეფანიას გუნდი „მილუოკი ბაქსს" შეერკინება 29 იანვარს, შინ.

**იუტა 99:116 ვანკუვერი**

**იუტა:** რასელი (16)

**ვანკუვერი:** აბდურ-რაჰიმი (30), ბიბი (28 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა)

**მილუოკი 112:104 საკრამენტო**

**მილუოკი:** ალენი (22), რობინსონი (21), კასელი (20 ქულა, 13 პასი)

**საკრამენტო:** ანდერსონი (24)

**ორლანდო 112:89 ბოსტონი**

**ორლანდო:** აბდულ-ვაჰადი (19)

**ბოსტონი:** უოლკერი (26)

**ტორონტო 120:105 ვაშინგტონი**

**ტორონტო:** კარტერი (26), კრისტი (21), მაკგრეიდი (20)

**ვაშინგტონი:** ჰოვარდი (22), სტრიკლენდი (15 ქულა, 13 პასი)

**ფილადელფია 87:93 ფინიქსი**

**ფილადელფია:** აივერსონი (18)

**ფინიქსი:** ჰარდევეი (27), რობინსონი (19)

ოთხშაბათს, 26 იანვარს, სოლტ ლეიკ სიტის საკალათბურთო დარბაზ „დელტა ცენტრში" შეკრებილი 19 ათასი მაყურებელი იშვიათი და ამავ დროს მათთვის მეტად არასასიამოვნო ამბის შემსწრე შეიქნა. შორეული კანადიდან ჩამოფრენილმა უსახურმა „ვანკუვერმა" თავისი ხუთწლიანი არსებობის მანძილზე პირველად მოუგო „იუტა ჯაზს", ბოლო წლების ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს. აქამდე ეს გუნდები ერთმანეთს 17-ჯერ შეხვედროდნენ და ყველა შემთხვევაში „ვანკუვერ გრიზლიზი" რჩებოდა დაჩაგრული. როგორც ჩანს, „დათვებს" მობეზრდათ მუდმივად წაგება და „იუტას" დასამარცხებლად ერთობ სერიოზულად მოემზადნენ. კანადელებს ხელსაყრელი დროც ჰქონდათ. ორი დღის წინ „ჯაზმა" ორმაგ ოვერტაიმიან მატჩში ძლივს მოუგო „ლოს ანჯელეს ლეიკერსს", მანამდე კი „პორტლენდსა" და „მინესოტას" ეჭიდავა. არ შეიძლებოდა, ამ გუნდებთან ბრძოლა არ დასტყობოდათ მასპინძლებს. ისინი აშკარად დაღლილები ჩანდნენ და ეს მატჩის დასაწყისშივე მშვენივრად შეიშნოვეს სტუმრებმა. დაღლილი იყო მეტოქის ლიდერი კარლ მელოუნი, დაღლილები იყვნენ სხვა იუტელებიც. თუ „იუტა ჯაზის" დამარცხება გაქვს გულში ამოჭრილი, მელოუნის გაჩერება უნდა დაისახო მიზნად. სტუმართაგან ის საქმე გრანტ ლონგმა იტვირთა. ზოგადად ლონგი არასტაბილური მოთამაშეა, მაგრამ ამ შეხვედრაში მან მშვენივრად წარმოაჩინა თავი. მართალია, იგი არცთუ ბევრს ფიქრობდა შეტევაზე და მხოლოდ ოთხჯერ ისროლა ბურთი მთელ თამაშში (სხვათა შორის, ოთხივეჯერ დალაშქრა მეტოქის ფარი), მაგრამ შეუდარებელი იყო დაცვაში და მელოუნი ხომ საერთოდ გააწამა. „ფოსტალიონი" ამგვარ წინააღმდეგობას არ ელოდა და დიდი ბრძოლისთვის არც იყო განწყობილი. ამისთვის ისიც დაისაჯა და მისი გუნდიც. საბოლოოდ მელოუნს სულ 13 ქულა მოუგროვდა, როცა მატჩში მისი საშუალო შედეგიანობა 25,8 ქულა, რითაც ლიგაში მეოთხეა.

შეტევაში კი გაიბრწყინა „ვანკუვერის" მუსლიმმა ფრთამ, შარიფ აბდურ-რაჰიმმა და ბაპტისტმა გამთამაშებელმა მაიკ ბიბიმ. მათი შეწევნით სტუმრები უკვე პირველ ნახევარში დაეუფლნენ საკმაო უპირატესობას რომელმაც ერთხელ, პირველ ტაიმში, 15 ქულასაც უწია, მეორეში კი „ვანკუვერი" გაოგნებულ მეტოქეს ერთხელ 25 ქულის სხვაობითაც გაექცა. „ასეთ წინააღმდეგობას არ ელოდნენ, მაგრამ ჩვენ ყველას დავანახვეთ, რომ იმაზე უკეთ თამაშიც შეგვიძლია, ვიდრე ეს სხვებს წარმოუდგენიათ. შევეცდებით, მომავალშიც ბევრი გავამწაროთ და ასეც ვიზამთ" — იქადნებოდა იმ გამარჯვების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი მაიკ ბიბი. შერცხვენილ „იუტას" კი ბედმა გაუღიმა და შეუნარჩუნა დასავლეთში მესამე საპატიო ადგილი, რაშიც კონკურენტ „საკრამენტოს" წვლილიცაა. „საკრამენტო" სტუმრად ვერ მოერია „მილუოკის".

„საკრამენტო კინგზს", ეს რამდენიმე დღეა, ლიდერი კრის ვებერი ვერა ჰყავს ფორმაში. ამ საღამოს მას სკოტ ვილიამსი მეურვეობდა. ვილიამსმა სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა და თავისიანებს სულ 17 ქულა და 14 მოხსნა შეწია. მან კარგადაც, იქნებ ზედმეტად მჭიდროდაც ეთამაშა ვებერს, რომელმაც რამდენჯერმე მიმართა მსაჯებს, ნახეთ, რა დღეში მაგდებსო, მაგრამ ამით მხოლოდ ტექნიკურებს გამოჰკრა ხელი და, პირველად თავის შვიდწლიან კარიერაში, მოედნიდან გააძევეს.

მოიგო „მილუოკის" მდევარმა „ტორონტომაც", კიდევ ერთმა კანადურმა გუნდმა, რომელსაც ვანკუვერისგან განსხვავებით, კლუბის ისტორიაში პირველად მიეცა პლეი ოფში მოხვედრის საკმაოდ რეალური შანსი. „რეპტორზის" ლიდერმა ვინს კარტერმა და მოედანზე მისმა ხელქვეითებმა სულ იოლად მოინელეს დედაქალაქელები. მართალი რომ ითქვას, ჯორდანის მოსვლამ კლუბის ხელმძღვანელობაში გარკვეულწილად დადებითი როლი შეასრულა. „ვაშინგტონის" მოთამაშეები უფრო სერიოზულად უდგებიან საქმეს, გამოცოცხლდა ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი როდ სტრიკლენდი და ბოლო თამაშებში მეტ ჯიგარს აქსოვს, მაგრამ „ვიზრდსის" ფეხზე დაყენებას ალბათ კარგი ხანი დასჭირდება.

შინაურ კედლებში დამარცხდა „ფილადელფია", რისი მთავარი მიზეზიც ალენ აივერსონის უხეირო გარჯაში უნდა ვეძებოთ. იმ დღეს ლიგის უპირველესი ბომბარდირი საკმაოდ შეავიწროვა „ფინიქსის" ლიდერმა ჯეისონ კიდმა, რომელმაც მართალია, სულ ხუთი ქულა გააკეთა, მაგრამ აივერსონსაც გვარიანად შეუშალა ხელი. მთავარი ფილადელფიელი სროლისას ხშირად სცოდავდა, 28-დან სულ შვიდი ჩააგდო და 18 ქულასღა დასჯერდა. სამაგიეროდ, საუკეთესოდ ითამაშა ანფერნი ჰარდევეიმ და „ფინიქსის" გამარჯვებაში ლომის წილი დადო.

**ირაკლი ფირაშვილი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ინგლისი. პრემიერლიგა. ჯგადადებული მატჩი
29 იანვარი
039 მანჩესტერი-მიდლსბრო 1,2 5,0 9,0
040 მანჩესტერი-მიდლსბრო
0:1 1,7 3,2 3,2

ინგლისი. I დივიზიონი. 29-ე ტური
29 იანვარი
041 ბირმინგემი-სტოკპორტი 1,9 2,9 3,6
042 კრ. პალასი-ჰადერსფილდი 2,5 2,9 2,5
043 გრიმსბი-ქრიუ 1,8 2,9 4,2
044 იფსვიჩი-შეფილდი 1,4 3,5 7,0
045 იფსვიჩი-შეფილდი
0:1 2,0 3,2 2,3
046 პორტსმუთი-ბარნსლი 3,2 2,9 2,1
047 ქუინზ პარკი-ნოტინგემი 1,6 3,0 5,6
048 უოლსოლი-ვულვერჰემპტონი 2,8 2,9 2,3
049 ვესტ ბრომვიჩი-სუინდონი 1,5 3,4 5,6

ინგლისი. II დივიზიონი. 29-ე ტური
29 იანვარი
050 ბლეკპული-ბრენტფორდი 2,5 2,9 2,5
051 ბორნმუთი-სკანთორპი 1,6 3,2 5,0
052 როვერსი-რექსემი 1,3 4,0 7,5
053 როვერსი-რექსემი
0:1 1,9 3,2 2,6
054 ბერი-ბრისტოლი 2,1 2,8 3,3
055 ჩესტერფილდი-მილუოლი 3,5 3,0 1,9
056 ოლდემი-ოქსფორდი 1,7 3,0 4,7
057 რედინგი-კოლჩესტერი 2,1 2,9 3,2
058 სტოკი-ბარნლი 1,9 2,9 3,6
30 იანვარი
059 კარდიფი-ლუტონი ($16^{15}$) 2,4 2,9 2,6

ინგლისი. III დივიზიონი. 29-ე ტური
29 იანვარი
060 ბრაიტონი-დარლინგტონი 2,6 2,9 2,4
061 კარლაისლი-მენსფილდი 2,4 2,9 2,6
062 ჩელტენემი-ჰარტლპული 2,3 2,9 2,8
063 ჩესტერი-ტორკი 3,2 2,9 2,1
064 ექსეტერი-როჩდეილი 2,6 2,9 2,4
065 ჰალიფაქსი-ლეიტონი 1,5 3,5 5,3
066 ლინკოლნი-ნორთჰემპტონი 2,4 2,9 2,6
067 მაკლსფილდი-ჰალი 1,7 3,1 4,4
068 პიტერბრო-პლიმუთი 1,8 2,9 4,2
069 შრიუსბერი-როტერჰემი 3,2 2,9 2,1
070 საუთენდი-სუონსი 2,8 2,9 2,3
071 იორკი-ბარნეტი 2,8 2,9 2,3

იტალია. სერია "ა". მე-19 ტური
29 იანვარი
072 ლეჩე-ვერონა 1,6 3,0 5,6
073 პიაჩენცა-უდინეზე 2,5 2,9 2,5
30 იანვარი
074 ბოლონია-პარმა 2,5 2,9 2,5
075 ფიორენტინა-რეჯინა 1,35 3,8 7,0
076 ფიორენტინა-რეჯინა
0:1 2,0 3,0 2,4
077 იუვენტუსი-კალიარი 1,25 4,4 8,0
078 იუვენტუსი-კალიარი
0:1 1,9 3,0 2,8
079 ლაციო-ბარი 1,3 4,0 7,5
080 ლაციო-ბარი
0:1 1,9 3,2 2,6
081 პერუჯა-მილანი 3,5 2,8 2,0
082 ვენეცია-ტორინო 2,1 2,8 3,3
083 ინტერი-რომა 1,9 2,8 3,8

იტალია. სერია "ბ". მე-21 ტური
28 იანვარი
084 ბრეშა-სამპდორია 2,1 2,5 3,6
30 იანვარი
085 ალძანო-ტერნანა 1,9 2,5 4,4
086 ჩეზენა-სალერნიტანა 2,6 2,5 2,8
087 კიევო-პესკარა 2,0 2,5 4,0
088 ემპოლი-სავოია 1,6 2,7 7,0
089 ჯენოა-ვიჩენცა 2,6 2,5 2,8
090 ნაპოლი-მონცა 1,5 3,0 7,5
091 პისტოიეზე-ფერმანა 1,7 2,6 6,0
092 ტრევიზო-ატალანტა 2,7 2,5 2,7
31 იანვარი
093 კოზენცა-რავენა 2,0 2,5 4,0

იტალია. სერია "ც1/ა". მე-21 ტური
30 იანვარი
094 კარარეზე-კრემონეზე ($17^{30}$) 1,8 2,6 5,0
095 ჩიტადელა-მოდენა ($17^{30}$) 1,5 3,1 7,0
096 კომო-სიენა ($17^{30}$) 2,7 2,5 2,7
097 ლუმეცანე-ბრეშელო ($17^{30}$) 1,9 2,6 4,2
098 ლივორნო-პიზა ($17^{30}$) 2,7 2,5 2,7
099 მონტევარკი-ალბინოლეფე ($17^{30}$) 2,5 2,5 2,9
100 რეჯანა-სანდონა ($17^{30}$) 1,6 2,8 6,5
101 სპალ-ლეკო ($17^{30}$) 1,7 2,6 6,0
102 ვარეზე-ლუკეზე ($17^{30}$) 2,4 2,5 3,0

იტალია. სერია "ც1/ბ". მე-21 ტური
30 იანვარი
103 ანკონა-ბენევენტო ($17^{30}$) 1,4 3,3 8,0
104 ანკონა-ბენევენტო ($17^{30}$)
0:1 2,1 3,0 2,3
105 აველინო-ასკოლი ($17^{30}$) 2,4 2,5 3,0
106 კატანია-მარსალა ($17^{30}$) 1,6 2,7 7,0
107 კროტონე-ჯულიანოვა ($17^{30}$) 1,5 3,0 7,5
108 დი სანგრო-არეცო ($17^{30}$) 2,6 2,5 2,8
109 გუალდო-ფ.ანდრია ($17^{30}$) 1,7 2,6 6,0
110 პალერმო-ლოდიჯანი ($17^{30}$) 1,5 3,0 7,5
111 სტაბია-ატლეტიკო ($17^{30}$) 1,6 2,8 6,5
112 ვიტერბეზე-ნოჩერინა ($17^{30}$) 1,6 2,7 7,0

ესპანეთი. I დივიზიონი. 22-ე ტური
29 იანვარი
113 სელტა-ატლეტიკო 1,7 3,0 4,7
30 იანვარი
114 სოსიედადი-რაიო ვალეკანო 2,0 2,9 3,4
115 სარაგოსა-სევილია 1,4 3,5 7,0
116 სარაგოსა-სევილია
0:1 2,0 3,2 2,3
117 რასინგი-ოვიედო 1,9 2,9 3,6
118 ესპანიოლი-ბარსელონა 4.2 2.9 1.8
119 ალავესი-ვალენსია [illegible]
120 ბეტისი-მალაგა 1.8 2.9 4.2
121 ვალიადოლიდი-დეპორტივო 2,8 2.9 2.3
122 ნუმანსია-მალიორკა 2,3 2.8 2.9
123 რეალი-ბილბაო 1,6 3.0 5.6

ესპანეთი. II დივიზიონი. 24-ე ტური
29 იანვარი
124 უელვა-ლას პალმასი 3.2 2.9 2.1
125 მერიდა-კომპოსტელა 2.0 2.9 3.4
126 ვილიარეალი-ალბასეტე 1.6 3.0 5.6
30 იანვარი
127 ატლეტიკო "ბ"-ოსასუნა (1500) 2.1 2.9 3.2
128 ლეგანესი-ესტრემადურა 2,8 2.9 2.3
129 ეიბარი-ხეტაფე 1.9 2.8 3.8
130 ელჩე-ბადახოსი 2,5 2.9 2.5
131 ლევანტე-სალამანკა 2,4 2.9 2.6
132 სპორტინგი-ლოგრონიესი 1,5 3.4 5.6
133 ტოლედო-კორდობა 2.4 2.9 2.6
134 ტენერიფე-ლეიდა 1,8 2.9 4.2

პორტუგალია. მე-19 ტური
29 იანვარი
135 ფარენსე-გიმარაეში 3,0 2.9 2.2
136 ბოავიშტა-კამპომაიორენსე 1,35 3.8 7.0
137 ბოავიშტა-კამპომაიორენსე
0:1 2,0 3.0 2.4
30 იანვარი
138 ამადორა-ლეირია 1,6 3.0 5.6
139 ჟილ ვისენტე-ბელენენსეში 2,0 2.8 3.5
140 სანტა კლარა-მარიტიმუ 2,5 2.9 2.5
141 რიუ ავე-ბრაგა 2,1 2.9 3.2
142 ალვერკა-პორტუ 5,0 2.9 1.7
143 სალგეირუში-ბენფიკა 4.2 2.9 1.8
31 იანვარი
144 სეტუბალი-სპორტინგი 5,6 3.0 1.6

ჰოლანდია. გადადებული მატჩები
29 იანვარი
145 გრააფსხაპი-კამბური 1,7 3.0 4.7
146 სპარტა-ჰერენვენი 3,6 2.9 1.9

ბელგია. მე-21 ტური
28 იანვარი
147 სტანდარდი-გენკი 2.0 2.9 3.4
29 იანვარი
148 შარლერუა-გენტი 2,8 2.9 2.3
149 გეელი-ლოკერენი 2,5 2.9 2.5
150 სენტ ტრუიდენი-ბეერსხოტი 2,8 2.9 2.3
151 ლომელი-ანდერლეხტი 5,6 3.4 1.5
152 ბევერენი-მეხელენი 2,1 2.9 3.2
30 იანვარი
153 ბრიუგე-აალსტი 1.2 5.0 9.0
154 ბრიუგე-აალსტი 0:1 1.7 3.2
3,2
155 ლიერსი-ჰარელბეკე 1,3 4.0 7.5
156 ლიერსი-ჰარელბეკე 0:1 1.9 3.2
2,6
157 მუსკრონი-ვესტერლო 1,8 2.9 4.2

საბერძნეთი. მე-17 ტური
30 იანვარი
158 კალამატა-აეკ ($17^{00}$) 5,3 3.1 1.6
159 ოფი-არისი ($17^{00}$) 1,6 3.0 5.6
160 პაოკ-ტრიკალა ($17^{00}$) 1,2 5.0 9.0
161 პაოკ-ტრიკალა ($17^{00}$)
0:1 1,7 3.2 3.2

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 162 | ქსანთი-იონიკოსი ($17^{00}$) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 163 | პანათინაიკოსი-კავალა ($17^{00}$) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 164 | პანათინაიკოსი-კავალა ($17^{00}$) 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 165 | პანაჰაიკი-ოლიმპიაკოსი ($17^{00}$) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 166 | ეთნიკოსი-აპოლონი ($17^{00}$) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 167 | პროდეფტიკი-პანილიაკოსი ($17^{00}$) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 168 | ირაკლისი-პანიონისი ($17^{00}$) | 1,7 | 3,0 | 4,7 |

თურქეთი. მე-18 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 28 იანვარი | | | |
| 169 | ვანი-ფენერბაჰჩე | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| | 29 იანვარი | | | |
| 170 | ქოჯაელი-გიოზთეფე ($15^{30}$) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 171 | ისთანბული-ანთალია ($15^{30}$) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 172 | ანკარაგიუჯუ-სამსუნი ($15^{30}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 173 | ბეშიქთაში-გენჩლერბირლიგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 174 | ბეშიქთაში-გენჩლერ. 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 30 იანვარი | | | |
| 175 | ალთაი-ბურსა ($15^{30}$) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 176 | დენიზლი-ერზურუმი ($15^{30}$) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 177 | ტრაბზონი-ადანა ($15^{30}$) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 178 | გაზიანთეფი-გალათასარაი | 3,8 | 2,8 | 1,9 |

ინგლისი. თასის 1/8 ფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 29 იანვარი | | | |
| 179 | კემბრიჯი-ბოლტონი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 180 | ქოვენთრი-ჩარლტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 181 | ევერტონი-პრესტონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 182 | ფულემი-ტრანმერი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 183 | ჯილინგემი-უენსდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 30 იანვარი | | | |
| 184 | ასტონ ვილა-ლიდსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 185 | ჩელსი-ლესტერი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | 31 იანვარი | | | |
| 186 | ბლექბერნი-ნიუკასლი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

საფრანგეთი. ლიგის თასის 1/8 ფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 29 იანვარი | | | |
| 187 | მონაკო-სტრასბური | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 188 | ნანსი-სოშო | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 189 | სენტ ეტიენი-რედ სტარი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 190 | ბიუვო-სედანი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 191 | შატორუ-პსჟ | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 192 | გენიონი-ტულუზი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 193 | ლიონი-ბორდო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 30 იანვარი | | | |
| 194 | ბასტია-მონპელიე | 1,5 | 3,4 | 5,6 |

ჰოლანდია. თასის 1/16 ფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 28 იანვარი | | | |
| 195 | როდა-აიაქსი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 29 იანვარი | | | |
| 196 | ფეიენოორდი-ალკმაარი ($17^{30}$) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 197 | პსვ-ვიტესი | 1,4 | 3,5 | 7,0 |

შოტლანდია. თასის მე-3 ეტაპი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 29 იანვარი | | | |
| 198 | სენტ მირენი-აბერდინი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 199 | ჰიბერნიანი-დანფერმლაინი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 30 იანვარი | | | |
| 200 | სენტ ჯონსტონი-რეინჯერსი | 7,0 | 3,5 | 1,4 |

აფრიკის თასი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 28 იანვარი | | | |
| 505 | ნიგერია-კონგო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 506 | ეგვიპტე-სენეგალი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 507 | კამერუნი-კოტ დივუარი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | 29 იანვარი | | | |
| 508 | ტუნისი-მაროკო | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 509 | ზამბია-ბურკინა-ფასო | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 510 | გაბონი-ალჟირი | 4,7 | 3,3 | 1,6 |
| | 31 იანვარი | | | |
| 511 | განა-კოტ დივუარი | | | |
| 512 | კამერუნი-ტოგო | | | |

კალათბურთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 28 იანვარი | | | |
| 841 | ბოსტონი-ფინიქსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 842 | ატლანტა-ნიუ იორკი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 843 | ტორონტო-მაიამი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 844 | ჩიკაგო-საკრამენტო | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 845 | დენვერი-ჰიუსტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 846 | ლეიკერსი-მილუოკი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | 29 იანვარი | | | |
| 847 | ვაშინგტონი-კლივლენდი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 848 | ორლანდო-ატლანტა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 849 | შარლოტი-ფინიქსი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 850 | დეტროიტი-ფილადელფია | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 851 | ინდიანა-მაიამი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 852 | ჩიკაგო-ტორონტო | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 853 | მინესოტა-იუტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 854 | დალასი-დენვერი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 855 | კლიპერსი-ნიუ ჯერსი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 856 | პორტლენდი-სან ანტონიო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 857 | სიეტლი-მილუოკი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| | 30 იანვარი | | | |
| 858 | ნიუ იორკი-საკრამენტო | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 859 | ჰიუსტონი-ლეიკერსი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| | 31 იანვარი | | | |
| 860 | ორლანდო-ფინიქსი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 861 | მაიამი-დეტროიტი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 862 | მინესოტა-საკრამენტო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 863 | დენვერი-ფილადელფია | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 864 | ვანკუვერი-მილუოკი | 2,3 | 12,0 | 1,4 |

ჰოკეი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 28 იანვარი | | | |
| 865 | ბუფალო-ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 866 | ვაშინგტონი-ფინიქსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 867 | კაროლინა-ნიუ ჯერსი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 868 | ტამპა ბეი-ედმონტონი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 869 | დეტროიტი-კალგარი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 870 | დალასი-სენტ ლუისი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 871 | ვანკუვერი-სან ხოსე | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | 29 იანვარი | | | |
| 872 | მონრეალი-ფილადელფია | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 873 | ბოსტონი-ბუფალო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 874 | ტორონტო-ლოს ანჯელესი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 875 | ოტავა-რეინჯერსი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 876 | პიტსბურგი-ანაჰაიმი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 877 | ტამპა ბეი-ატლანტა | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 878 | ფლორიდა-ედმონტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 879 | დეტროიტი-ნიუ ჯერსი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 880 | სენტ ლუისი-კოლორადო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 881 | ნეშვილი-კალგარი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 882 | სან ხოსე-აილენდერსი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| | 30 იანვარი | | | |
| 883 | ვაშინგტონი-ფილადელფია | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 884 | მონრეალი-კაროლინა | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 885 | ვანკუვერი-ჩიკაგო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| | 31 იანვარი | | | |
| 886 | ბოსტონი-ანაჰაიმი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 887 | რეინჯერსი-ნეშვილი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 888 | ატლანტა-პიტსბურგი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 889 | დალასი-ედმონტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 890 | ფინიქსი-დეტროიტი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 891 | ლოს ანჯელესი-აილენდერსი | 1,4 | 4,4 | 3,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, ნაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრ[illegible]ვლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დანის პირზე მორბენალი

დროდადრო ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ჩოგბურთელებს ასეთ დონეზე შეეძლოთ თამაში, მაგრამ გავიდოდა მცირე ხანი და ხარისხი მოკლების ნაცვლად პირიქით, იმატებდა.

ანდრე აგასისა და პიტ სამპრასის ნახევარფინალში სავარაუდო შეხვედრას ბევრი უკვე ორი კვირაა, ავსტრალიის ღია პირველობის კენჭისყრიდან მოყოლებული ელოდა და მატჩს არავისთვის გაუცრუებია იმედები (რა თქმა უნდა, სამპრასის ზოგიერთი ქომაგის გარდა).

15 036 მაყურებელი სუნთქვაშეკრული ადევნებდა თვალყურს როდ ლეივერის სახელობის ცენტრალურ კორტზე მიმდინარე ტიტანთა ბრძოლას, მოთამაშეებთან ერთად განიცდიდა თითოეულ აცილებას და ხარობდა ლამაზი დარტყმით, დასრულების შემდეგ კი, როგორც ერთი, ისე წამოდგა ფეხზე დიდებული სპექტაკლისთვის მადლიერების ნიშნად.

პირველი სეტი აგასის იყო — ლასვეგასელმა შოუმენმა 1:2-ზე სამმაგი ბრეიკ-პოინტი გადაარჩინა, მომდევნო გეიმში კი შანსების ხელიდან გაშვებით საკუთარ თავზე განაწყენებულ მეტოქეს მოწოდება აართვა.

ასევე ერთმა ბრეიკმა, ოღონდ უკვე სამპრასის სასარგებლოდ, გადაწყვიტა მეორე ხელის ბედი, მომდევნო ორი საათის განმავლობაში კი არც ერთ ჩოგბურთელს მოწოდება აღარ დაუკარგავს.

მესამე ხელის ბოლოს 6:5-ზე ხოტორა ამერიკელს ორი სეტ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ „პისტოლ პიტმა" მძლავრი მოწოდებებით დაიძვრინა თავი და ტაი-ბრეიკამდე მიატანა, რომელიც მის ნამდვილ ბენეფისად იქცა.

სამპრასმა ამ გადამწყვეტ გეიმში ორი ეისით, ორი სუფთად მოგებული მიღებითა და რამდენიმე განსაცვიფრებელი დარტყმით გამოიჩინა თავი, თანაც მეტოქეს ერთი ქულაც არ დაანება. „იმ მომენტში თავს უბრალო მაყურებლად ვგრძნობდი" — გაიხსენა მოგვიანებით აგასიმ.

ლასვეგასელს ყველაზე მეტად მეოთხე ხელში გაუჭირდა. წარმატებით გულმოცემული სამპრასი ლამის დაფრინავდა კორტზე, მეორე მოწოდებებს პირველზე უფრო სწრაფად ურტყამდა და ყველა დროის საუკეთესო მიღების პატრონი აგასი ბურთს ლამის არც გააკარა: მარტო ამ ხელში 17 (!) ეისი დააგროვა.

თავად ანდრეს საკუთარი მოწოდების შენარჩუნება ძალიან უჭირდა, ზედიზედ რამდენიმე გეიმში ბრეიკ-პოინტების გადარჩენაც მოუხდა და დანის პირზე მორბენალს უფრო წააგავდა, წამიც და უფსკრულში რომ გადაიჩეხებოდა.

მაგრამ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა გაძლო, მნიშვნელოვან მომენტებში მეტად რისკიანი დარტყმები გვერდითა და უკანა ხაზებს დაასვა და ბადესთანაც წარმატებულად ითამაშა — ისევ ტაი-ბრეიკი.

„ჩვენ სულ უფრო და უფრო ვუმატებდით ფსონებს. ისეთი ატმოსფერო იყო, რომ იოლად შეიძლებოდა, სხვა პლანეტაზე წარმოგედგინა თავი. მგონი, საუკეთესო გრძნობაა, როდესაც ვინმე მთელი შენი შესაძლებლობების გამოყენებისკენ გიბიძგებს და შენც თავში აღმოაჩენ ძალას, რაღაც კიდევ იპოვო."

ტაი-ბრეიკზე ხან ერთი გადიოდა წინ, ხან — მეორე. 3:3-ზე სამპრასმა შესანიშნავი, სირბილისას დარტყმული ფორჰენდით მეტოქის მოწოდებაზე მიითვალა ქულა, რასაც აგასიმ ზუსტი შემოვლებულით უპასუხა. 5:5 — პიტს ორი ქულაღა აშორებს კარიერის მეთხუთმეტე დიდი სლემის ტურნირის ფინალს.

კრეიგ უილისმა, „მელბურნ პარკის" ოფიციალურმა დიქტორმა, თავისი საფირმო ჟილეტი მოიცვა და კორტისკენ დაიძრა მოთამაშეთა გაცილების დროს კომენტარის გასაკეთებლად. ტურნირის მთავარმა მსაჯმა პიტერ ბელენჯერმა რაცია მოიმარჯვა და ინსტრუქციების გაცემა დაიწყო, თავისი ადგილები დაიკავეს დაცვის წარმომადგენლებმა.

თუმცა მზადება ნაადრევი გამოდგა: ამაზე მეტად ფინალის საგზურს სამპრასი აღარც მიახლოვებია. მან ჯერ ბურთი გაახვია ბადეში, მერე კი აგასიმ უძლიერესი მოწოდება არანაკლები სისწრაფით დაუბრუნა უკან, წინ გაჭრილ მეტოქეს ფორჰენდი აუღებლად შემოავლო და შვებისა თუ სიხარულისგან არაადამიანურად იღრიალა.

„ვგრძნობდი, რომ ტაი-ბრეიკი ჩემი მოგების საუკეთესო შანსი იყო. ამიტომ როდესაც ხელიდან გამომეცალა, ცოტათი საკუთარ თავზე გავბრაზდი. ეს ძალიან ემოციური მატჩი იყო, სულ რაღაც ხუთ წუთში მთელი სიტუაცია შეიცვალა. მერე უკვე განწირული ვიყავი" — დანანებით აღნიშნა პიტმა.

მართლაც, აქედან მოყოლებული აგასის შეჩერება უკვე შეუძლებელი გახდა. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მეტოქეს გონს მოსვლა არ აცალა და მეორე გეიმში თითქმის წარმოუდგენელი მიღებით მოწოდება აართვა, სულ რაღაც 22 წუთში კი ცხვირჩამოშვებულ თანამემამულეს ბოლოც მოუღო 6:4, 3:6, 6:7 (0:7), 7:6 (7:5), 6:1.

სამპრასმა თავი იმითღა გამოიჩინა, რომ მთავარ მსაჯ რუდი ბერგერთან კამათს აღარ დასჯერდა და აგასის მწვრთნელს, ტრიბუნაზე შტეფი გრაფის გვერდით მჯდომ ბრედ ჯილბერტსაც გადასწვდა.

„პირველი სეტის დასაწყისში მცირე ტრავმა მივიღე, ბარძაყის კუნთი დამეჭიმა და მას შემდეგ მოძრაობა მიჭირდა. თუმც ამით თავს არ ვიმართლებ. მან მე ნამდვილად მაჯობა" — თქვა სამპრასმა.

„ვამაყობ ჩემი თამაშით — აღნიშნა ანდრემ, რომელმაც ამ მოგებით ისინიც ჩააჩუმა, ვინც ამტკიცებდა, მნიშვნელოვან მატჩებში სამპრასს ვერ აჯობებსო — დღეს რომც წამეგო, ეჭვს მაინც არ შევიტანდი იმაში, რომ მისი დამარცხება შემიძლია. მე არაფრის დამტკიცება არ მჭირდება, ყოველ შემთხვევაში, საკუთარი თავისთვის."

პირად შეხვედრათა ანგარიში 17:12 გახდა სამპრასის სასარგებლოდ, თუმცა გაგრძელება იქნება.

**ქალები. ნახევარფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — კონჩიტა მარტინესი (10, ესპანეთი) 6:3, 6:2; ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) 6:2, 7:6 (7:4)**

თუ კაცებში ფინალი ფინალამდე შედგა, ქალებში შაბათს მართლაც ყველასათვის სასურველ დაპირისპირებას ვიხილავთ მსოფლიოს პირველ და მეორე ჩოგნებს — მარტინა ჰინგისსა და ლინდსი დევენპორტს შორის.

მარტინამ სულ იოლად დაამარცხა ვეტერანი ესპანელი კონჩიტა მარტინესი, ორი ოლიმპიური ჩემპიონის დაპირისპირებაში კი დევენპორტმა ბავშვობის კერპს, თუმც კი თავისზე სულ სამი თვით უფროს კაპრიატის აჯობა საკმაო ოფლის ღვრით და ფეხის მსუბუქი ტრავმის ფასად.

**ავთანდილ სვანიძე**

REUTERS მელბურნიდან



პიტ სამპრასი და ანდრე აგასი ერთმანეთს ჯენტლმენურად დასცილდნენ

ანდრე აგასი — პიტ სამპრასი 6:4, 3:6, 6:7 (0:7), 7:6 (7:5), 6:1

| | აგასი | სამპრასი |
|---|---|---|
| პირველი მოწოდების % | 68 | 63 |
| ეისები | 13 | 37 |
| ორმაგი შეცდომები | 3 | 5 |
| I მოწოდებაზე მოგებული ქულები | 75/101-დან — 74 % | 80/99-დან — 81% |
| I მოწოდებაზე მოგებული ქულები | 32/47-დან — 68 % | 28/57-დან — 49% |
| სუფთად მოგებული ქულები | 48 | 77 |
| უნებლიე შეცდომები | 19 | 56 |
| ბადესთან მოგებული ქულები | 19/26-დან — 73 % | 71/122-დან — 58 % |
| ბრეიკ-პოინტების გამოყენება | 3/13-დან | 1/9-დან |
| სულ მოგებული ქულები | 155 | 149 |
| ყველაზე სწრაფი მოწოდება | 197 კმ/სთ | 206 კმ/სთ |

დრო — 2 საათი და 55 წუთი

## სხვადასხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლინდსი დევენპორტი

ბურთის მიმტანობა ავსტრალიის ღია პირველობაზე დიდი უმადური საქმეა, მით უმეტეს, თუ როდ ლეივერის სახელობის ცენტრალური კორტის თავს მოძრავი სახურავი არ ფარავს.

ლინდსი დევენპორტისა და ჟული ალარის მეოთხედფინალური შეხვედრა წვიმის გამო 25 წუთით შეწყდა. როდესაც ჩოგბურთელები უკან დაბრუნდნენ, მსოფლიოს მეორე ჩოგანმა „რიბაუნდ ეისის" მწვანე საფარზე რაღაც შენიშნა და თავისთან ბურთის მიმტანი იხმო.

„ვუთხარი, აი, იმ თოლიამ, სულ ახლახან რომ გადაგვიფრინა თავზე, კორტი დასვარა, თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვს, მოწმინდე-მეთქი" — გაიხსენა დევენპორტმა.

„მან უცნაური თვალებით შემხედა, ეს ჩემი მოვალეობა არ არისო. მე კი ვუპასუხე, არც მე ვაპირებ ამის გაკეთებას, ვინმემ ხომ უნდა მოასუფთავოს აქაურობა-მეთქი".

საწყალმა ბიჭუნამ სასწრაფოდ შეასრულა უსიამოვნო დავალება და უმალ უკან გაიქცა.

„მაშინ ერთხელაც დავუძახე, ეი, ეი, აი, აქ კიდევ არის-მეთქი" — ისევ დევენპორტი

* * *

ჰიშამ არაზიმ იმ ორ მაროკოელთაგან ერთ-ერთმა, ვინც წლევანდელ „ოუფენზე" მეოთხედფინალში გააღწია, ანდრე აგასისთან საკმაოდ იოლად — 4:6, 4:6, 2:6 წააგო.

ეს არაზისთვის უკვე მესამე მარცხი იყო დიდი სლემის ტურნირის ამ ეტაპზე, მაგრამ მატჩის შემდეგომ პრესკონფერენციაზე ერთი ჟურნალისტი მაინც გადაეკიდა, რას ურჩევდი შენს თვისტომ იუნეს ელ აინაუის, რომელიც ხვალ ევგენი კაფელნიკოვს უნდა შეხვდესო.

„რა უნდა ვუთხრა მას, როდესაც ეს-ესაა სამ სეტში წავაგე? — აღმოთქდა არაზი — ალბათ, ერთადერთი რამ, ნუ წააგებ სამ სეტში".

ამ ბრძნული დარიგების მიუხედავად, ელ აინაუი კაფელნიკოვთან მაინც სამ სეტში დამარცხდა, თუმცა პატარა მაროკოს ნამდვილად შეუძლია იამაყოს თავისი ჩოგბურთელებით. მით უმეტეს, თუ გაითვალისწინებთ იმას, რა პირობებში უხდებათ ვარჯიში აფრიკელებს.

„დიდი ხანია, ფედერაციას ვთხოვთ ერთი წესიერი ჰარდის კორტი მაინც დაგვიგონ. მთელ მაროკოში ერთადერთი ასეთი საფარის კორტია, სადღაც სასტუმროში და ისიც გაჩანაგებული. იმედი მაქვს, ახლა მაინც, როცა მელბურნში ასეთ წარმატებებს მივაღწიეთ, მოგვიგვარებენ ამ პრობლემას" — განაცხადა ელ აინაუიმ.

მიუხედავად იმისა, რომ მაროკოელი ჩოგბურთელები თამაშს მხოლოდ თიხნარზე სწავლობენ, ამ ქვეყნის წარმომადგენლებმა ავსტრალიელებს წლეულს ნამდვილად დაამახსოვრეს თავი: არაზისა და აინაუის გარდა იქ მოასპარეზე მათმა კიდევ ერთმა თანამემამულემ, ქარიმ ალამიმ მესამე წრეში გააღწია, თანაც სამივე ამჟამად კლასიფიკაციის საუკეთესო ორმოცეულში იმყოფება.

მაროკოში ჩოგბურთელების თამაშს და წარმატებებს გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს ტელევიზიით, ჟამს კი საქმე კინაღამ უქმეების გამოცხადებამდე მივიდა.

არაზიმაც და აინაუიმაც მელბურნში 60-60 ათასი დოლარი მოიხვეჭეს, რაც ერთი პატარა კლუბის აშენებასაც ეყოფოდა, თუმცა მსგავს ფუფუნებას მიუჩვეველი მაროკოელები მცირედზეც თანახმანი არიან.

„მზად ვარ, თავად გავიღო მთელი ხარჯები ჰარდის დასაგებად, ოღონდ მიწა გამომიყონ" — განაცხადა აინაუიმ.

* * *

ბავშვობაში მარტინა ჰინგისს ძალიან უყვარდა სიმაღლეზე ხტომა და ამ დისციპლინაში ყველა თანაკლასელსაც სჯობდა.

მსოფლიოს პირველი ჩოგანი თავიდან ამით ჩოგბურთის კორტზეც ერთობოდა ხოლმე, მაგრამ კარიერა სიმაღლეზე ხტომაში მეტად ნაადრევად დაასრულა — ერთხელ, როდესაც ბადეს გადაევლო, შიგ გაებლანდა და კორტს დაენარცხა.

„სიმართლე გითხრათ, ახლა ბადეზე გადახტომის ძალიან მეშინია" — აღიარა 19 წლის შვეიცარიელმა — „საამისოდ უკანალი მეტისმეტად დამიმსხვილდა".

* * *

ჯენიფერ კაპრიატი გასული კვირის ბოლოს ერთ-ერთ მელბურნულ გაზეთს ათვალიერებდა, როდესაც შადრევანში მხიარულად მოჭყუმპალავე საკუთარი ფოტოსურათის გვერდით საინტერესო ამბავს წააწყდა. ის სპორტის მოყვარულ სიმსივნით დაავადებულ ბიჭს შეეხებოდა, რომელიც ხანგრძლივ მკურნალობის კურსს გაემელოტებინა.

იმავე დღეს ყოფილმა ვუნდერკინდმა, დედა დენიზი დაითანხმა და მალე ქალაქის ერთ-ერთი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროდან სიმსივნით დაავადებულ თინეიჯერთა მხარდასაჭერ ორგანიზაციაში ტელეფონის ზარი გაისმა: „ხომ არ სურს ახალგაზრდების ჯგუფს, ერთი დღე საჩოგბურთო სამყაროში გაატაროს? თუ თანახმაა, როდის?"

სამშაბათს დენიზ კაპრიატიმ თავად მიაკითხა მიპატიჟებულ ოთხ ახალგაზრდას და მანქანით „მელბურნ პარკში" წაიყვანა, სადაც მათ ჩოგბურთელის პირადი სტუმრების საშვები, ქუდები და სასმელები დაურიგდათ, მერე კი ცენტრალურ კორტზეც მოხვდნენ ნიკოლას კიფერისა და უეინ ფერერას მატჩის საცქერლად.

დღის ბოლოს სტუმრებს თავად ჯენიფერი გაეცნო და ყველაზე სასურველ შეხვედრაზეც წაიყვანა ანა კურნიკოვასთან, რასაც სერენა უილიამსის პრესკონფერენციაზე დასწრება მოჰყვა.

„ეს თვითრეკლამისთვის სულაც არ გამიკეთებია. უბრალოდ მინდოდა, ბავშვები დამეპატიჟებინა და გამეხარებინა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ეს მოვახერხე" — ეს კაპრიატის სიტყვებია.

# იტალია — საქართველო
# ძალიან ბევრი, ძალიან ცოტა

26 იანვარი
ლივორნო. იტალია.
1.500 მაყურებელი

**იტალია — საქართველო 51:7 (16:0)**

იტალია: პინი (სკანავაჩა), ვაკარი (ფრანჩესკიო), რაინერი (დალანი), მარტინი, სტოიკა, დომინგუში, ტრონკონი, ვისერი (კაიონე), ბერგამასკო (პერსიკო), ჯიოვანელი, გრიტი, ჩესჩინატო (ლანცი), პაოლეტი (დე კარლი), მოსკარდი, მასიმო კუტიტა (ლო ჩიჩერო).
ლ — მარტინი, მოსკარდი, სკანავაჩა, პერსიკო, დომინგუში (2).
ნგ— დომინგუში. ჯს — დომინგუში
საქართველო : — ურჯუკაშვილი (მჭედლიშვილი), ხეხელაშვილი (აბაშიძე), ხამაშურიძე, ანდღულაძე (ზიბზიბაძე), ქავთარაშვილი (ბუგიანიშვილი), მოდებაძე (იურინი), აბუსერიძე, კობახიძე, ლაბაძე, ბოლღაშვილი (რატიანიძე), პარწიკანაშვილი (გიორხელიძე), ზედგენიძე, შველიძე (ჯინჭარაძე), გიორგაძე, ესაკია (ნიკოლაენკო).
ლ — აბაშიძე
გ — ურჯუკაშვილი
მსაჯი: ა. ფაჩიოლი

**გუშინწინ** იტალიის ქალაქ გენუის მახლობლად დაბა ლივორნოში ჩატარდა მატჩი, რომელსაც სულმოუთქმელად ელოდნენ ქართული რაგბის გულშემატკივრები. მართალია, შეხვედრა ამხანაგური იყო, მაგრამ მას ბევრი რამ უნდა გაერკვია, უპირველესად ჩვენებურთა მომზადების დონე. ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრები ვერც ფიზიკურად და ვერც ტაქტიკურად სათანადო სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა. ეს ანგარიშიდანაც ჩანს. „ბორჯღალოსნებმა" 7:51 წააგეს.

არავინ ფიქრობდა, რომ ქართველები ამ შეხვედრას მოიგებდნენ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი მეტოქე საკმაოდ ძლიერი იტალიის ნაკრები იყო. „სკუადრა ატურას" ბოლო ოთხი მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე უასპარეზია, რაც თავისთავად ბევრზე მეტყველებს. იქნებ ვინმემ გვისაყვედუროს, კიდეც პრეტენზიების გამო, მაგრამ ჩვენი მორაგბეებისგან გაცილებით მეტს ველოდით, ამ მატჩამდე გაკეთებული დამაიმედებელი განცხადებები კი არ გამართლდა. მართალია, კლოდ სორელი ფრანგია, მაგრამ ბრედ ჯონსტონს მაინც ვერ აჯობა. ახალზელანდიელი მწვრთნელი მისმა ალსაზრდელებმა ექვსი ლელოთი დაასაჩუქრეს.

ჯერ იყო, და მარტინმა გაიტანა ლელო, რომელიც იტალიის გუნდის ლიდერმა დიეგო დომინგუშმა გარდასახა, შემდეგ მანვე შეასრულა ზედიზედ სამი წარმატებული საჯარიმო დარტყმა და უკვე პირველი ტაიმის ბოლოს ანგარიში 16:0 გახდა იტალიელთა სასარგებლოდ. შესვენების შემდეგ დომინგუშმა ორჯერ დადო ბურთი ჩვენს საალელოე მოედანზე. ამის შემდეგ ქართველებმაც გამოაჩინეს ბრჭყალები: აბაშიძემ ლელო გაუტანა აპენინელებს. გარდასახვა მალხაზ ურჯუკაშვილმა შეასრულა. ეს იყო და ეს, რისი გაკეთებაც „ბორჯღალოსნებმა" შეძლეს. დანარჩენ დროში მასპინძლები ბატონობდნენ. მოსკარდიმ, სკანავაჩამ და პერსიკომ კიდევ სამი ლელო შემატეს „სკუადრა ატურას" მონაგარს. დომინგუშმა კი ლამის აიკლო ჩვენი ნაკრები. ყველა გარდასახვა მან შეასრულა და საბოლოოდ 51 ქულიდან 31 სწორედ მის ანგარიშზეა.

იმედია, სორელი და კომპანია 6 თებერვალს პორტუგალიასთან გასამართი შეხვედრისთვის საჭირო დასკვნებს გამოიტანენ. თუმცა დროც რომ არ იომენს?...

**ზაზა ბენიძე**

---

## რამაზ სვანაძე:
# მე ვიცი რა, მე ვიცი როგორ
## მოდის ადგილი პოდიუმზეა, სპორტში მთავარი შედეგია


რამაზ სვანაძე

ბადრი [illegible] ფოტო

ამ კაცის წარდგენა რაგბის მოყვარულთა წინაშე, ვფიქრობთ, ზედმეტიცაა. „ვიტალიჩს", აბა, ვინ არ იცნობს. ოღონდ აქ ერთიცაა. ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რომ ქუთაისში პირველად მან და მისმა მეგობრებმა გაუსინჯეს გემო მფრინავ ნესვს. სხვებისა რა გითხრათ და, „ვიტალიჩი" მაშინ ისე მოიწამლა, დღემდე ვერ მორჩენილა. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. მოწამვლა და ამნაირები შორს იყოს და, რაგბი ჩემი ცხოვრებააო მან უნდა თქვას. თავისი 55-დან თითქმის 35 წელი ამ თამაშს შეალია და, ღმერთმა შეძლება მისცეს, ალბათ, მომავალშიც რაგბის სამსახურში იქნება.

რამაზ სვანაძემ ადრევე მიჰყო ხელი მწვრთნელობას და საკმაო წარმატებასაც მიაღწია ამ ამპლუაში. ყოფილი საბჭოეთის სამგზის ჩემპიონის და ორგზის თასის მფლობელ „აიას" მოთამაშეთა უმრავლესობა მისი ნამოწაფარი გახლდათ. იგი თავკაცობდა ქუთაისის „ლოკომოტივს", „დინამოს", „ერქვანს", „რიონს", „გელათს". მისი ხელმძღვანელობით ქუთაისელი ახალგაზრდები ორჯერ გახდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და ეს ტიტული ერთხელ ჭაბუკებსაც ერგოთ. რამაზ სვანაძის მიერ გაწვრთნილმა გუნდებმა ჯერ კიდევ საბჭოურ ხანაში არაერთხელ გაიმარჯვეს რესპუბლიკურ პირველობებში. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ბოლო მიღწევებზე კი ყველას კარგად მოგეხსენებათ. შარშანწინ რამაზ სვანაძე ბათუმში ჩავიდა სამუშაოდ და იქაურ „დათვებს" ჯერ ქვეყნის პირველობის ვერცხლი მოაპოვებინა, მერე კი ოქროზე დაგეშა და ყველაფერი კარგი ასე აგიხდეთ: შარშან „დათვები" ჩემპიონებად მოგვევლინენ. „დათვების" მთავარ მწვრთნელთან საუბარიც სწორედ ამით დავიწყეთ.

**— რა სალაპარაკოა, პირველობა იოლად არ მოდის. ამას, ბუნებრივია, ბევრი შრომა სჭირდება, ძალიან ბევრი, მაგრამ, დამეთანხმებით, პირობებსაც გააჩნია. თქვენს გუნდს, რამდენადაც ვიცი, ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი დასახული მიზნის მისაღწევად. როგორ მიგაჩნიათ, კანონზომიერი იყო „დათვების" შარშანდელი წარმატება?**

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მოკლედაც შეიძლება: დიახ, კანონზომიერი იყო, მაგრამ მინდა საშუალება მომცეთ, მკითხველს მცირეოდენი წარმოდგენა მაინც შევუქმნა იმაზე, თუ რა ხდება დღეს რაგბთან დაკავშირებით ბათუმში, ბათუმში კი არა, საერთოდ, აჭარაში.

**— ბრძანეთ.**

— თავიდან უნდა დავიწყო. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ქუთაისში რაგბისადმი ყურადღება ნულის ტოლია და, აქედან გამომდინარე, შედეგებიც სავალალოა.

ახლის ძიება მიყვარს. თავის დროზე ბაიკალ-ამურის მშენებლობაზეც კი ჩავედი და ჟელეზნოგორსკში გუნდი ჩამოვაყალიბე. ქუთაისში რომ რაგბის საქმე წახდა და უკეთესობისკენ მოსაბრუნებელი პირიც არ უჩანდა, მწვრთნელობას ლამის საერთოდ ჩამოვშორდი. ეს ჩემთვის ტრაგედია იყო. კიდევ კარგი, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ბედნიერმა, დიახ, არ მერიდება ამ სიტყვის — ბედნიერმა შემთხვევამ ბათუმში ჩაგვიყვანა მე და ჩემი ყოფილი მოსწავლე, ახლა „დათვების" ტექნიკური დირექტორი მერაბ დანელია და ილია წულუკიძე გაგვაცნო.

ისე, ბათუმთან კონტაქტი ადრეც მქონდა. იქაურ „დელფინებს" ერთხანს ჩემი აღზრდილები ამირან შავგულიძე და მამუკა ჯანაშია წვრთნიდნენ. მეც შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი მათ, კონსულტაციებს ვუწევდი, სპორტული ფორმაც ჩამიტანია. მერე ეს გუნდი დაიშალა და ბათუმში რაგბიმ, ფაქტობრივად, არსებობა შეწყვიტა.

დიახ, ზუსტად ორი წლის წინ იყო, აჭარაში რომ ჩავედით. ბატონი ილია წულუკიძე მაშინ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გახლდათ, შევხვდით და ბათუმში რაგბის აღორძინებაზე ვისაუბრეთ. ერთი საუბარი საკმარისი აღმოჩნდა. სულ ცოტა ხანში ასლან აბაშიძის შემწეობით ბათუმში რაგბის მწვანე შუქი აენთო. ილია წულუკიძემ კი ნამდვილად ფასდაუდებელი შრომა გასწია. ამ კაცმა ისე შეიყვარა და შეისისხლხორცა რაგბი, რომ ერთი წუთითაც არ გვტოვებდა უყურადღებოდ. სწორედ მისი თაოსნობით შეიქმნა აჭარის რაგბის ფედერაცია. მისივე წინადადებით იყო, ახალ გუნდს „დათვები" რომ დაერქვა.

შარშანწინ მოხდა უპრეცედენტო ამბავი. ადგილზე მდგომარეობის გაცნობის შემდეგ საქართველოს რაგბის კავშირმა დააკმაყოფილა ჩვენი თხოვნა და 1998 წლის პირველობაზე „დათვები" პირდაპირ უმაღლეს ლიგაში დაუშვეს სათამაშოდ.

პირველი სეზონისათვის მზადება ბათუმელი ბიჭებით დავიწყეთ, მერე ქუთაისელებიც შემოგვიერთდნენ, გუნდიც მოძლიერდა და ჩემპიონატში ტოლი არავის დაუდო. დებიუტისთვის მეორე ადგილი ნამდვილად კარგი შედეგი იყო. ხომ იცით, მადა ჭამაში მოდისო. მეორე წელს უკვე ჩემპიონობაზე დავიწყეთ ფიქრი. დავპირდით კიდევაც ილია წულუკიძეს, რომ პირველობას არავის დავუთმობდით. გათამაშებისთვის ძალიან სერიოზულად ვემზადეთ. შესანიშნავი სეზონისწინა შეკრება გავიარეთ. ჩაქვში კომფორტულ სასტუმრო „ოაზისში" ვიყავით დაბინავებულნი, დღეში სამჯერ ვვარჯიშობდით. გუნდი აბსოლუტურად მობილიზებული შეხვდა ჩემპიონატს. ახალგაზრდების ნიჭიერება, შემართება კარგად შეერწყა გამოცდილ მოთამაშეთა ოსტატობას.

თამამად შემიძლია განვაცხადო, „დათვებს" შარშან ჩემპიონობის მოპოვება არ გასჭირვებიათ. პირველიდან ბოლო ტურამდე ვლიდერობდით. ერთხანს ათი ქულითაც ვიყავით წინ. ჩვენს წინააღმდეგ ყველა განსაკუთრებული მონდომებით თამაშობდა, მაგრამ გუნდს სჯეროდა საკუთარი ძალის, ამასთან ხელმძღვანელობისგან დიდ მხარდაჭერას გრძნობდა და შედეგიც სათანადო მივიღეთ. დიახ, ჩვენი გუნდი კანონზომიერად გახდა ქვეყანაში უძლიერესი.

**— „დათვებმა" შინ ორჯერ წააგეს „ყოჩებთან"...**

— მართალია. ჩვენ თვითონ არ მოველოდით „ყოჩებისგან" ასეთ ძლიერ თამაშს, ალალად მოგვიგეს, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენც ორჯერ ვიმარჯვეთ თბილისში. ბოლო შეხვედრამ კი, ვფიქრობ, ყველაფერი ნათელჰყო — მთავარი მეტოქე დამსახურებულად დავამარცხეთ.

**— სხვა გუნდები არ გიწევდნენ კონკურენციას?**

— როგორ არა, „ლოკომოტივიც" გვებრძოდა. კარგი იყო „ზორდა", მაგრამ ცხრა მოთამაშე გაუშვა საფრანგეთში. ასკ-ც ნორმალური, პერსპექტიული გუნდია. იოლი თამაშები არ გვქონია. იმაზე მწყდება გული, რომ რუსთაველები გამოაკლდნენ ჩემპიონატს უსახსრობის გამო და ამავე მიზეზით ახალგაზრდა ქუთაისელმა მორაგბეებმაც ვერ აჩვენეს ისეთი თამაში, როგორიც პოტენციურად შეეძლოთ. საერთოდ, დასანანია, რომ ეგრეთ წოდებულ ქვედა ჯგუფში გათამაშება არცკი ჩამთავრებულა.

**— ისევ ქუთაისი ახსენეთ. ცხადია, გული შეგტკივათ მშობლიურ ქალაქზე და გუნდზე. მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ თქვენი და არა მარტო თქვენი ბათუმში გადაბარგება ქუთაისში არაერთგვაროვნად შეფასდა. მაღალჩინოსნებისგან ისიც კი გავიგონეთ, მოღალატეები არიან, ფულმა აცდუნაო...**

— მე და ბიჭები რომ ბათუმში წავედით, ქუთაისში გუნდის არსებობისთვის ელემენტარული პირობები აღარ იყო. რა გვექნა, დაგვენებებინა თავი რაგბისთვის? ბათუმში იმიტომ წავედით, რომ ქუთაისში რაგბის გაგონებაც აღარ სურდათ.

**— ამბობენ, თემურ შაშიაშვილს განუცხადებია, რაგბი ქუთაისში არატრადიციული სახეობააო...**

— ღმერთო დიდებულო! ჩემმა და შემდგომმა თაობებმა სიცოცხლე შეალიეს რაგბის. „აია" შიშის ზარს სცემდა უძლიერეს საბჭოთა გუნდებს, სამჯერ ჩემპიონი იყო, ორჯერ თასიც მოიპოვა. გეკითხებით, ქუთაისში არატრადიციული სახეობაა რაგბი? როგორ დამავიწყდება, ქუთაისში ყოველი წლის ბოლოს ასახელებდნენ ქალაქის საუკეთესო სპორტსმენებს და მწვრთნელებს და შეხვედრებს უწყობდნენ ლაურეატებს. ერთი ხანობა საუკეთესოთა სიებში ძირითადად სწორედ მორაგბეები და მათი მწვრთნელები ხვდებოდნენ. მე ახლაც შენახული მაქვს მაშინდელი ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარის თემურ შაშიაშვილის სამადლობელი ბარათი გულისამაჩუყებელი წარწერით: „თქვენ სჭირდებით ქუთაისს". ჰოდა, რა გამოდის, მაშინ ვჭირდებოდით მორაგბეები ქუთაისს, ახლა არა? მე არავისი მეშინია. დიახაც, ბათუმში წასვლის შემდეგ მე ისევ მწვრთნელად ვიგრძენი თავი, ბიჭებმა კი სპორტსმენებად. ჩვენი შრომა დაფასდა და მთავარი ესაა. პოლიტიკაში არასოდეს ჩავრეულვარ და არც ჩავერევი. ჩემი საქმე რაგბია. დარწმუნებული ვარ, თავის დროზე „ტორპედოს" ჯერ ბესო ჯიქია, შემდეგ კი მიხეილ ქორქია რომ არ გამოსჩენოდნენ, ქუთაისში აღარც ფეხბურთი იარსებებდა. უმდიდრესი საკალათბურთო ტრადიციების ქალაქში კალათბურთიც შავ დღეშია. დანარჩენი თავად განსაჯეთ.

**— ბევრს ჰგონია, რომ „დათვები" მხოლოდ ქუთაისელი მორაგბეებით არის დაკომპლექტებული...**

— არც ეგრეა საქმე. გადახედეთ ჩატარებულ თამაშებში „დათვების" შემადგენლობას. ბათუმელი ბიჭები არიან ირაკლი სვანიძე, ლევან გაბელაია, ირაკლი ნინიძე, მინდია ღლონტი, თენგიზ თედორაძე, გიორგი დავლაძე. ესენი ხშირად ხვდებოდნენ ძირითადში. ამათ გარდა დათო ქემხაძეს, ჯაბა ჩხარტიშვილს, ალექსანდრე მოლაშხიას, ბესო წულაძესაც უწევდათ თამაში.

ქუთაისიდან ძალდატანებით არავინ წამიყვანია ბათუმში. პირიქით, თავიდან რამდენიმე მორაგბე გამომყვა, დანარჩენები მერე თავისი სურვილით შემოგვიერთდნენ. ამას გარდა ექვსი მორაგბე კლუბმა რუსეთიდან ჩამოიყვანა და ქართულ რაგბის დაუბრუნა.

**— სახლს, ოჯახს რომ მოწყდები, უნდა გიღირდეს, თორემ...**

— გაგიგეთ, ჩვენ ხშირად გვეკითხებიან, ბათუმში დიდი ანაზღაურება გექნებათო. იცით, სპორტში პროფესიონალები ამ თემაზე არ საუბრობენ. ჩვენ ბათუმში სათამაშოდ წავედით და მორჩა.

**— ხშირად მსმენია, „დათვებს" ვეტერანებით გააქვს თავი და ძველმოდურ რაგბის თამაშობსო...**

— ვინც ამას ამბობს, გადახედოს მსოფლიოს წამყვანი გუნდების შემადგენლობებს და მერე ილაპარაკოს. „დათვებში" რაგბისთვის ხანდაზმული მოთამაშე არ გვყავს. თუნდაც ასე იყოს, თუ კი ისინი სხვებზე ნაკლებს არ ვარჯიშობენ, სხვაზე ნაკლებად არ თამაშობენ, ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებენ, რატომ უნდა, ვთქვათ მათზე უარი?! ამაზე ლაპარაკიც არ ღირს. მწვრთნელი ვარ და შედეგს მოხოვენ. ვიცი, როგორ უნდა გავაკეთო შედეგი. ძველ თუ ახალ მოდაზე ვითამაშებთ, ამ შემთხვევაში რა მნიშვნელობა აქვს. მითუმეტეს, არა მგონია, „დათვების" სათამაშო ხელწერა სხვებისას ჩამოუვარდებოდეს.

**— როგორ გგონიათ, აჭარაში რაგბისადმი ინტერესი არც მომავალში შენელდება...**

— მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. მომავალში ჩემპიონობა უნდა შევინარჩუნოთ, ყველას დავუმტკიცოთ, რომ „დათვები" ერთი სეზონის გუნდი არ არის, ამ გუნდს დიდი, სერიოზული მიზნები აქვს.

**— რას გულისხმობთ?**

— მალე, ალბათ, საერთაშორისო სარბიელზეც გავალთ, კონტაქტების დასამყარებლად მუშაობა დაწყებულიც გვაქვს.

**— მართალია, რომ ბათუმში რაგბის სტადიონის აშენებას აპირებენ?**

— დანამდვილებით ვიცი, რომ არსებობს ახალი სპორტკომპლექსის პროექტი. ამ სპორტკომპლექსში სარაგბო მოედანიც შედის.

**— „დათვები" ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ, ნაკრებში კი თქვენი გუნდიდან ერთი მოთამაშეც ვერ მოხვდა...**

— ძალიან მიკვირს ეს ამბავი. სხვას ვერაფერს გეტყვით.

**— ჩემპიონატი დამთავრებული არ იყო, რომ „პამიდორა", დათო აშვეთია გამოგაკლდათ...**

— დათო საფრანგეთში წავიდა სათამაშოდ, „ბორდოში" ჩაირიცხა.

**— გათამაშების მსვლელობისას ხშირად გამოთქვამთ პრეტენზიებს მსაჯების მიმართ...**

— ბევრჯერ ემოციებს ავყოლივარ. მართალია, მსაჯები ცდებიან, მაგრამ არც მწვრთნელები და მოთამაშეები ვართ უცოდველები. ჩემი აზრით, მსაჯებს მსაჯობა უნდა ვაცადოთ.

**— „დათვები" ახალი სეზონისთვის მზადებას როდის შეუდგებიან?**

— სავარაუდოდ, 15 თებერვლიდან.

**— შემადგენლობას მთლიანად შეინარჩუნებთ?**

— ალბათ შევინარჩუნებთ და ორ ახალ მოთამაშესაც დავიმატებთ.

**— ხომ ვერ გვეტყვით, ვის?**

— ალეკო მარგველაშვილმა და ზაზა შვანგირაძემ გამოთქვეს ჩვენთან თამაშის სურვილი. ბოლო დროს ისინი რუსულ „პენზაში" გამოდიოდნენ.

**— ნუგზარ ძაგნიძე თამაშს აღარ აპირებსო...**

— არ ვიცი, ჩემთვის არ უთქვამს. ვფიქრობ, კიდევ ითამაშებს.

**— ერთი სიტყვით, წლეულსაც ჩემპიონობას აპირებთ...**

— ჩვენ სხვა შედეგი არ დაგვაკმაყოფილებს, ისევ ოქროსთვის მოგვიწევს ბრძოლა.

**იუზა ჭაციტაძე**

# ქართულ ალმასს იუგოსლავიელები ამუშავებენ

შვეიცარია-საქართველოს მატჩების მერე მასპინძელთა იუგოსლავიელ მწვრთნელს ჩვენებურთათვის უთქვამს, სერგო დათუკაშვილის სახით გყავთ ალმასი, რომელიც ვარჯიშით დამუშავდება და სამ წელიწადში მისგან ბრილიანტს მიიღებთო.

რამდენად რეალურია ეს შეფასება, დრო გვიჩვენებს, მაგრამ 20 წლის დათუკაშვილი საქართველოს ნაკრებში ერთ-ერთ დასაყრდენ ფიგურად უკვე იქცა. ასაკის მიუხედავად, ის წარმატებით ცვლიდა გუნდის ლიდერ ტიტე კალანდაძეს და შედეგიანობითაც გამოირჩეოდა. ნაკრების მწვრთნელმა ზაზა დოლიძემ ისიც თქვა, ჩვენი ბოლო საგარეო მატჩებისას დათუკაშვილი ევროპისთვის ალმოჩენად იქცაო.

რამდენიმე თვეა, რაც სერგო სათამაშოდ უცხოეთში, კერძოდ, იუგოსლავიაში წავიდა. ეს ინტერვიუ ქართველ ალმასთან, რომელსაც ბალკანელები ბრილიანტად ამზადებენ, ძირითადად ამ თემას შეეხო.



სერგო დათუკაშვილი (№9)

**— სერგო, თავდაპირველად ახალ კლუბზე ვისაუბროთ.**

— ესაა ქალაქ შაბაცის გუნდი „მეტალოპლასტიკა“. ადრე ძლიერი და ტიტულოვანი გუნდი იყო. ორჯერ ჩემპიონთა თასიც კი მოუგია. დღეს ძველებურად მრისხანე აღარაა, თუმც საკმაოდ კარგი ახალგაზრდული კლუბია. პირველი წრის მერე მეოთხე ადგილზე ვართ. ამ შედეგით გუნდის ხელმძღვანელობა სავსებით კმაყოფილია, რადგან სეზონის დაწყების წინ ჩემპიონატში მეხუთეზე გასვლას გეგმავდნენ. ეს წლეულს, საგაისოდ კი ოთხეულში მოხვედრა და რომელიმე ევროთასზე გასვლა სურთ. თუ ეს ამ სეზონში მოხერხდა, მთლად უკეთესი, მაგრამ ამჯერად ასეთ მიღწევას კატეგორიულად არ გვთხოვენ. ამ სეზონს უფრო მოსამზადებლად ვიყენებთ. ჩემპიონატი 13 თებერვალს განახლდება. ვნახოთ...

**— იუგოსლავიაში როგორ მოხვდით?**

— „სტუ-შევარდენი“ შემოდგომაზე ჩემპიონთა თასის გათამაშებაში კვიპროსის „სტროვოლოუს“ შეხვდა. ამ თამაშების მერე კუნძულელებმა საერთაშორისო ტურნირი ჩაატარეს, რომელშიც „მეტალოპლასტიკაც“ მიიწვიეს. იუგოსლავიელებს იქ კვიპროსელებთან ჩვენი თამაშის ვიდეოკასეტა უნახავთ. მათ თურმე მოვეწონე და დამირეკეს. მეც ჩავედი. ცოტა დამაკვირდნენ და მალე კონტრაქტიც გავაფორმე.

**— როგორი პირობით?**

— 1+1. ვისაც ვიცნობ, ყველას ასეთი კონტრაქტი დაუდეს. კლუბის ხელმძღვანელობას, გითხარით უკვე, თავისი მიზნები აქვს, სამომავლოდ უფრო მეტზე ფიქრობენ. ვნახოთ, გაისად რა იქნება. შეიძლება, მე ვერ გავამართლო, ან იმათ. გამორიცხული არც ისაა, უკეთესი ვარიანტი გამოჩნდეს. ამიტომ ასეთი პირობა ჩემთვისაც მისაღებია.

**— ძირითად შემადგენლობაში ხართ თუ სათადარიგოებში?**

— ძირითადში. თავიდან 2-3 მატჩი შეცვლებზე მათამაშეს, მას მერე მუდამ ძირითადში ვარ.

**— ეტყობა, მწვრთნელიც გემადლიერებათ.**

— ალბათ. მწვრთნელი მეუბნება, შენი ჩამოსვლა დაგვეტყო და დიდი იმედი გვაქვსო.

**— ლეგიონერები სხვებიც ჰყავთ?**

— მხოლოდ ერთი, უკრაინელი მეკარე.

**— გუნდთან შეგუება ხომ არ გაგიჭირდათ, ან ენობრივი პრობლემა ხომ არ შეგქმნიათ?**

— შეგუება არ გამჭირვებია, რადგან გუნდში კარგი ატმოსფეროა. ენის მხრივ თავიდან პრობლემები მართლაც მქონდა, მაგრამ სერბული რუსულს ძალიან ჰგავს. მათ საუბარს კი ვიგებდი, მაგრამ ვერ ვლაპარაკობდი. თუმცა რაღაც ორ თვეში ყველაფერი მოგვარდა.

**— ეკონომიკური პირობებით კმაყოფილი ხართ?**

— სრულიად. კლუბი ბინით და კვებით უზრუნველმყოფს. მე მხოლოდ ვარჯიშზე უნდა ვიფიქრო. მართალია, მანქანა არ მოუციათ, მაგრამ მე არც მართვის უფლება მაქვს და გუნდის ხელმძღვანელობასთან ამაზე არც მისაუბრია.

**— ჩვენი არ იყოს, იუგოსლავიაც ნაომარი ქვეყანაა. ამ მხრივ როგორი მდგომარეობაა, რამდენად ეტყობა ეს სპორტს?**

— ქვეყანას მსგავსი არაფერი ეტყობა. ნაომარს აქაურობა უფრო ჰგავს. სპორტს რაც შეეხება, ჩემი კლუბის მაგალითზე გეტყვით — სპორტსმენთა განკარგულებაშია კეთილმოწყობილი ბაზა სათადარიგო მოედნებით, პირნათლად სრულდება კონტრაქტის პირობები. ხელფასების დაგვიანება ან სხვა სახის ეკონომიკური პრობლემა გამორიცხულია.

**— სერგო, ნაკრებზეც არ ვისაუბროთ, არ იქნება. მით უფრო, როცა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე წარმატების ასეთი შანსი იყო.**

— შანსი ნამდვილად იყო. თანაც დიდი. წესისამებრ ანუ მიმოსვლით რომ გვეთამაშა, პლეი ოფში გასვლა შეგვეძლო.

**— სტუმრად გამართულ თამაშებში რომელიმეს მოგება თუ შეგეძლოთ?**

— ასეთი მომენტებიც იყო, მაგრამ. რაც გინდა გააკეთე, მსაჯი მაინც მასპინძლებს დაუჭერს მხარს და არ მოგაგებინებს. არბიტრები შვეიცარიელებსაც ემხრობოდნენ და ებრაელებსაც. ისრაელში საშინელი მსაჯობა იყო. მოედანზე წარმოუდგენელი რამ ხდებოდა.

**— მწვრთნელი იმ მატჩებში თქვენი თამაშით ძალიან კმაყოფილი იყო და ერთ-ერთ საუკეთესოდაც დაგასახელათ. უკმაყოფილო არც ადრე ყოფილა, მაგრამ ახლა უფრო მეტად შეგაქოთ.**

— მეც შევატყვე, რომ მოვუმატე. ეს უცხოეთში წასვლის შედეგია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ის რად ღირს, ვარჯიშიდან შინ რომ ბრუნდები და ცხელ კერძს შეექცევი. ვარჯიშიც თბილ დარბაზში გვიტარდება დღეში ორჯერ. წვრთნის სისტემაც განსხვავებულია. იქ ძირითად ყურადღებას ფიზმომზადებას აქცევენ და ეს ჩემს თამაშსაც დაეტყო. ყოველდღე განსხვავებულად ვვარჯიშობთ. მწვრთნელი — ვესელინ ვუკოვიჩი თვითონ იგონებს მათ. ის კარგი სპეციალისტია. გუნდმა ევროთასები სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოიგო.

**— ისრაელში მწვრთნელს გამთამაშებლად გაუმწესებიხართ და ძალიან კმაყოფილიც დარჩენილა.**

— ამ პოზიციაზე პირველად ვცადე ძალა. კლუბშიც ყოველთვის ჩემს პოზიციაზე — ინსაიდად ვთამაშობ. თუ პროფესიონალი ხარ, სადაც მწვრთნელი გეტყვის, იქ უნდა ითამაშო.

**— თავად რომელ პოზიციაზე გირჩევნიათ თამაში?**

— რა თქმა უნდა, ინსაიდად. ბოლოს და ბოლოს, ოთხი წელია, ასე ვთამაშობ. თან, გამთამაშებელს მეტი მოეთხოვება. მას მოედანზე მეტი აზროვნებას სჭირდება. როცა ძველი გამთამაშებელი — ვახტანგ მეიფარიანი თამაშობდა, ამაზე არ ვფიქრობდი. როცა ამ ადგილზე დამაყენეს და მთელი სიმძიმე მე დამაწვა, თავიდან ცოტა კი გამიჭირდა, მაგრამ ნელ-ნელა ამასაც შევეჩვიე.

**ირაკლი თავაძე**

# ნუ მიეჯაჭვებით ინვალიდის ეტლს
# ღმერთო, დალოცე ჰანსენი

კაცობრიობის ისტორიაში არის ადამიანთა გმირობის უამრავი მაგალითი. ისინი ეწირებოდნენ და ეწირებიან სამშობლოს, მრწამსს, სიყვარულს, მეგობრობას... მაგრამ არის კიდევ ერთი გზა გმირობისა, რომელსაც სიკვდილთან ბრძოლაში გამარჯვება და მკვდრეთიდან აღდგომა ჰქვია, რასაც ნებისყოფა, მეტიც, ტიტანური სულის სიძლიერე და მძიმე გზის გავლა სჭირდება. ეს არის გოლგოთის გზა, თვითგადარჩენის გზა, რომელიც არაერთს გაუვლია.

იმ დღეს, უფრო სწორად შუაღამისას, ჩეხოსლოვაკიელი, 40 წლის ფრანტიშეკ ვენცელოვსკი საფრანგეთის სანაპიროდან ლა მანშის ცივ, 13-გრადუსიან წყალში გადაეშვა და 15 საათისა და 26 წუთის მერე ინგლისის სანაპიროს მიაღწია.

ამაში ერთი შეხედვით საოცარი არაფერია, რადგან მანამდეც და მის მერეც 34,6 კილომეტრის სიგანის ლა მანშის სრუტე ბევრმა გადაცურა, თანაც გაცილებით სწრაფად და ამასთან, ორთავ მხარესაც, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ფრანტიშეკ ვენცელოვსკის ავტოკატასტროფაში მოხვედრის მერე ექიმებმა სამუდამოდ უწინასწარმეტყველეს ხეიბრის ბორბლიანი სავარძელი, მაშინ მისი ამბავი გმირობის ტოლფასი იქნება.

მაშინ, 1959 წლის იმ დღეს, როცა ფრანტიშეკს ექიმებმა მწარე განაჩენი გამოუტანეს, ჯანმრთელობის აღსადგენად და ნუგეშად მსუბუქი ცურვაღა დაუტოვეს. არადა, კაცი მოკრივე იყო, ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებოდა. მის ადგილზე ბევრი, ალბათ, გატყდებოდა, მაგრამ ფრანტიშეკმა სულის უსაზღვრო სიძლიერე გამოავლინა.

ასეთივე მტკიცე ხასიათი ალმოაჩნდა რუს მიხეილ საულინს. 17 წლისამ ჭაბუკ მოკრივეთა სსრ კავშირის პირველობაზე გაიმარჯვა. მერე მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და მაშინ, როცა ცხოვრება მშვენიერ პერსპექტივას უქადდა, ავტოკატასტროფაში მოყვა. ორივე ხელ-ფეხი 30 ადგილზე მოიტეხა. აქედან 3 მოტეხილობა ღია აღმოჩნდა. დაუშავდა ცენტრალური ნერვული სისტემა, დაკარგა მეხსიერება, სუნის შეგრძნების უნარი, მხედველობა... ორი თვე კომაში იყო. თუ გადარჩებოდა, აღარავის ეგონა, მაგრამ ვაი ასეთ გადარჩენას — საავადმყოფოდან გამოწერეს როგორც პირველი ჯგუფის ინვალიდი. მას დამოუკიდებლად არაფერი შეეძლო — არც ჭამა, არც სმა, მაგრამ ფრანტიშეკივით არც ის გატყდა და სულით არ დაეცა. საულინი, რომელსაც ხელში კოვზის დაკავებაც არ შეეძლო, ისევ მოკრივის ხელთათმანზე და რინგზე ასვლაზე ფიქრობდა. იგი ფიქრობდა სწავლის გაგრძელებაზეც და საკუთარ თავს ნიადაგ ჩააგონებდა: „მე ეს შემიძლია. მე უნდა ვაჯობო საკუთარ თავს და სხვებსაც...“ ამგვარი ფიქრი და ოცნება ცხოვრების დევიზად გაიხადა და მთელი წელიწადი ამ სიტყვებს იმეორებდა.

საულინის მეგობრებმა მისივე პროექტით გააკეთეს სახსრების სავარჯიშო იარაღები. გააკეთეს და დაიწყო... ყოველდღიურად 12 საათს ვარჯიშობდა.

ავტოკატასტროფიდან 4 წელი რომ მიილია, საულინმა უნივერსიტეტში სწავლა განაგრძო. ეს 1988 წელს მოხდა. იმავე წელს უნივერსიტეტის მოკრივეთა პირველობაზე ყველას აჯობა, ორი წლის მერე მოსკოვის ინვალიდთა პირველობაზეც გაიმარჯვა, ხოლო სსრ კავშირის ინვალიდთა პირველობაზე მეორე იყო. ამის გარდა, მან დაიწყო რბენა 20 კილომეტრზე. 32-კილოგრამიან გირებს 32-ჯერ ეწეოდა, 25-ჯერ კი ღერძზე ტანს სწევდა... საულინს კიდევ ბევრი რამ შეეძლო და შეუძლია. და ეს მაშინ, როცა მას ორივე მაჯა და მუხლის სახსრების სერიოზული ტრავმები განუკურნებელი დარჩა.განუკურნებელი დარჩა რიკ ჰანსენის ქვედა კიდურების მთლიანი დამბლაც, მაგრამ ამ კანადელს ცხოვრების ხალისი სულაც არ დაუკარგავს.

და აი, 1985 წლის მარტში, როცა 27-ისა იყო, ვანკუვერში ჩაჯდა თავის ინვალიდის ეტლში და გაიარა კანადა, გადასერა ამერიკის შეერთებული შტატები, ევროპა, შუა აღმოსავლეთი, ახალი ზელანდია, ავსტრალია, შორეული აღმოსავლეთი, 1986-ის გაზაფხულზე დაბრუნდა ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე. მერე მაიამიდან ატლანტიკის ოკეანის სანაპიროს გაყოლებით გაემგზავრა ჩრდილო-აღმოსავლეთით, ნიუფაუნდლენდიდან ბრიტანეთის კოლუმბიამდე გადაკვეთა კანადა და 87-ის მაისში, ორი წლის, ორი თვისა და ორი დღის შემდეგ, როცა უკან მოიტოვა 34 ქვეყანა და იქ გავლილი 40075 კილომეტრი, დაბრუნდა შინ, ვანკუვერში. რიკ ჰანსენმა თავისი გაუგონარი მოგზაურობითა და გმირობით თავის სხვა მრავალ ბედის თანაზიართ ჩაუნერგა სიცოცხლის ხალისი.

„კაცმა ინვალიდის ეტლი მაგიდასთან მიაგორა. იქ ეტლს ხელებით დაეყრდნო, ტანი საჯდომს მაღლა ასწია და თავისი დამბლადაცემული, უმაქნისი ფეხები გააქან-გამოაქანა. მერე ისევ თავის ეტლზე დაეშვა. კალამი მოიმარჯვა და დაწერა: „ყველაფერი რიგზეა რიკ. თავის მოკვლა მინდოდა, მაგრამ შენი მოგზაურობის შესახებ გავიგე და გადავიფიქრე. დიდი მადლობა, მიკ!“ — ამას ერთი კანადური გაზეთი წერდა.

ოთხი წლის რობინ ნილს სძულდა თავისი ინვალიდის ეტლი. დანახვაც არ უნდოდა, მაგრამ იგი მასზე იყო მიჯაჭვული. მას არაფერი ახალისებდა და არც საკუთარ გაჭირვებას ებრძოდა. უბრალოდ, იჯდა და ელოდა. და აი, რობინმა რიკ ჰანსენის საარაკო თავგადასავალზე სატელევიზიო სიუჟეტი იხილა.

— „ეს საოცარი გარდაქმნა იყო. ჩემი შვილი მანამდე არავის ენახვებოდა, ახლა კი, რიკ ჰანსენის ამბავი რომ ვუამბეთ და ეს ტელეეკრანზეც იხილა, ცხოვრება მისთვის ისეთივე საინტერესო გახდა, როგორც ნებისმიერი სხვა ბავშვისთვის“ — აღფრთოვანებული ამბობდა პატარა რობინის დედა.

„რიკ ჰანსენის მიერ გაღებულ კარში დავინახე ადამიანის შესაძლებლობათა უსაზღვროება. მან იმედი ჩამისახა და ჩემი ინვალიდის ეტლი მსუბუქი გახდა“ - წერდა 45 წლის ქალბატონი.

„ჰანსენი ყველა ინვალიდისთვის შთაგონების წყაროა“ — კარნახით დაწერა ვანკუვერელმა გერვინ ბემბერმა, რომელიც უხელებოდ დაიბადა — „მან მთელს მსოფლიოს მოუთხრო ჩვენზე. ღმერთო, დალოცე ჰანსენი“.

თავად ჰანსენიც მოგზაურობის მერე ბევრს წერდა. „არასოდეს არ თქვა უარი შენს მისწრაფებებზე“. მისი ამ მოწოდების ადრესატი გახლდათ ყოფილი ჰოკეისტი ბრედ ჰორნენგი, რომელიც კისრის ქვემოთ დადამბლავებულიყო.

„საშინელებაა, თუ ინვალიდის ეტლს მიჯაჭვულს ხელში ჩაუდებ ხუთდოლარიანს და მერე კმაყოფილი იტყვი, მორჩა, ინვალიდებთან ჩემი ვალი მოვიხადეო. ინვალიდების ყოფა მაშინ გაუმჯობესდება, როცა მასზე ზრუნვა ყოველი ადამიანის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისა და საკუთარი ცხოვრების ნაწილი გახდება“.

ფრანტიშეკ ვენცელოვსკის რიკ ჰანსენის, მიხეილ საულინის და სხვა მრავალთა მაგალითი გვიჩვენებს, რომ ადამიანს შეუძლია თავდაუზოგავი შრომით მიაღწიოს იმას, რაც ერთი შეხედვით ფანტასტიკურად და შეუძლებლად მიგვაჩნია. ამიტომ ყველას, ვინც დროებით ან მუდმივად დაინვალიდდება, უნდა მიეცეს შანსი, რათა დაუმტკიცოს საკუთარ თავს და საზოგადოებას თავისი ფიზიკური შესაძლებლობები და გონებრივი უნარი. მათ უნდათ იგრძნონ თავი სრულფასოვან ადამიანებად. ასეთი შანსი და მხარდაჭერა განსაკუთრებით ესაჭიროებათ ბავშვებს, მაგრამ მათ არ იციან, რით დაიწყონ, რა გზას დაადგნენ. ხშირად მშობლებსაც არ შეუძლიათ მათი დახმარება, რადგან თავადაც არ არიან მზად ამისთვის.

ამიტომ გამოგვეხმაურეთ...

**თეიმურაზ მიქიაშვილი**
**სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე**



შარშან სამხრეთაფრიკელი შუბის მტყორცნელი ფანი ლომბარდი პანაფრიკული თამაშების ჩემპიონი გახდა

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

# ახალგზედა ახალი გულით

## BAR-ჰონდა

BRITISH AMERICAN RACING — HONDA

დაარსებულია 1998 წელს
პრეზიდენტი: კრეიგ პოლოკი; ვიცე-პრეზიდენტი: ედრიან რეინარდი
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1999 ავსტრალიის დიდი პრიზი; 16 რბოლა
შასი: BAR 02 დამზადებულია „რეინარდის" მიერ; ძრავა: ჰონდა RAOOOE V-10
1999 მე-11 ადგილი



ჟაკ ვილნევი
კანადა
დაიბადა 1971 წლის 9 აპრილს, სენ-ჟან-სურ-რიშელიეში (კანადა)
სიმაღლე 171 სმ, წონა 66,5 კგ
1995 წლის CART-ის ჩემპიონი
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1996 ავსტრალიის დიდი პრიზი, „უილიამსი"
პირველი გამარჯვება: 1996 ევროპის დიდი პრიზი
1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონი
ასპარეზობდა: „უილიამსი" 1996-98, BAR 1999;
65 რბოლა, 11 გამარჯვება, 13 პოული, 9 სწრაფი წრე; 180 ქულა;
1999 წელს ქულა არ მიუღია



რიკარდო ზონტა
ბრაზილია
დაიბადა 1976 წლის 23 მარტს, კურიტიბაში (ბრაზილია)
სიმაღლე 172 სმ, წონა 64 კგ
ცხოვრობს მონაკოში
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1999, ავსტრალიის დიდი პრიზი, BAR
1999 წელს ქულა არ მიუღია

BAR-ის დებიუტი შარშან დიდი ზარ-ზეიმით შედგა. ყველა სიურპრიზს ელოდა ფორმულა 1-ის ახალი ბინადრისგან და მოულოდნელობამაც არ დააგვიანა — გუნდმა ქულაც ვერ მოიპოვა, პილოტებმა რბოლების უმეტესობა ტექნიკური მიზეზების გამო ვადაზე ადრე დაასრულეს.

წლეულს ფინანსურად უზრუნველყოფილი და ტექნიკურად შესანიშნავად აღჭურვილი გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდა. „ჰონდასთან" დადებულმა კონტრაქტმა BAR-ს არა მარტო ძრავები, არამედ ყველა ის ტექნიკური მონაცემი მოუტანა, რაც ჰონდელებს შარშან თავიანთი ბოლიდის გამოცდისას დაუგროვებიათ.

ახალი ბოლიდი შარშანდელისგან გარეგნულად ძალიან არ განსხვავდება, თუმც კი, კონსტრუქტორთა თქმით, ბევრი დეტალია გაუმჯობესებული. ახალია შეფერილობაც. წლეულს მანქანები მხოლოდ „ლაქი სტრაიკის" რეკლამას დასჯერდებიან.

ტექნიკურ სიახლეთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „ჰონდას" ძრავას, რომელიც მსუბუქი და კომპაქტური გახლავთ და თანაც 800 ცხენის ძალაზე მეტ სიმძლავრეს ავითარებს. იაპონელები აქტიურად ჩაებნენ გუნდის საქმიანობაში. მათი გამოცდილება მეტად წაადგება BAR-ს, რომელიც წლეულს პირველი ქულების მოპოვებას, 2003 წლისთვის კი ჩემპიონატში გამარჯვებისთვის ბრძოლას აპირებს.

გუნდის პილოტები კვლავ ჟაკ ვილნევი და რიკარდი ზონტა იქნებიან. კანადელის შესაძლებლობები საყოველთაოდ ცნობილია და იმედია, რომ წლეულს მისი თაყვანისმცემლები კვლავ გაიხარებენ. ბრაზილიელმა მრბოლმა შარშანდელი სეზონი ახალი ტრასებისა და ტექნიკის ათვისებას მოანდომა, თანაც მძიმე ტრავმამ შეუშალა ხელი, უკეთ ეჩვენებინა თავი. მაგრამ [illegible]რაფის წყალობით იგი წლეულს [illegible] უკეთ იასპარეზებს.

გუნდმა პირველი ტესტები უკვე ჩაატარა ესპანეთში. როგორც პილოტები, ასევე ინჟინრებიც კმაყოფილი დარჩნენ სხვადასხვა აგრეგატის მუშაობით, თუმცა ახალ ბოლიდებს ჯერჯერობით თავიანთი რეალური სისწრაფე არ უჩვენებიათ, ამ ეტაპზე მხოლოდ დეტალები და ახალი ძრავა გამოსცადეს. შემდეგ კი უკვე მაქსიმალური სისწრაფის მიღწევაზე იმუშავებენ და ბოლიდს ტრასებს მოარგებენ.

„ჰონდას" და „რეინარდის" (სწორედ ამ ფირმამ დაამზადა შასი) თანამშრომლობა CART-ის სერიაში მეტად წარმატებული გამოდგა. ალბათ, რომ ისინი ფორმულა 1-შიც არ შეირცხვენენ თავს და კონკურენციას გაუწევენ მეტოქეებს.

ალეკო ჭაბუკიანი



ჟაკ ვილნევი (მარცხნივ) და რიკარდო ზონტა ახალ ბოლიდთან

## ჰოკეი

26 იანვარი

**ოტავა — სენტ ლუისი 1:4**
0:1 0:2 1:1
0:1 რიშე 8'42 (8); 0:2 იანგი 28'57 (15); 0:3 იანგი 36'52 (16); 1:3 ტრავერსი 44'29 (5); 1:4 პრონგერი 50'24 (8)

**ვაშინგტონი — კალგარი 2:1**
1:0 1:1 0:0
1:0 უიტი 17'30 (1); 1:1 დომენიჩელი 25'50 (5); 2:1 კლი 33'31 (3)

**დეტროიტი — ტორონტო 4:2**
1:1 2:0 1:1
0:1 ტომასი 3'45 (9); 1:1 ვერბიკი 18'31 (13); 2:1 ლიდსტრიომი 31'40 (12); 3:1 ფიოდოროვი 37'51 (11); 4:1 მოეტბი 55'45 (1); 4:2 სუნდინი 58'04 (23)

**ფლორიდა — ნიუ ჯერსი 2:3**
1:0 0:0 1:3
1:0 კოზლოვი 17'33 (12); 1:1 მაკეი 45'21 (13); 2:1 პერიში 48'58 (18); 2:2 არნოტი 56'47 (13); 2:3 ელიაში 59'58 (21)

**დალასი — ლოს ანჯელესი 3:1**
1:1 1:0 1:0
1:0 მოდანო 11'10 (19); 1:1 ჯონსონი 18'24 (16); 2:1 ზუბოვი 20'36 (8); 3:1 ჰალი 59'45 (17)

**ანაჰაიმი — აილენდერსი 2:4**
1:1 1:1 0:2
1:0 სელიანე 14'19 (19); 1:1 სკაჩაო 17'01 (5); 1:2 იუნსონი 26'12 (10); 2:2 კარია 32'03 (26); 2:3 ოჟიკი 54'55 (5); 2:4 ნაბოკოვი 59'38 (1)

# ბოუმენი რუსეთუმეა



დალასელი მაიკ მოდანო (მარჯვნივ) მარჯვედაც უტევდა და მეკარე ედ ბელფორსაც ხშირად ეხმარებოდა

დეტროიტი და ტორონტო ბოლო მატჩებში თითქოს ჩვეულად ვერ გამოიყურებოდნენ, მაგრამ რაკი ისინი ლიგაში ყველაზე უფრო სანახაობრივ და მიმზიდველ ჰოკეის თამაშობენ, მათ ორთაბრძოლას მაყურებლები მაინც დიდი ინტერესით ელოდნენ. მატჩმა გაამართლა იმედები, დღის ცენტრალური შეხვედრა ერთობ საინტერესო გამოდგა.

თავიდან სტუმრებმა შეუტიეს. მათი აქტიურობა დეტროიტისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა და მე-4 წუთზე მათს სუნდინის ჩინებული პასის შემდეგ სტივ ტომასმა გახსნა ანგარიში. ეტყობა, ამ სწრაფმა გოლმა კანადელები დაამშვიდა. სტუმრები დაცვაში ჩასაფრდნენ და მეტოქის შეცდომებს დაელოდნენ. სუნდინის თქმით, სწორედ ეს მომენტი გახდა გადამწყვეტი. „როცა დეტროიტთან სტუმრად თამაშობ და ინიციატივას ფლობ, დამშვიდება არ ეგების, მას ამოსუნთქვის საშუალება არ უნდა მისცე" — თქვა ტორონტოს ლიდერმა თამაშის წინ და მომდევნო მოვლენებმა მთლიანად დაადასტურეს ეს სიტყვები. თანდათან მასპინძლებმაც გამოიღეს ხელი და თამაში სტუმართა ზონაში გადაიყვანეს, რაც წითელფრთიანებთან ბრძოლაში სიკვდილის ტოლფასია. მერე კი, როცა დეტროიტის თილისმამ, პეტ ვერბიკმა ანგარიში გაათანაბრა, ცხადი გახდა, რომ მასპინძლები შანსს ხელიდან აღარ გაუშვებდნენ. ყველაფერი მეორე პერიოდში გადაწყდა. ბებერმა მელამ, დეტროიტის თავკაცმა სკოტი ბოუმენმა დროულად შეაფასა ვითარება და მეორე ოცწუთეულში ერთ სამეულში შეტევის მოყვარული სამი რუსი — იგორ ლარიონოვი, ვიაჩესლავ კოზლოვი და გამოჯანმრთელებული სერგეი ფიოდოროვი გააერთიანა. სწორედ რუსებმა შეიტანეს გარდატეხა თამაშში. ჯერ კოზლოვის პასის შემდეგ ნიკლას ლიდსტრიომმა ივარგა, შემდეგ კი 6 წუთის განმავლობაში უმცირესობაში მოთამაშე სტუმრები (ისინი მხოლოდ წესების დარღვევით აკავებდნენ მეტოქეებს) ისე დაიღალნენ, რომ შემადგენლობის გათანაბრებისთანავე კიდევ ერთი, ფიოდოროვის, გოლი გაუშვეს. ამით ბრძოლა ფაქტობრივად დასრულდა. შემდეგ, როცა ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ დაბრუნებულმა კირკ მოლტბიმ სეზონში პირველი შაიბა გაიტანა, ყველაფერი ცხადზე ცხადი გახდა.

„თამაშის მოგებამ პლეი ოფში გამარჯვება გამახსენა. თავისი საქმე ყველამ ჩინებულად შეასრულა. ზედმეტი ტვირთი არავის დასწოლია მხრებზე" — ასე შეაფასა შეხვედრა დეტროიტის მეკარე კრის ოსგუდმა.

ამ შეხვედრამ დღის სხვა მატჩები დაჩრდილა, თუმც იქაც ბევრი რამ მოხდა საინტერესო. მაგალითად, სამხრეთ აღმოსავლეთის ლიდერების — ნიუ-ჯერსისა და ფლორიდას ბრძოლაში კვანძი ბოლოსწინა (!) წამზე გაიხსნა. მთელი მატჩის განმავლობაში არაფრით გამორჩეულ პატრიკ ელიაშს ერთადერთი მომენტი შეექმნა და მანაც ჩინებულად გამოიყენა. დაუღგრომელმა ჩეხმა მეტოქის არაზუსტი პასი ჩაჭრა და მეკარე მაიკ ვერნონს შანსი არ დაუტოვა.

ლოს ანჯელესმა ერთობ მოუხერხებელ მეტოქე დალასთან ძალ-ღონე არ დაზოგა. გამუდმებით უტევდა, დარტყმებითაც (38-15) აჯობა, მაგრამ კვლავ ხელცარიელი დარჩა. „მეფეთა" მწვრთნელ ენდი მიურეის არ იყოს, ბედისწერაა, რომ ბოლო 22 მატჩში დალასი ლოს ანჯელესთან ერთხელაც არ დამარცხებულა. თუმც, როგორც მან აღნიშნა, გუნდის დონე მის ხელთ არსებული შანსების გამოყენებაში ვლინდება, ჩემპიონმა კი ამ შეხვედრაში უმაღლესი კლასი აჩვენა და ოთხი-ხუთი მომენტიდან მაქსიმუმი ამოწურა. მაიკ მოდანომ გოლს ორი პასი დაამატა.

ჯერ კიდევ ორი კვირის წინ სტეფან რიშეს ყველაფერი მუქ ფერებში ესახებოდა. ფორვარდი, რომელსაც თავის დროზე სეზონში 50 შაიბა გაუტანია, ლიგის ერთ-ერთ უსუსტეს გუნდ ტამპასაც კი ვერ მოერგო — სტეფანმა ვერც გოლებით გამოიჩინა თავი (20 მატჩში 7 გოლი) და მძიმე ხასიათის გამო კლუბის ხელმძღვანელობასთანაც გაურთულდა ურთიერთობა. 13 იანვარს, მას ბედმა გაუღიმა და ფორვარდი ძლიერ სენტ ლუისში, ძველი ნაცნობების პიერ ტარჯონისა და სკოტ იანგის გვერდით აღმოჩნდა. გუშინ კი რიშემ პირველი გოლიც გაიტანა ახალ გუნდში, რომელიც მისთვის კარიერაში მე-400 აღმოჩნდა. ამ შეხვედრაში ტარჯონმა 3 პასი მიითვალა, სენტ ლუისმა კი კანადაში ჩატარებულ ექვსივე მატჩში იმარჯვა.

ვაშინგტონმა ბოლო 9 წაუგებელ თამაშში მერვედ მოიგო, ხოლო მისმა ევროპელმა ყოჩებმა იან ბულისმა და რიხარდ ზედნიკმა ამჯერად გოლებს პარტნიორი მცველების წახალისება ამჯობინეს. მიუხედავად იმისა, რომ ტეემუ სელიანე და პოლ კარია კვლავ გამოირჩნენ (6 გოლი 4 თამაშში), ანაჰაიმმა აილენდერსთან შეხვედრაში შინ დაგეგმილი ქულები მაინც დაკარგა. ფინიქსი კი ზედიზედ მეორედ დარჩა უქმად — ჩრდილო კაროლინაში დიდთოვლობის გამო „კოიოტებს" ჯერ იქაურ კაროლინასთან გაუცდათ მატჩი, ახლა კი მორიგი შეხვედრის ჩასატარებლად ვერც ატლანტაში გაფრინდნენ.

სამველ ლარიბიანი

## ხელბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| ზაგრები | რიეკა |
| ნორვეგია 19:16 უკრაინა | სლოვენია 27:26 ისლანდია |
| საფრანგეთი 26:26 ხორვატია | პორტუგალია 26:28 დანია |
| ესპანეთი 27:25 გერმანია | რუსეთი 25:28 შვედეთი |

REUTERS ზაგრებიდან



რუსეთი — შვედეთი. რუსთა კარს შტეფან ოლსონი უტევს



## მკაცრი მიკი

ამერიკაში, ჯორჯიაში, ატლანტაში, „ჯორჯია დოუმზე“ იქაური ფუტბოლის ლიგის მემინდვრეთუხუცეს ჯორჯ ტომას მიკი მაუსი ხაზების სისწორეს უმოწმებს. კვირას „სუპერბოულზე“ „სენტ ლუის რემზი“ „ტინესი ტიტანს“ უნდა დაეჯახოს, მიკიმ კი შესვენებისას იღლაბუცოს.

## აფრიკის თასი

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| განა 2:0 ტოგო | სამ. აფრიკა 1:0 კონგოს დ.რ. |

REUTERS ქუმასიდან



სამხრეთი აფრიკა — კონგოს დ.რ. 1:0.
კონგოელთა მეკარე ნკუენი მაიალა სამხრეთაფრიკელი სიაბონგა ნიმვეტეს დარტყმას იგერიებს

## იტალია

თასის მეოთხედფინალი
ინტერი 1:1 მილანი





## გამოიცან რომელია

ესპანელი ჩოგბურთელი არანჩა სანჩეს ვიკარიო, მარტინა ჰინგისთან ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალური მატჩის წინ, სხვადასხვა ქვეყნიდან თავშეყრილ ფოტორეპორტიორებთან ერთად ჯგუფურ ფოტოს იღებს. ფოტორეპორტიორებს სახეებზე თავიანთი სახელმწიფოს დროშები ახატიათ. სკოლის მასწავლებლებს ვთხოვთ, ბავშვებს თითოეულის სადაურობის ამოცნობა და ამ ქვეყნების რუკაზე პოვნა დაავალონ.

## ოღონდ რამე აღმუვლოს

ამ კაცს, ოღონდ ძრავა დაანახე და იმ ქალს კიდევ ეს კაცი... ხელად ღმუილი ტყდება. მაქს ბიაჯი 250 სანტიმეტრიანი კლასის მოტოციკლებით რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონია, ახალ სეზონში კი 500 სანტიმეტრიანი „იამაჰით“ აპირებს გამოსვლას, მაგრამ შუალედში, სანამ ზარდნის, თოვლმობილზე შემოჯდარა და იმას აღმუვლებს. ყველაფერ ამაზე გადარეული ქალი კი მისი საყვარელი, მსახიობი ანა ფალკი გახლავთ.



## მადლობელი ვართ

მადლობა მათ, ვინც ელექტროენერგიასა და დიდ ხელფასებს არ გვაძლევს. ამით ისინი ერის სახეს ინარჩუნებენ, თორემ ვინც გამდიდრდა — მაგალითად სამხრეთ ჩინეთის პროვინცია გუანდონგის მაცხოვრებლები — გოლფის სტადიონს აგებს და მეტიც, თავად ვარჯიშობს კიდეც ამ არავაჟკაცურ სახეობაში. და ეს კუნგ ფუს ნაცვლად...





## ჩვენც გვინდა ჩიტკაცობა

ახალ ზელანდიაში, ისევე როგორც ჩვენში, იანვარი საგანგებო თვეა და მისთვის დიდი ხნით ადრე ემზადებიან. იქ, ისევე როგორც აქ, არდადეგების პერიოდია და მათ, ისევე როგორც ჩვენ, ძალიან უყვართ სპორტი. ამიტომაც მიგვაჩნია აუცილებლად საქართველოში იმ სახეობის გადმონერგვა, რომელსაც ისინი ჩიტკაცობას უწოდებენ. უცნობი და ძნელი, თითქოს, არაფერი არ უნდა იყოს. აი, მაგალითად, ფოტოზე ხედავთ ჩიტკაცობის ჩემპიონატის ერთ-ერთ მონაწილეს, რომელიც ფინიშთან მივიდა და მიწაზე დაშვებისთვის ანუ ჩვენებურად დამიწებისთვის ემზადება.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli


ეროვნული ბიბლიოთეკა